

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2023, № 11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2023, № 11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2023, № 11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2023, № 11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზება

სატელევიზიო სიგნალის გავრცელებისათვის ანძის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის პრივატიზებაზე უარის თქმის კანონიერება	4
ბინის პრივატიზების ხელშეკრულების კანონიერება	17

2. იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა

უძრავი ქონების ხანგრძლივი იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემა	32
იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება	53

3. აკრედიტაციის შესახებ

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დავალდებულება და ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინისტრაციული წარმოების დავალება	68
აკრედიტაციის ხელშეკრულების დადებისა და აკრედიტაციის პროცედურის განხორციელების საფუძველი	96

4. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო

პირგასამტეხლოს დაკისრება

ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების კანონიერება	123
ხელშეკრულების შეწყვეტის გამო დაკისრებული შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება	137

5. სხვა სახელშეკრულებო დავები

მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ბუნების გარკვევა	156
აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის კანონიერება	165

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზება

სატელევიზიო სიგნალის გავრცელებისათვის ანკის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის პრივატიზებაზე შარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-80(2კ-20)

16 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის
დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 2 აგვისტოს შპს „...“-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქო-
ნების ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სახელ-
მწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 12 თებერვლის
№16/7835 გადაწყვეტილების და საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 4 ივლისის №1-1/
346 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხის – მიწის ნაკვეთის
(ს/კ ...) ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების შესახებ
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ინდივი-
დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის
დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2018 წლის 3 აგვისტოს განჩინებით შპს „...“-ის სარჩე-
ლი, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-
ვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნუ-
ლი სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტე-
ბის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, განსჯადობით განსა-

ხილველად გადაეგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ცალსახად დასტურდება, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრმა შპს „...“-ის განცხადების გამო ადმინისტრაციული წარმოება ჩაატარა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე შეარჩია ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, რადგან სადავო უძრავი ქონების პრივატიზაცია ეწინააღმდეგებოდა საჯარო ინტერესს და ამასთან, არსებითად უარი კი არ განაცხადა შპს „...“ განცხადების დაკმაყოფილებაზე, არამედ „დინტერესების შემთხვევაში სააგენტო განიხილავდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის (იჯარის) უფლებით გაცემის საკითხს“.

ახალციხის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით, შპს „...“-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „...“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 12 თებერვლის №16/7835 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში შპს „...“-ის 2017 წლის 30 იანვრის №18/01-17 განცხადებასთან დაკავშირებით, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს 2018 წლის 4 ივლისის №1-1/346 ბრძანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ საქმეზე დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „...“ ფლობს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის

უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებს და მთელი საქართველოს მასშტაბით მოსახლეობას აწვდის სამაუწყებლო სიგნალს. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით მეტი რეგიონის დაფარვის მიზნით, შპს „...“-ს მიენიჭა დამხმარე ტექნოლოგიური არაკომერციული დანიშნულებით რადიო სარელე სიხშირეები, რომელთაგან ერთ-ერთი პუნქტი არის ...ის რაიონის სოფელ ...ში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მოხდა 2015 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების დაზუსტება/დაკორექტირება კონკრეტულ პუნქტებთან მიმართებაში.

შპს „...“-მა 2017 წლის 30 იანვარს №18/01-17 განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ...ის მუნიციპალიტეტში სოფელ ...ში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის უფროსის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრში შესულია განცხადება, რომელიც შეეხება ...ის მუნიციპალიტეტში „სახელმწიფო მარაგის მიწები“ მდებარე 500 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ. ... დანიშნულების შეცვლისა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით პრივატიზების საკითხს, სატელეკომუნიკაციო ანძის მოწყობის მიზნით.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის უფროსი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათით დაევალა ამავე სამსახურის შტატგარეშე თანამშრომელს ...ის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილზე შესწავლა/დათვალიერება, სიტუაციური ნახაზის, ფოტო მასალის და დათვალიერების ოქმის მომზადება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომლის ადგილზე დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ მის მიერ 2018 წლის 2 თებერვალს დათვალიერებულ იქნა ...ის მუნიციპალიტეტში „სახელმწიფო მარაგის“ 500 კვ.მ. ფართობის მიწა ს/კ აღნიშნული უძრავი ქონება არ არის შემოღობილი, არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთზე ხვდება საკომუნიკაციო ანძა, რომელზეც განთავსებულია გადამცემი ანტენები.

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ...ის რაიონი, სახელმწიფო მარაგის მიწები, ს/კ ... (წინა ნომერი:

...) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. უფლების დამდგენი დოკუმენტია სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ბრძანება №1/2-80, დამონმების თარიღი 14/03/2017, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს» 2017 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება №....

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ეროვნული ბიუროს 2018 წლის 22 იანვრის დასკვნის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილი ...ის რაიონში, სახელმწიფო მარაგის მიწებზე 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ ..., საბაზრო ღირებულება 2018 წლის იანვრის თვის მდგომარეობით შეადგენს 2500 ლარს.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის უფროსის 2018 წლის 12 თებერვლის №16/7835 გადაწყვეტილებით, შპს „...“ დირექტორს განემართა, რომ მისი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვდა ...ის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო მარაგის მიწებზე მდებარე 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ ...) პრივატიზებას, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტრესებაში არსებული ქონების პრივატიზება. ამასთანავე, დაინტერესების შემთხვევაში სააგენტო განიხილავდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის (იჯარის) უფლებით გადაცემის საკითხს.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, სამცხე-ჯავახეთის მომსახურების ცენტრის 2018 წლის 12 თებერვლის №16/7835 გადაწყვეტილება შპს „...“ მიერ 2018 წლის 13 მარტს გასაჩივრებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 4 ივლისის №1-1/346 ბრძანების თანახმად „...“-ის 2018 წლის 13 მარტის №4356/21 ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიაზიარა მოპასუხეთა არგუმენტი პრივატიზებაზე უარის თქმის საფუძვლად მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებაზე, რომ ქონების მმართველი გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შეზღუდულ რესურსს და სახელმწიფოს განსაკუთრებულ ვალდებულებას მიეკუთვნება მისი რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დისკრეციული უფლება-

მოსილების განხორციელების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვას, რათა უსაფუძვლოდ არ მოხდეს კერძო ინტერესის დაცვა საჯარო ინტერესის ხარჯზე, ან პირიქით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოებს არ დაუსაბუთებიათ რა უპირატესი საჯარო ინტერესი არსებობდა მცირე ფართობის და დაბალი საბაზრო ღირებულების მქონე სახელმწიფო მიწის ნაკვეთის პრივატიზებაზე უარის თქმისათვის იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული მიწის ნაკვეთის პრივატიზება შპს „...“-ის მიერ მოთხოვნილ იქნა სატელეკომუნიკაციო ანძის მოსაწყობად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე უფასო ქართულენოვანი სატელევიზიო სამაუწყებლო ციფრული სიგნალის მიწოდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 ივლისის №1-1/346 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას. იმ პირობებში, როდესაც დადგენილ იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 12 თებერვლის №16/7835 გადაწყვეტილების კანონშეუსაბამოა და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა სადავო საკითხის სრულყოფილად შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა, აღნიშნული ცხადყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 ივლისის №1-1/346 ბრძანების უკანონობასაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

კასატორი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მოითხოვს ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე:

კასატორი ბათილად ცნობილ აქტთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ აღნიშნული აქტის გამოცემისას სამინისტრო დაეყრდნო იმ პოსტულატს, რომ სახელმწიფო ქონების განკარგვა მმართველის უფლებამოსილებას წარმოადგენს და შესაბამისად, ქონების მმართველი იღებს გადაწყვეტილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქონების გასხვისების თუ უფლებრივად დატვირთვის შესახებ. შესაბამისად, კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ქონების მმართველი ვალდებული იყო ნებისმიერ შემთხვევაში განეხორციელებინა ქონების პრივატიზება, რაც არ შეესაბამება საკანონმდებლო დანაწესს. კასატორი ასევე არ იზიარებს სასამართლოს მითითებას შპს „...“-ს მაუწყებლობის განხორციელების ინტერესზე, რადგან მხოლოდ შპს „...“ არ ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მინისზედა ციფრულ მაუწყებლობას, ხოლო იგივე მიზანი რატომ ვერ მიიღწევა უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემით, მოსარჩელე მხარე ვერ მიუთითებს.

კასატორი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოითხოვს ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე:

კასატორი შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებზე მითითებით ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო ქონების განკარგვის უფლებამოსილებაზე, კერძოდ, სააგენტოს უფლებამოსილებაზე, რომ განიხილოს ქონებაზე სახელმწიფო ინტერესების არსებობასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, აგრეთვე, სააგენტოს ვალდებულებაზე, რომ რაციონალურად განკარგოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება. კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტო, როგორც სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო კანონმდებლობისა და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას ქონების ამა თუ იმ ფორმით განკარგვისა თუ დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

კასატორი განმარტავს სახელმწიფო ქონების განკარგვისა და პრივატიზების ფორმებს და აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნას სახელმწიფო ქონების მისთვის ელექტრონული აუქციონის ფორმით საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენდა, რასთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მხარეს ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე აცნობა, რომ სააგენტოს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა განხორციელებინა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზება, არამედ, მზად იყო დაინტერესების არსებობის შემთხვევაში განეხილა უძრავი ქონების სარგებლობის (იჯარის) უფლებით გადაცემის საკითხი.

კასატორი განმარტავს, რომ პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს ქონების მმართველის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რის ფარგლებშიც, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, განმცხადებელს ეცნობა, რომ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნდა მოეხდინა უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა. კასატორი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი დაინიშნა განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ პროცესუალურ შესაძლებლობაზე და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასა-

მართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-166-165(კ-16) გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც „საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად შეუძლებელი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლს სასამართლო იმ შემთხვევაში იყენებს, როდესაც აშკარაა და სასამართლოს დასაბუთებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადმინისტრაციული აქტის უკანონობა და დარღვეული უფლებების ფაქტი, მაგრამ იმის გამო, რომ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და სასამართლო კომპეტენციას სცილდება დისკრეციას მიკუთვნებული საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, სასამართლო ეყრდნობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილს და ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით განსაზღვრული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლოს კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას.“

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილია საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა, რომ არსებითად შეფასდეს გასაჩივრებული აქტების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს „...“-ს საქართველოს კომუნიკაციე-

ბის ეროვნული კომისიის გადანყვეტილებით მიენიჭა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია. შესაბამისად, იგი წარმოადგენს კერძო მულტიპლექს ოპერატორს, რომელიც ეროვნულ დონეზე უფასოდ ავრცელებს მაუწყებლობას. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილებით, შპს „...“-ს მიენიჭა არაკომერციული დანიშნულების რადიო სარელეო სიხშირეები, რომელთაგან ერთ-ერთი პუნქტი მდებარეობს სწორედ ...ის რაიონში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოდ დადასტურებულია ის გარემოება, რომ სადავო მიწის ნაკვეთის პრივატიზება შპს „...“-ის მხრიდან ძირითადი საქმიანობის (ტელე და რადიო მაუწყებლობის ორგანიზება და წარმოება, სამაუწყებლო და საკომუნიკაციო ქსელების შექმნა და ექსპლუატაცია. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის აგება და ციფრული მაუწყებლობის უზრუნველყოფა) უკეთ განხორციელების მიზანს ემსახურებოდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონება არ ექცევა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იმ სახელმწიფო ქონების ჩამონათვალში, რომელიც არ ექვემდებარება განკარგვას, მათ შორის პრივატიზებას და სარგებლობის (იჯარის) უფლებით გადაცემას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავე დებულების მე-2 მუხლის თანახმად, სააგენტოს მიზნებია: ა) სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა; ბ) სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემა; გ) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სწარმოებში პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილების განხორციელება;

დ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა საქმიანობის განხორციელება.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების ფორმებია: ა) აუქციონი; ბ) პირდაპირი მიყიდვა: ბ.ა) პირდაპირი მიყიდვა; ბ.ბ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე; ბ.გ) იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვა; გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების განკარგვაში იგულისხმება სახელმწიფო ქონების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, პრივატიზება, მართვის უფლებით გადაცემა, რეალიზაცია, ლიზინგის ფორმით გაცემა, განაწილება და განადგურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ამ მიზნით განკარგვის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების – მობილური კავშირისა და ტელერადიომაუწყებლობის ანძების – განთავსების მიზნით განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 16 მაისის №1-1/193 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, (1) ამ წესის შესაბამისად განკარგვას ექვემდებარება უძრავი ნივთი, რომლის საერთო ფართობი არ აღემატება 500 კვ.მ-ს; (2) უძრავი ნივთის განკარგვა ხორციელდება პრივატიზების ან სარგებლობის უფლებით გადაცემის გზით. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ნივთის პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული ან საჯარო აუქციონის, ასევე პირდაპირი მიყიდვის ფორმით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უძრავი ნივთის განკარგვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების – მობილური კავშირისა და ტელერადიომაუწყებლობის ანძების – განთავსების პირობით. აღნიშნული პირობის შესრულების ვადები განისაზღვრება უძრავი ნივთის განკარგვაზე უფლებამო-

სილი ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ იმდენად რამდენდაც არარსებობს მოსარჩელის დაინტერესებაში არსებული სახელმწიფო ბალანსზე რიცხული მინის ნაკვეთის განკარგვის დამაბრკოლებელი გარემოებები, განსახილველი დავის გადაწყვეტის მიზნებისთვის, ყურადღება უნდა გამახვილდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების – მობილური კავშირისა და ტელერადიომაუწყებლობის ანძების – განთავსების მიზნით განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 16 მაისის №1-1/193 ბრძანებით დამტკიცებულ სპეციალურ წესსა და პირობებზე, რისი რეგულირების ქვეშაც ექცევა მიმდინარე დავა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული წესი ითვალისწინებს მოსარჩელის დაინტერესებაში არსებული მინის ნაკვეთის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი პრივატიზების ან სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმას, ამასთან, დამატებით არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში რომელი განკარგვის ფორმა შეიძლება იქნეს გამოყენებული, რაც ერთმნიშვნელოვნად აქცევს აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტას ქონების განმკარგავი დანესებულების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს გასაჩივრებულ ორივე აქტის დასაბუთებაზე ერთობლიობაში და მიუთითებს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილზე, რითაც მოსარჩელეს მიზანშეუწონლობის მოტივით, სხვა დამატებითი განმარტების გარეშე, უარი ეთქვა უძრავი ქონების პრივატიზებაზე, ხოლო რაც შეეხება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების შედეგად გამოცემულ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანებას (№1-1/346, 04/07/2018), აღნიშნული ბრძანებით, მართალია, შედეგობრივად არ შეცვლილა მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა, დამატებით განიმარტა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იყო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რა დროსაც გათვალისწინებული იქნა საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, კერძოდ, ბრძანებაში მითითებულია, რომ განაცხადისა და ადმინისტრაციული საჩივრის შესაბამისად კომპანიის მიზანი იყო სატელევიზიო სიგნალის გავრცელებისათვის ანძის განთავსება, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის გაცემით გრძელვადიანი პერიოდით, რისი მზა-

ობაც გამოხატული ჰქონდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნული წერილით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა; ამავდროულად მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების სრულ თავისუფლებას, კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა შეფასდეს, ერთი მხრივ დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უარის კანონიერება, მეორე მხრივ კი, დაცულია თუ არა თანაზომიერების პრინციპი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქონების განმკარგავი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უძრავი ქონების განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღება, ისევე როგორც განკარგვის ფორმების განსაზღვრა, შესაბამისი დაინტერესების არსებობისას წარმოადგენს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, ხოლო რაც შეეხება საჯარო და კერძო ინტერესებს შორის პროპორციულობის დაცვის საკითხს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გაკეთებული დამატებითი განმარტებები ექცევა დასაბუთების იმ სტანდარტებში, რაც ამ საფუძველზე მის უკანონოდ მიჩნევას გამოიწვევს; კერძოდ, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩათვალა რა სადავო საკითხის გადაწყვეტა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მისაღებ გადაწყვეტილებად, სწორად მიუთითა, რომ მოსარჩელის (კომპანიის) მიზანი მიუღწეველი ვერ იქნებოდა თუ მოხდებოდა უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა, ნაცვლად პრივატიზებისა. აღნიშნულით კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-

ვითარების სამინისტრომ, როგორც ზემდგომმა ადმინისტრაციულ-მა ორგანომ, შეამოწმა ქვემდგომი ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერება და მიზანშეწონილობა და დაასაბუთა დამატებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისის №ბს-208-200(კ-13) განჩინებაზე, სადაც აღინიშნა, რომ „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სპეციალური თავით (XIII) განსაზღვრული წესი და პროცედურა წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით შეამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად.“

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ის გარემოება, თუ რატომ იყო აუცილებელი სადავო მიწის ნაკვეთის პრივატიზება და რატომ არ მიიღწეოდა მოსარჩელისათვის სასურველი მიზანი – მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემით, საქმის მასალებით არ დასტურდება, ისევე როგორც მოსარჩელეს აღნიშნულის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

ამდენად, ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე და სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს გასაჩივრებული აქტების უკანონოდ მიჩნევის საფუძველი, რის გამოც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...“-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...“-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „...“-ის მიერ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება

ბ ა ნ წ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-645(კ-20)

20 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 7 ივნისს თ. ნ-ემ და ი. ქ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობისა და ი. კ-ის მიმართ, მესამე პირების – რ. კ-ასა და ჯ. ტ-ის მონაწილეობით.

მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემ-

დგომ ი. კ-ის ოჯახისათვის სადავო ქონების გამოყოფის შესახებ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ამჟამად სამართალმემკვიდრე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) 1969 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების, ი. კ-ის სახელზე გაცემული თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოს 1996 წლის 30 სექტემბრის ორდერისა და 1998 წლის 14 მაისის №26-181 პრივატიზაციის ხელშეკრულების – უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №..., ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით თ. ნ-ისა და ი. ქ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1996 წლის 30 სექტემბერს, თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის საბჭომ ი. კ-ის სახელზე გასცა ორდერი, რომლის თანახმადაც პოლკოვნიკ ი. კ-ის და მის ოჯახს, რომელიც შედგებოდა 4 სულისაგან, გადაეცათ საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ.თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №.... აღნიშნული ორდერის გაცემის საფუძველად კი მითითებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 1969 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის 30.11.1996წ. სხდომაზე, განხილული იქნა ი. კ-ისა და მისი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საკითხი. კომისიის დადგენილებით ი. კ-ისა და მის ოჯახზე (შემადგენლობა 4 წევრი) განაწილდა 4-ოთახიანი ბინა, ფართით 58,4კვ.მეტრი, მდებარე: კრასნოდარის მხარის დაბა, ...ს 24-ე კვარტალი.

საქმეში წარმოდგენილი საბინაო პირობების შესახებ 1998 წლის 14 მაისის №631 ცნობის მიხედვით, ი. კ-ი წარმოდგენდა ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №...-ის დამქირავებელს, ამავე ცნობის თანახმად, ბინა შედგებოდა სამი ოთახისგან, საცხოვრებელი ფართი იყო 45 კვ.მეტრი, ხოლო საერთო ფართი 70 კვ.მეტრი.

1998 წლის 14 მაისს ი. კ-ისა და თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელს შორის გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება №26-181, რომლის საფუძველზეც ი. კ-ის გადაეცა სამოთახიანი ბინა, საცხოვრებელი ფართით 45კვ.მეტრი, საერთო ფართით 70 კვ.მეტრი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №....

1999 წლის 13 ივლისს ი. კ-ის წარმომადგენელსა და ჯ. ტ-ის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ქ. თბილისში, ..., კორპ. №..., ბინა №...-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი 3000 ლარად გასხვისდა ჯ. ტ-ის სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელმა ხსენე-

ბული უძრავი ქონება 2000 წლის 07 აპრილის საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გაასხვისა რ. კ-ას სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების გაუქმების შესახებ 2000 წლის 26 ივლისის №2-258 შეთანხმების მიხედვით, მათ შორის 2000 წლის 07 აპრილს დადებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაუქმდა.

ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2005 წლის 21 მარტს გაიცა თ. ნ-ეის სახელზე სამსახურებრივი ორდერი, რომლის თანახმადაც თ. ნ-ეს და მის ოჯახს, რომელიც შედგებოდა 3 სულისაგან, გადაეცათ საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №..., საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 16.03.05წ. №3-11/846 ნერილის საფუძველზე.

საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, 2000 წლის 07 აპრილის რ№2-90 ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავი ქონება, მდებარე: თბილისი, ... კორპუსი №..., ბინა №..., ფართი 45 კვ.მეტრი, მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 4720 კვ.მეტრი, 2015 წლის 23 თებერვლიდან საკუთრების უფლებით აღირიცხა რ. კ-ას სახელზე, თუმცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 18 მარტის №... გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე გაუქმდა რეგისტრაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/2562-13) თ. ნ-ეის სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის, ი. კ-ის, მესამე პირების – რ. კ-ას, ჯ. ტ-ის მიმართ, 1998 წლის 14 მაისის პრივატიზაციის №26-181 ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. ნ-ეის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის (საქმე №3პ/411-15) თ. ნ-ეის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. ნ-ეის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2017 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით (საქმე №ბს-645-641(კ-17)) თ. ნ-ეის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით რ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა და გამოთხოვილი იქნა მოპასუხეების თ. ნ-ეის, ი. ქ-ას, ა. ქ-ას და ნ. ქ-ას უკანონო მფლობელობიდან რ. კ-ას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე – ქ.თბილისი, ..., კორპუსი ..., ბინა №... (ს/კ: №...) და ნივთი თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მესაკუთრე რ. კ-ას.

სასამართლოს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 თებერვლის განჩინებით (საქმე №2ბ/5681-18) თ. ნ-ეის, ი. ქ-ას, ა. ქ-ას, ნ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 აპრილის განჩინებით, თ. ნ-ეის, ი. ქ-ას სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ი. კ-ის, მესამე პირების – ჯ. ტ-ის, რ. კ-ას მიმართ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ამჟამად სამართალმემკვიდრე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) 1969 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების (სადავო ბინის ი. კ-ისათვის გამოყოფის თაობაზე), თბილისის ისნის რაიონის აღმასკომის 1996 წლის 25 სექტემბერს გაცემული საბინაო ორდერის (ი. კ-ის ოჯახზე), თბილისის ისნის გამგეობასა და ი. კ-ის წარმომადგენელს შორის გაფორმებული 1998 წლის 14 მაისის №26-181-ი პრივატიზაციის ხელშეკრულების (უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... კორპუსი №..., ბინა №...-ზე), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილების (რეგისტრაციის შესახებ) ბათილად ცნობის თაობაზე, მოსარჩელე თ. ნ-ეის ნაწილში მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილების (რეგისტრაციის შესახებ) ბათილად ცნობის თაო-

ბაზე მოთხოვნის ნაწილში, დატოვებული იქნა განუხილველად, მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებაზე და აღნიშნა, რომ ბინების პრივატიზაცია წარმოდგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის(ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. განსახილველი ნორმის თანახმად, გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, ვინც წარმოდგენენ ამ საცხოვრებელი სახლის(ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს, ანუ აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები გამოთქვამენ ნებას, თავისი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მიზნით საკუთრებაში მიიღონ საცხოვრებელი სახლი(ბინა), რომელიც მათ გადაეცემული ჰქონდათ სარგებლობაში. აღნიშნულს, თავის მხრივ, ასევე ადასტურებს დასახელებული დადგენილების მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის(ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა და არც დავის სასამართლო განხილვისას არ ყოფილა მოსარჩელეთა მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 1969 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება ი. კ-ის ოჯახისათვის სადავო ქონების გამოყოფის შესახებ, აღნიშნულის საფუძველზე თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოს 1996 წლის 30 სექტემბრის ორდერი გაცემული ი. კ-ის სახელზე და თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელსა და ი. კ-ის შორის 1998 წლის 14 მაისის გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულება №26-181 განხორციელებულია საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევით და რომ არსებობს მათი ბათილად ცნობის

ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება ი. კ-ის განმარტებას, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მართოდენ აღნიშნული ვერ იქნება მიჩნეული გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველად, რამეთუ იგი წარმოადგენს მხოლოდ ი. კ-ის მიერ ზეპირი ფორმით გაკეთებულ განმარტებას, ხოლო მასში მითითებული გარემოებები საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით არ დასტურდება.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2562-13), რომლითაც თ. ნ-ეის სარჩელი მოპასუხეების საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის, ი. კ-ის, მესამე პირების: რ. კ-ას, ჯ. ტ-ის მიმართ, 1998 წლის 14 მაისის №26-181 პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ასევე, მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც რ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა და გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების თ. ნ-ეის, ი. ქ-ას, ა. ქ-ას და ნ. ქ-ას უკანონო მფლობელობიდან რ. კ-ას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე – ქ.თბილისი, ..., კორპუსი ..., ბინა №... (ს/კ №...) და ნივთი თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მესაკუთრე რ. კ-ას, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 თებერვლის განჩინებით (საქმე №2ბ/5681-18) თ. ნ-ეის, ი. ქ-ას, ა. ქ-ას, ნ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი ვერ იქნა რაიმე სახის მტკიცებულება, რაც უტყუარად დაადასტურებდა, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ორდერისა და პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების დროს საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. ნ-ემ და ი. ქ-ამ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის გაჩინებით თ. ნ-ისა და ი. ქ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. ნ-ისა და ი. ქ-ას მიერ. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ თ. ნ-ე, როგორც კონტრაქტორი 1994 წლიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ხოლო ბინის აღრიცხვაზეა 1999 წლიდან. მას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქ. თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის №12 სხდომის ოქმის გადაწყვეტილებით, როგორც კონტრაქტორს, გამოეყო სამოთახიანი ბინა, მისამართზე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №...-ში, ხოლო ზემოაღნიშნულ მისამართზე 2005 წლის 24 მარტს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ბალანსზე რიცხულ ბინაზე თავდაცვის სამინისტრომ 2005 წლის 21 მარტს გასცა ორდერი №3424, ორდერში ჩანერილები არიან, თ. ნ-ის მეუღლე – ი. ქ-ა და შვილები – ნ. და ა. ქ-აები. ამასთან, თ. ნ-ის მეუღლის ი. ქ-ას სახელზე აღირიცხა კომუნალური გადასახადის ქვითრები და 1999 წლის 20 ოქტომბრიდან უწყვეტად იხდიან გადასახადებს დღემდე.

1996 წლის 30 ნოემბერს საბინაო სხდომის №29 ოქმის მიხედვით, 4-ოთახიანი ფართით 58,4 კვ.მ. მდებარე: კრასნოდარის მხარის დაბა ..., 24-ე კვარტალში საცხოვრებელი სახლი გამოეყო ი. კ-ის ოჯახს. ი. კ-ის ოჯახმა მონაცვლეობით მიიღო სამაუწყებლო ბინა აღნიშნულ მისამართზე და გადავიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად რუსეთის ფედერაციაში. ქ. თბილისში, ..., კორპუსი №..., ბინა №... იყო და არის სამაუწყებლო ბინა და მისი გასხვისება არ ხდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

კასატორების მითითებით, საქართველოში სამაუწყებლო ბინაზე ორდერი №010686 გაცემულია ი. კ-იზე ამიერკავკასიის წერილის საფუძველზე 1969 წლის 25 სექტემბერს, ხოლო მტკიცებულებების შესაბამისად, ... №...-ში კორპუსი აშენებულია 1971 წელს და კიდევ, ორდერში ჩანერილია ი. კ-ი და მისი ოჯახის სამი წევრი მეუღლე და ორი შვილი და ამ დროს პირადობის მოწმობის თანახმად, ი. კ-ი დაბადებულია ... წელს. ე. კ-ი 13 წლის იყო სამხედრო სამსახურში და ჰყავდა ცოლ-შვილი. რაც, კასატორების მითითე-

ბით, რეალობას არ შეესაბამება.

კასატორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამმართველოს №8/1290 წერილით დასტურდება, რომ 2003 წლის 30 მაისის №54/131/კ წერილის თანახმად გადაეცათ ბალანსიდან ბალანსზე სამხედრო უწყების ბინა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... №..., ბინა №....

2000 წლის 18 აპრილს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მიმართული აქვს წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, რომ მოქმედება ბინის ყიდვა-გაყიდვა არის უკანონო და ითხოვდა ზომების მიღებას.

2016 წლის 19 ივლისს გაცემული ცნობის შესაბამისად, ქ. თბილისში, ..., კორპუსი №..., ბინა №... ირიცხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე.

კასატორები მიუთითებენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-5 მუხლზე, განმარტავს, რომ ვინაიდან, ი. კ-ი არასოდეს ყოფილა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე და მას უსასყიდლოდ ვერასოდეს გადაეცემოდა სადავო ბინა ამდენად, პრივატიზაციის ხელშეკრულება კასატორების განმარტებით, მიჩნეული უნდა იქნეს უკანონოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 11 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თ. ნ-ეისა და ი. ქ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული თ. ნ-ეისა და ი. ქ-ას საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ნ-ეისა და ი. ქ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1996 წლის 30 სექტემბერს, თბილისის სახალხო დეპუტატთა აღ-

მასრულებელი კომიტეტის საბჭომ ი. კ-ის სახელზე გასცა ორდერი, რომლის თანახმადაც პოლკოვნიკ ი. კ-ის და მის ოჯახს, რომელიც შედგებოდა 4 სულისაგან, გადაეცათ საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ.თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №.... აღნიშნული ორდერის გაცემის საფუძველად კი მითითებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 1969 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის 30.11.1996წ. სხდომაზე, განხილული იქნა ი. კ-ისა და მისი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საკითხი. კომისიის დადგენილებით ი. კ-ისა და მის ოჯახზე (შემადგენლობა 4 წევრი) განაწილდა 4-ოთახიანი ბინა, ფართით 58,4კვ.მეტრი, მდებარე: კრასნოდარის მხარის დაბა, ...ს 24-ე კვარტალი.

საქმეში წარმოდგენილი საბინაო პირობების შესახებ 1998 წლის 14 მაისის №631 ცნობის მიხედვით, ი. კ-ი წარმოდგენდა ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №...-ის დამქირავებელს, ამავე ცნობის თანახმად, ბინა შედგებოდა სამი ოთახისგან, საცხოვრებელი ფართი იყო 45 კვ.მეტრი, ხოლო საერთო ფართი 70 კვ.მეტრი.

1998 წლის 14 მაისს ი. კ-ისა და თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელს შორის გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება №26-181, რომლის საფუძველზეც ი. კ-ის გადაეცა სამოთახიანი ბინა, საცხოვრებელი ფართით 45კვ.მეტრი, საერთო ფართით 70 კვ.მეტრი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №....

1999 წლის 13 ივლისს ი. კ-ის წარმომადგენელსა და ჯ. ტ-ის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ქ. თბილისში, ..., კორპ. №..., ბინა №...-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი 3000 ლარად გასხვისდა ჯ. ტ-ის სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელმა ხსენებული უძრავი ქონება 2000 წლის 07 აპრილის საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გაასხვისა რ. კ-ას სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების გაუქმების შესახებ 2000 წლის 26 ივლისის №2-258 შეთანხმების მიხედვით, მათ შორის 2000 წლის 07 აპრილს დადებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაუქმდა.

ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2005 წლის 21 მარტს გაიცა თ. ნ-ეის სახელზე სამსახურებრივი ორდერი, რომლის თანახმადაც თ. ნ-ეს და მის ოჯახს, რომელიც შედგებოდა 3 სულისაგან, გადაეცათ საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №..., საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 16.03.05წ. №3-11/846 ნერილის საფუძველზე.

საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, 2000 წლის 07 აპრილის რ№2-90 ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავი ქონება, მდებარე: თბილისი, ... კორპუსი №..., ბინა №..., ფართი 45 კვ.მეტრი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 4720 კვ.მეტრი, 2015 წლის 23 თებერვლიდან საკუთრების უფლებით აღირიცხა რ. კ-ას სახელზე, თუმცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 18 მარტის №... გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე გაუქმდა რეგისტრაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №3/2562-13) თ. ნ-ეის სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის, ი. კ-ის, მესამე პირების – რ. კ-ას, ჯ. ტ-ის მიმართ, 1998 წლის 14 მაისის პრივატიზაციის №26-181 ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. ნ-ეის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის (საქმე №3პ/411-15) თ. ნ-ეის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. ნ-ეის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით (საქმე №ბს-645-641(კ-17)) თ. ნ-ეის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით რ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა და გამოთხოვილი იქნა მოპასუხეების თ. ნ-ეის, ი. ქ-ას, ა. ქ-ას და ნ. ქ-ას უკანონო მფლობელობიდან რ. კ-ას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე – ქ. თბილისი, ..., კორპუსი ..., ბინა №... (ს/კ: №...) და ნივთი თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მესაკუთრე რ. კ-ას.

სასამართლოს ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოდიებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასა-

მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 თებერვლის განჩინებით (საქმე №28/5681-18) თ. ნ-ეის, ი. ქ-ას, ა. ქ-ას, ნ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 აპრილის განჩინებით, თ. ნ-ეის, ი. ქ-ას სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ი. კ-ის, მესამე პირების – ჯ. ტ-ის, რ. კ-ას მიმართ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ამჟამად სამართალმემკვიდრე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) 1969 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების (სადავო ბინის ი. კ-ისათვის გამოყოფის თაობაზე), თბილისის ისნის რაიონის აღმასკომის 1996 წლის 25 სექტემბერს გაცემული საბინაო ორდერის (ი. კ-ის ოჯახზე), თბილისის ისნის გამგეობასა და ი. კ-ის წარმომადგენელს შორის გაფორმებული 1998 წლის 14 მაისის №26-181-ი პრივატიზაციის ხელშეკრულების (უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... კორპუსი №4, ბინა №...-ზე), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილების (რეგისტრაციის შესახებ) ბათილად ცნობის თაობაზე, მოსარჩელე თ. ნ-ეის ნაწილში მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილების (რეგისტრაციის შესახებ) ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნის ნაწილში, დატოვებული იქნა განუხილველად, მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში მიუთითებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენდა მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. ამავე დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემა ხორციელდებოდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სწარმო-დანესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთა ბალანსზეც ირიცხებოდა საცხოვრებელი სახლი (ბინა). დად-

გენილების მე-5 მუხლის თანახმად კი, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემოდათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები იყვნენ.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს – სადავო ქონების გამოყოფის შესახებ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ამჟამად სამართალმემკვიდრე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო) 1969 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების, ი. კ-ის სახელზე გაცემული თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოს 1996 წლის 30 სექტემბრის ორდერისა და 1998 წლის 14 მაისის №26-181 პრივატიზაციის ხელშეკრულების – უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №... – კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ 2016 წლის 19 ივლისის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის წერილზე, რომლის თანახმადაც, სადავო ქონება მდებარე: ქ. თბილისი, საექიმოს გას. კორპ. №..., ბინა №..., 1997 წლის 25 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაცემულია საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე. ამავე სარდლობის 2017 წლის 15 ნოემბრის წერილის შესაბამისად, საუწყებო ბინები არ გადაეცემოდა საკუთრებაში.

1996 წლის 30 სექტემბერს, თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის საბჭომ ი. კ-ის სახელზე გასცა ორდერი №010686, რომლის თანახმადაც პოლკოვნიკ ი. კ-ის და მის ოჯახს, რომელიც შედგებოდა 4 სულისაგან, გადაეცათ საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ.თბილისი, ..., კორპუსი №4, ბინა №.... აღნიშნული ორდერის გაცემის საფუძველად კი მითითებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 1969 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელიც ვერ იქნა მოძიებული.

თბილისის გარნიზონის საბინაო კომისიის 1996 წლის 30 ნოემბრის №29 სხდომის ამონაწერის თანახმად, განხილული იქნა საბინაო ფართების განაწილების საკითხი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და კომისიის დადგენილებით ი. კ-ისა და მის ოჯახზე (შემადგენლობა 4 წევრი) განაწილდა 4-ოთახიანი ბინა, ფართობი 58,4 კვ.მეტრი, მდებარე: კრასნოდარის მხარის დაბა, ...ს 24-ე კვარტალი.

საბინაო პირობების შესახებ 1998 წლის 14 მაისის №631 ცნობის შესაბამისად, ი. კ-ი წარმოადგენდა ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №...-ის დამქირავებელს, ამავე ცნობის თანახმად, ბინა შედ-

გეზოდა 3 ოთახისგან, საცხოვრებელი ფართი იყო 45 კვ.მეტრი, ხოლო საერთო ფართი 70 კვ.მეტრი.

1998 წლის 14 მაისს ი. კ-ისა და თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელს შორის გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება №26-181, რომლის საფუძველზეც ი. კ-ის გადაცემა სამ ოთახიანი ბინა, საცხოვრებელი ფართით 45 კვ.მეტრი, საერთო ფართით 70 კვ.მეტრი, მდებარე: ქ. თბილისი, ..., კორპუსი №..., ბინა №.... აღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ საცხოვრებელი ბინა ეკუთვნის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, მაშინ როდესაც სადავო საცხოვრებელი ბინა 1997 წლის 25 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაცემულია საქართველოს შვიარალეული ძალების ბალანსზე. ამასთან, საქმეში წარდგენილია ი. კ-ის განცხადება ნოტარიულად დამოწმებული, სადაც თავად ი. კ-ი მიუთითებს, რომ სადავო ბინის პრივატიზაციაში მას არ მიუღია მონაწილეობა და არც გაუყიდა იგი. პრივატიზაციის პერიოდში კერძოდ, 1998 წლის მარტიდან იგი იმყოფებოდა კრასნოდარში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები (კანონით დადგენილი წესით), ამდენად, სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, შეუძლია არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს ან შეაფასოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის მონაწილეთა ვალდებულებას წარმოადგენს, მათ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ. თავის მხრივ, სასამართლოს ვალდებულებაა, მხარეებს მისცეს მტკიცებულებათა წარდგენისა და საკუთარი პოზიციების დაცვის პროცესუალური შესაძლებლობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი მოსამართლეს პროცესში აქტიურ როლს ანიჭებს და აძლევს შესაძლებლობას, იზრუნოს საქმის მართებული გადაწყვეტისათვის საჭირო ინფორმაციისა თუ მტკიცებულებათა დამატებით მოპოვებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საკმარისად არ არის დასაბუთებული. საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს არსებული ფაქტობრივი გარემოებების პირობებში და საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების შესაბამისად, რამდენად იყო შესაძლებელი ი. კ-ზე გაცემულიყო ორდერი მაშინ, როდესაც იგი არ იყო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე და ორდერის გაცემის წელს იგი დაკმაყოფილდა ბინით კრასნოდარში. ასევე შესაფასებელია ის გარემოებაც, რომ ი. კ-ისა და თბილისის გარნიზონის სახლმმართველობის წარმომადგენელს შორის იმ დროს გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება, როდესაც სადავო საცხოვრებელი ბინა არ იმყოფებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე და მეორე მხარე – დასაკმაყოფილებელი ფიზიკური პირი არ იყო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში თ. ნ-ისა და ი. ქ-ას სასარჩელო მოთხოვნა ემყარება იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და საფუძვლებს, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ადრე განხილული საქმის ფარგლებში არ შეფასებულა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა/წარმოადგენს საქმის წარმოების შეწყვე-

ტის და არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ და საბოლოოდ საქმეზე მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ნ-ეისა და ი. ქ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა

**უძრავი ქონების ხანგრძლივი იჯარის წესით
სარგებლობაში გადაცემა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-262(2კ-21)

10 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 12 სექტემბერს მ. ს-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქო-
ნების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-
ნული სააგენტოს 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 პასუხით მას
უარი ეთქვა ნალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში მდებარე სასოფ-
ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (ს.კ. №... და ს.კ.
№...) ელექტრონული აუქციონის ფორმით გრძელვადიანი იჯარის
ფორმით განკარგვაზე გატანის თაობაზე განაცხადის დაკმაყოფი-
ლებაზე. ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვი-
თარების მინისტრის 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანებით
მას უარი ეთქვა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
ზემოთ მითითებული აქტის ბათილობასა და განაცხადის დაკმაყო-
ფილებაზე.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტები მიღებულია კანონის მოთხოვნათა დარ-
ღვევით, რის გამოც ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული

სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 პასუხის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანების ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის მოსარჩელე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე ახალი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ წალკის რაიონში, სოფ. ...ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების უძრავი ქონება (ს.კ. №..., დაზუსტებული ფართობი: 27 450.00 კვ.მ) საკუთრების უფლებით 2012 წლის 11 ივნისიდან ირიცხება სახელმწიფოს სახელზე. საჯარო რეესტრის ამონაწერით ასევე დგინდება, რომ წალკის რაიონში, სოფ. ...ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების უძრავი ქონება (ს.კ. №..., დაზუსტებული ფართობი 27 287.00 კვ.მ) 2012 წლის 11 ივნისიდან საკუთრების უფლებით ირიცხება სახელმწიფოს სახელზე.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ წალკის რაიონში, სოფ. ...ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების უძრავი ქონება (ს.კ. №..., დაზუსტებული ფართობი: 122 600.00 კვ.მ) საკუთრების უფლებით 2012 წლის 2 ოქტომბრიდან ირიცხება მ. ს-ის სახელზე. საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ წალკის რაიონში, სოფ. ...ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების უძრავი ქონება (ს.კ. №..., დაზუსტებული ფართობი: 30 000.00 კვ.მ) საკუთრების უფლებით 2011 წლის 13 სექტემბრიდან ირიცხება მ. ს-ის სახელზე.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 13 მაისის №09/72 წერილით ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს ეცნობა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ს.კ. №..., ს.კ. №..., ს.კ. №... და ს.კ. №...) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთებს. 2015 წლის 28 აპრილს სოფ. ...ში ჩატარებული საერთო კრების (ოქმი №4) შესაბამისად, სოფლის მოსახლეობა უარს ამბობდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების იჯარა-პრივატიზების ფორმით სხვა პირზე გასხვისებაზე, რადგან მითითებული მიწის ნაკვეთები 1992-1996 წლებში გადაეცა მოსახლეობას, რომლითაც ისინი დღემ-

დე სარგებლობენ და აქვთ სურვილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით შეისყიდონ თვითონ. მისი იჯარით გაცემის შესახებ კი წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობას ინფორმაცია არ ჰქონდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიზანშეწონილად მიაჩნდა მინის ნაკვეთების (ს.კ. №..., ს.კ. №..., ს.კ. №... და ს.კ. №...) იჯარა-პრივატიზების ფორმით გასხვისება.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველმა მოადგილემ 2016 წლის 22 აპრილს №01/853 წერილით მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრს და აცნობა, რომ ვინაიდან მოსახლეობამ ვერ მოახერხა განაწილებული მიწების დარეგისტრირება (უსახსრობის გამო, მაღალმთიანი რეგიონებიდან ჩამოსვლის ვერ მოხერხების გამო), რაც მრავლად არის ქვემო ქართლის რეგიონში, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია იმ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა იჯარით გაცემას, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული საკითხის გარკვევამდე.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 პასუხით მ. ს-ს ეცნობა, რომ ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის 2016 წლის 22 აპრილის №10/853 წერილის თანახმად, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. №... და ს.კ. №...) სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემა/პრივატიზება. შესაბამისად, მ. ს-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, მას ეცნობა, რომ ალტერნატიული უძრავი ქონების იჯარა/პრივატიზების ინიცირების შემთხვევაში, ცენტრი მზად იყო განეხილა საკითხი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2016 წლის 13 მაისს მ. ს-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 პასუხის ბათილად ცნობა მოითხოვა.

სსიპ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანებით მ. ს-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 13 მარტის №09/993 წერილის თანახმად, ს.კ. №... და ს.კ. №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირე-

ბული მინის ნაკვეთებით 1997 წლიდან სარგებლობენ ა. ა-ი მ. ა-ი, რომლებსაც სურვილი აქვთ, აღნიშნული მიწები შეისყიდონ პირდაპირი პრივატიზების ფორმით, ხოლო ნაკვეთების სხვა პირზე გადაცემა გამოიწვევს როგორც მოსარგებლეების, ასევე, სოფლის სხვა მოსახლეების უკმაყოფილებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წალკის მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნდა უძრავი ქონების (ს.კ. №... და ს.კ. №...) აუქციონის ფორმით იჯარით გადაცემა.

ამასთან, სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 14 მარტის №10/14727 წერილით მ. ს-ს ეცნობა, რომ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის 2018 წლის 14 მარტის №01/436 წერილისა და წალკის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 13 მარტის №09/993 წერილის თანახმად, წალკის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა სოფ. ...ში მდებარე მინის ნაკვეთების (ს.კ. №... და ს.კ. №...) იჯარით გაცემა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი იმ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო იმ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, რომელზეც იგი ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას. ამასთან, მის მიერ წარდგენილი არ იყო რაიმე სახის წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას დარღვეული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანებაში მითითებულ წალკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის განმარტებაზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებასთან/სარგებლობასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ პოზიციის მოთხოვნის შემთხვევაში, გამგებლის წარმომადგენლის ორგანიზებით ტარდება საერთო კრება, რათა გამოვლინდეს მოსახლეობის აზრი აღნიშნულთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში, საერთო კრების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ მ. ს-ის დაინტერესებაში არსებული მინის ნაკვეთები განაწილებული იყო მოსახლეობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 3 ივლისის №03/07/02 განკარგულების საფუძველზე და მოსახლეობა დღემდე სარგებლობდა აღნიშნული მინის ნაკვეთებით. შესაბამისად, საერთო

კრებაზე მოსახლეობამ დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია ქონებების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, რასთან დაკავშირებითაც წალკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა მიუთითა 2016 წლის 19 აპრილის №4 საერთო კრების ოქმზე, რომლის თანახმად, კრების 100%-მა უარი განაცხადა უძრავი ქონების იჯარის უფლებით გაცემაზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-6 და მე-7 მუხლებზე და განმარტა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო ქონებათა განკარგვასა და ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მის დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ თავისი კომპეტენციის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, კანონიერი იყო. ამასთან, ელექტრონული აუქციონის გამოცხადებაც არ იყო უპირობო გარანტი იმისა, რომ სადავო მიწის ნაკვეთები საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაეცემოდა აუცილებლად მოსარჩელეს, ვინაიდან აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა ნებისმიერ პირს, ვინც დაინტერესებას გამოხატავდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ს-ის სარჩელი უსაფუძვლო იყო და მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 გადაწყვეტილება კანონიერად იქნა მიჩნეული, ასევე, არ არსებობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-

გის 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 პასუხი და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე, ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი აქტის გამოცემა დაევალა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანება და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე, ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი აქტის გამოცემა დაევალა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საჭიროებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი, მათ შორის, ამავე კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, აქტის დასაბუთების შესახებ მოთხოვნების დაცვას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ აქტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმით იქნეს გამოცემული, ხოლო აქტის მატერიალური კანონიერება უკავშირდება აქტის შინაარსს, კერძოდ, აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შესაბამისობაში უნდა იყოს მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებთან, რაც, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განსახილველ საქმეზე არ განხორციელდა. კერძოდ, გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული ის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი, რამაც გამოიწვია უძრავი ქონების იჯარით გაცემაზე უარი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ სოფლის მოსახლეობის პოზიციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება აპრიორი არ შეესაბამებოდა აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების განკარგვის/სარგებლობის

უფლებით გადაცემის კანონით განსაზღვრულ მიზნებს. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე რომ, აპელანტის მიერ მითითებული სოფლის კრების ოქმის ნამდვილობა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სადავოდ იყო გამხდარი და აპელანტი მიუთითებდა სანინალმდეგო ფაქტობრივ გარემოებებზე. სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვისას სასამართლოს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდებოდა, რომ სადავო მინის ნაკვეთები დავის განხილვის მომენტისათვის არ იყო კერძო პირებზე პრივატიზებული და კვლავ იმყოფებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ამ პირობებში საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რა კონკრეტული საჯარო ინტერესის დაცვა განახორციელა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ იჯარის გაცემაზე უარის თქმით. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა აპელანტის მითითებაზე, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავდა მოსახლეობის წინააღმდეგობას მოთხოვნილი მინის ნაკვეთების იჯარით გაცემაზე და მიუთითებდა მის მიერ დამატებით მოპოვებულ ინფორმაციაზე, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სოფლის მოსახლეობა არ იყო წინააღმდეგი მომხდარიყო აღნიშნული მინის ნაკვეთების განკარგვა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხის გადაწყვეტა, მართალია, განეკუთვნება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს, თუმცა სასამართლოს მინიჭებული აქვს პროცესუალური კომპეტენცია, შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება არ გამორიცხავს აქტის დასაბუთების საჭიროებას. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას უნდა იხელ-

მძღვანელოს კანონმდებლობის საფუძველზე და არა მხოლოდ მიზანშეწონილობის მოსაზრებებით, რამდენადაც დისკრეციული უფლებამოსილება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი გამოყენება იზღუდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ რამდენადაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებული იყო, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით გამოცემული აქტები მიღებული იყო არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე, სახეზე იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისა და საკითხის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნების წინაპირობები. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კანონის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ უნდა განმარტებულიყო იმგვარად, რომ ადმინისტრაციული ორგანო ყველა შემთხვევაში ვალდებული იყო, განეხორციელებინა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განცხადების ხელახალი განხილვის დროს, უმთავრესია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების ფარგლებში, დეტალურად გამოკვლეულ იქნეს აპელანტის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის შესახებ მონაცემები, შეფასდეს საჯარო და კერძო ინტერესის პროპორციულობა და შესაბამისი დასაბუთებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სათანადო მტკიცებულებით დადასტურდება მაღალი საჯარო ინტერესის არსებობა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იქნება უარი უთხრას განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რა დროსაც ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემაზე უარის საფუძვლის ზუსტი მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ხელშემშლელი გარემოებების არარსებობის პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ მოსარჩელის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზების პროცესის ინიცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. შესაბამისად, მ. ს-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-

ცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და მოპასუხეებს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე, ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახალი აქტების გამოცემა უნდა დავალებოდათ. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების შესახებ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული აქტების სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნობა, იმ ეტაპზე, გამორიცხავდა მოსარჩელის ზემოაღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რადგან სადავო საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტას და აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმის გამოყენების სპეციფიკური წინაპირობები საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არაერთგზის განმარტებულა, რაც აყალიბებს მყარად დადგენილ სასამართლო პრაქტიკას. თუმცა კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველი საქმე არ განეკუთვნება აღნიშნული პრაქტიკით მოცულ საქმეთა ნუსხას.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააგენტომ განმეორებით უნდა გამოიკვლიოს საქმე, თუმცა არ ასახელებს, კონკრეტულად რომელი გარემოებები არ იქნა გამოკვლეული სადავო გადაწყვეტილების მიღების დროს. მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას საფუძველად დაედო სააგენტოში წარდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილად და თანმიმდევრულად გამოკვლევა. კასატორის შეფასებით, ის ფაქტი, რომ გამგეობამ უარი განაცხადა სადავო მინის ნაკვეთების აუქ-

ციონის წესით იჯარით გაცემაზე ან/და პრივატიზებაზე, სრულად ემყარება მოსახლეობის მოსაზრებას, რომლის საპირწონედ მოსარჩელის მიერ არავითარი მტკიცებულება არ ყოფილა წარდგენილი. ამასთან, აუქციონის წესით სადავო ქონების განკარგვა არ ნიშნავს მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილებას, შესაბამისად, მისთვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღებას.

კასატორის განმარტებით, მოსარჩელის მითითება, რომ სოფლის მოსახლეობა თანახმაა სადავო უძრავი ქონებების აუქციონის ფორმით განკარგვაზე, არ არის გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით. არც თავად სოფლის მოსახლეობას მიუმაართავს სააგენტოსათვის მსგავსი შინაარსის მოთხოვნით და არც მოსარჩელე დაუნიშნავთ მათ ერთპიროვნულ წარმომადგენლად. შესაბამისად, კასატორისათვის გაუგებარია სააპელაციო პალატის მხრიდან მოსარჩელის მხოლოდ ახსნა-განმარტების გაზიარება, მაშინ, როდესაც საქმეში წარმოდგენილია მატერიალური მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც, ირკვევა, რომ მოსახლეობა სადავო უძრავი ქონებების განკარგვის წინააღმდეგია.

ამასთან, კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ვერ იქნა მითითებული ვერც ერთი კონკრეტული გარემოება, რომელიც სააგენტოს მიერ არ იქნა მოკვლეული და შეფასებული ადმინისტრაციული წარმოების დროს, რომლის გამოკვეთა-შეფასებაც სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას შექმნიდა.

კასატორის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ორივე ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა-შესწავლის საფუძველზე, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რა უნდა გამოიკვლიოს სამინისტრომ 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანების ბათილად ცნობის გამო ან რა სახის წარმოება უნდა ჩაატაროს განმეორებით. ამასთან, ხსენებული ბრძანების გამოცემისას სამინისტრო მოქმედებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 თავის შესაბამისად, თუმცა დღეის მდგომარეობით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება შეუძლებელია, რადგან ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც სამინისტრომ 2016 წლის 15 აგვისტოს ბრძანებით შეაფასა, თავის მხრივ, ისევ სააპელაციო სასამართლოს მი-

ერ ბათილად იქნა ცნობილი და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ურთიერთსანაწილმდეგოა და აღუსრულებელია სამინისტროს ნაწილში.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული სამინისტროს ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სააგენტოს გასაჩივრებული აქტი ბათილად იქნა ცნობილი იმ მოტივით, რომ გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო სადავო აქტს, შეიცვალა სასამართლოში საქმის განხილვისას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააგენტოს უნდა ჩაეტარებინა წარმოება მ. ს-ის განცხადების განხილვის მიზნით, თუმცა არ უნდა გაეთვალისწინებინა ადგილობრივი თვითმმართველის თუ რწმუნებულის პოზიცია, მაშინ, როდესაც სწორედ აღნიშნული წარმოების შემადგენელი ნაწილია მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ყველა შესაძლო პრეტენზიის მოძიება, რათა სახელმწიფოს მხრიდან უძრავი ქონების განკარგვისას არ წარმოიშვას მომავალში სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულების შესრულების ობიექტური თუ სუბიექტური შეუძლებლობა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ სააგენტოს უნდა გადაემოწმებინა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიწოდებული პოზიცია, რადგან სასამართლო სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულება აღნიშნული პოზიციის სისწორეს გამორიცხავდა. კასატორი მიიჩნევს, რომ მითითებული მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სააგენტოს და სამინისტროს 2021 წლის მდგომარეობით ეკისრება 2016 წლის განცხადების განხილვა, რაც, სამინისტროს შეფასებით, არ არის შესაბამისობაში მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონო-

მიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ს-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო უპირველესად ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორები წარმოდგენილ საკასაციო საჩივრებში სადავოდ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დავის გადაწყვეტას, უფრო კონკრეტულად კი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გაურკვეველია, რა სახის ადმინისტრაციული წარმოება უნდა ყოფილიყო ჩატარებული და რა საკითხები უნდა გამოკვლეულიყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი როგორც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ძირითადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტი, აგრეთვე, მ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანება. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა მ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ძირითადი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესწავლა. შესაბამისად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სადავო ბრძა-

ნების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა სწორედ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილის კანონიერების შემოწმების მიზნით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამინისტრო არ წარმოადგენდა იმ ორგანოს, რომელსაც კანონით უშუალოდ მინიჭებული აქვს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გრძელვადიანი იჯარის წესით გაცემის საკითხის გადაწყვეტის კომპეტენცია. მოცემულ შემთხვევაში, სამინისტრო მოქმედებდა როგორც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მმართველობითი საქმიანობა უკავშირდება ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების (ამ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რევიზირებას. ამდენად, სადავო საკითხის შეფასებაში სამინისტროს ჩართულობას განაპირობებს, უმეტესწილად, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამინისტრო საკუთარი ინიციატივით ამოწმებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის კანონიერებას), რა დროსაც გადამწყვეტია არსებობდეს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მაშინ, როდესაც ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად არის ცნობილი, პროცესუალურ-სამართლებრივად დაუშვებელია სასამართლოს მიერ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ასევე სადავო საკითხის გადაწყვეტლად გაბათილება. ასეთ შემთხვევაში, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოს მხრიდან პრაქტიკულად ევალება ხელახლა იმსჯელოს ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებული იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე, რომელიც სასამართლოს მიერვე ბათილად არის ცნობილი და აღარ არსებობს. გარდა იმისა, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა განაპირობებს პროცესუალურ გაუმართავობას და ბუნდოვანებას, ამასთანავე, აფერხებს გადაწყვეტილების აღსრულებას, იწვევს სადავო სამართალურთიერთობასთან მიმართებით საკითხის კვლევისა და გადაწყვეტილების მიღებაზე კომპეტენტური ორგანოების დუბლირებას. მაშინ, როდესაც ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება კანონმდებლობით მინიჭებული აქვს კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს, დაუშვებელია, იმავე საკითხთან მიმართებით, თუნდაც კოორდინირებულად, პარალელურად იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს იმა-

ვე სისტემაში მოქმედმა სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომაც, განსაკუთრებით კი – ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. საკასაციო სასამართლო ასევე დამატებით აღნიშნავს, რომ დავის ამგვარი გადაწყვეტა მხარეს პრაქტიკულად უსპობს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთჯერადი გასაჩივრების შესაძლებლობას, რამდენადაც ზემდგომი ორგანო სასამართლოს გადაწყვეტილებითვე პრაქტიკულად ჩართულია პირველად ადმინისტრაციულ წარმოებაში, რისი გათვალისწინებითაც, იგი ფაქტობრივად მონაწილეობს იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც საბოლოო ჯამში, შესაძლოა ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეს სადავოდ გაეხადა.

ამდენად, იმ პირობებშიც კი, თუკი საკასაციო სასამართლო გაიზიარებდა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობებსა და შეფასებებს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ორივე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობა მოკლებულია როგორც ფაქტობრივ, აგრეთვე, პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის თანხვედრაში გადაწყვეტილებაში ასახულ მსჯელობასთან, რამდენადაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გაუწყვეტლად ბათილად ცნობით სააპელაციო სასამართლომ პრაქტიკულად მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო. შესაბამისად, იმ სამართლებრივი შედეგის მისაღწევად, რომლის დადგომაც სააპელაციო სასამართლომ განიზრახა, სასამართლოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანება არა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, არსებითად უნდა გაებათილებინა.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მსგავსი მიდგომა ჩამოყალიბებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკით, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის პირობებში,

წარმოიშობა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების არა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, არამედ არსებითად ბათილად ცნობის საჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო პალატა არ ეთანხმება სადავო სამართალურთიერთობის გადაწყვეტის მიზნით სააპელაციო სასამართლოს მიერ კონკრეტული პროცესუალურ-სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებას, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობას სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 პასუხით მ. ს-ს ეცნობა, რომ ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის 22.04.2016წ. №10/853 წერილის თანახმად, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. ... და ს.კ. ...) სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემა/პრივატიზება. შესაბამისად, მ. ს-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, მას ეცნობა, რომ ალტერნატიული უძრავი ქონების იჯარა-პრივატიზების ინიცირების შემთხვევაში, ცენტრი მზად იყო განეხილა საკითხი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. 2016 წლის 13 მაისს მ. ს-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 პასუხის ბათილად ცნობა მოითხოვა. სსიპ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანებით მ. ს-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ეს კანონი ანესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სა-

აგენტო (შემდგომ - ქონების სააგენტო). ამავე კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონება არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების განკარგვა არის სახელმწიფო ქონების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა, პრივატიზება, მართვის უფლებით გადაცემა, რეალიზაცია, ლიზინგის ფორმით გაცემა, განაწილება და განადგურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება არის ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა ამ კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ფორმები და პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოები. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ფორმებია: ა) აუქციონი; ბ) პირდაპირი მიყიდვა: ბ.ა) პირდაპირი მიყიდვა; ბ.ბ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე; გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის ფორმით პრივატიზებას ახორციელებს ქონების მმართველი.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონებას სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, აუქციონის საფუძველზე, ქონების მმართველის თანხმობით, გადასცემს ის სახელმწიფო ორგანო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო, ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ეს ქონება სარგებლობაში აქვს გადაცემული ან ბალანსზე ერიცხება. თუ სახელმწიფო ქონება არ არის სარგებლობაში გადაცემული, მას ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სარგებლობაში გადასცემს ქონების მმართველი დადგენილი წესით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 აპრილის №10/20490 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მ. ს-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. დადგენილია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 13 მაისის №09/72 წერილს, რომლითაც ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს ეცნობა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ს.კ. ..., ს.კ. ..., ს.კ. ... და ს.კ. ...) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთებს. 2015 წლის 28 აპრილს სოფ. ...ში ჩატარებული საერთო კრების (ოქმი №4) შესაბამისად, სოფლის მოსახლეობა უარს ამბობს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების იჯარა/პრივატიზების ფორმით სხვა პირზე გასხვისებაზე, რადგან მითითებული მიწის ნაკვეთები 1992-1996 წლებში გადაეცა მოსახლეობას, რომლითაც დღემდე სარგებლობენ და აქვთ სურვილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით შეისყიდონ თვითონ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიზანშეუწონლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის (ს.კ. ..., ს.კ. ..., ს.კ. ... და ს.კ. ...) იჯარა/პრივატიზების ფორმით გასხვისება.

საქმის მასალებით, კერძოდ, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველი მოადგილის 2016 წლის 22 აპრილს №01/853 წერილით ასევე დგინდება, რომ ვინაიდან მოსახლეობამ ვერ მოახერხა განაწილებული მიწების დარეგისტრირება (უსახსრობის გამო, მაღალმთიანი რეგიონებიდან ჩამოსვლის ვერ მოხერხების გამო), რაც მრავლად არის ქვემო ქართლის რეგიონში, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია იმ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა იჯარით გაცემას, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული საკითხის გარკვევამდე.

ამასთან, წალკის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 13 მარტის №09/993 წერილის საფუძველზე დგინდება, რომ ს.კ. ... და ს.კ. ... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებით 1997 წლიდან სარგებლობენ ა. ა-ი მ. ა-ი და სურვილი აქვთ აღნიშ-

ნული მიწები შეისყიდონ პირდაპირი პრივატიზების ფორმით და მათი სხვა პირზე გადაცემა გამოიწვევს როგორც მოსარგებლების, ასევე სოფლის სხვა მოსახლეობის უკმაყოფილებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნალკის მუნიციპალიტეტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა უძრავი ქონების (ს.კ. ... და ს.კ. ...) აუქციონის ფორმით იჯარით გადაცემა.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის 15 აგვისტოს №1-1/423 ბრძანებაში მითითებულ ნალკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის განმარტებაზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებასთან/სარგებლობასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ პოზიციის მოთხოვნის შემთხვევაში, გამგებლის წარმომადგენლის ორგანიზებით ტარდება საერთო კრება, რათა გამოვლინდეს მოსახლეობის აზრი აღნიშნულთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში, საერთო კრების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ მ.ს-ის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთები განაწილებულია მოსახლეობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 3 ივლისის №03/07/02 განკარგულების საფუძველზე და მოსახლეობა დღემდე სარგებლობს აღნიშნული მიწის ნაკვეთებით. შესაბამისად, საერთო კრებაზე მოსახლეობამ დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია ქონების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით ნალკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა მიუთითა 2016 წლის 19 აპრილის №4 საერთო კრების ოქმზე, რომლის თანახმად, კრების 100%-მა უარი განაცხადა უძრავი ქონების იჯარის უფლებით გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლზე, რომლითაც განმტკიცებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც ფუნდამენტური კონსტიტუციური ღირებულება. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ქვეშ მოაზრებული ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპის არსი სახელისუფლებო შტოთა შორის ურთიერთმაკონტროლებელი, ურთიერთგამანონანსოებელი და ურთიერთდამაბალანსებელი მექანიზმის შექმნაში მდგომარეობს. აღნიშნული პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ფუნქციით არის აღჭურვილი. სასამართლო ხელისუფლების რევიზორული ბუნება კი დაუშვებელს ხდის სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოს ფუნ-

ქციის შეთავსებას და მის მიერ მმართველობითი ღონისძიების განხორციელებას. კონსტიტუციით გავლებული სახელისუფლებო ზღვრის პარალელურად კი, სასამართლო ხელისუფლების მაკონტროლებელი ფუნქცია კიდევ უფრო მეტად იბოჭება მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე იღებს. ასეთ დროს კონტროლის შეზღუდული ფარგლებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლების გათვალისწინებით, შეამოწმოს მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, რომელიც, თავის მხრივ, საჯარო და კერძო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირებასა და ურთიერთდაბალანსებას უნდა დაეფუძნოს. დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების პროცესში კი, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება შეცვალოს სასამართლოს მიხედულებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო ქონების ფიზიკური პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო ქონების სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, აუქციონის საფუძველზე სარგებლობაში გადაცემა სახელმწიფოს ერთპიროვნულ ნებას ეფუძნება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. განსხვავებით რეგულარული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებისაგან, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი ფორმით, ხანგრძლივი იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემის პროცესი რამდენიმე ეტაპიანია და მოიცავს, უპირველესად, სახელმწიფოს მხრიდან მისი იჯარის წესით გაცემის მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენის საჭიროებას და ასევე აუქციონში გამარჯვებული პირის მიმართ იჯარის ხელშეკრულების გაფორმებას, ორმხრივი ნების გამოვლენის ფარგლებში არსებით პირობებზე შეთანხმების მიზნით. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემის/პრივატიზების პროცესის წამოწყება სახელმწიფოს ნების ავტონომიის სფეროს განეკუთვნება, შესაბამისად, საკმარისი საჯარო-სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში, დაუშვებელია სახელმწიფოს ნებაზე იძულება, მისი დავალდებულება, მოახდინოს სახელმწიფოს საკუთრებაში არ-

სებული უძრავი ქონების განკარგვა. საკასაციო სასამართლო პარალელურად აღნიშნავს, რომ ცხადია, სახელმწიფო ქონების განკარგვის უფლებას არ უნდა იყენებდეს ბოროტად, სახელმწიფოს მხრიდან ქონების განკარგვაზე უარის გაცხადება არ უნდა იყოს თვითნებური და არ უნდა ეფუძნებოდეს ყოველმხრივ უსაფუძვლო მიზეზებს. თუმცა უძრავი ქონების განკარგვის დაუშვებლობასთან მიმართებით საკმარისად დასაბუთებული საჯარო ინტერესის დადასტურების შემთხვევაში, სასამართლო კონტროლის ფარგლები შეზღუდულია სახელმწიფოს ნების ავტონომიით, რამდენადაც ქონების განკარგვის მიმართ ნების გამოვლენის თავისუფლება განაპირობებს გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების შესაძლებლობას, ხოლო მასში სასამართლოს შეჭრა არღვევს საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ასეთ დროს, სასამართლო ხელისუფლება პრაქტიკულად ანაცვლებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და თავად ახორციელებს მმართველობით ღონისძიებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მხრიდან გამოკვლეულ იქნა მოსახლეობის დამოკიდებულება უძრავი ქონების გრძელვადიანი იჯარის წესით გაცემის საკითხთან დაკავშირებით. სოფელ ...ის მოსახლეობამ ერთხმად უარი განაცხადა სადავო უძრავი ქონების იჯარა-პრივატიზების ფორმით სხვა პირზე გასხვისებაზე. საქმეში წარმოდგენილი მასალებით ცალსახად არის დადასტურებული სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულება მ. ს-ის მიერ უძრავი ქონებების გრძელვადიანი იჯარით სარგებლობაში მიღებასთან დაკავშირებით. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთები წარმოადგენს სახნავ ტერიტორიებს, რაც ასევე ადასტურებს მიწის ნაკვეთების საჯარო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას და აღნიშნული ტერიტორიებით სარგებლობის მიმართ სოფლის მაცხოვრებელთა საჯარო ინტერესს.

ამდენად, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო საკითხის გადაწყვეტის მიზნით არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულების გამორკვევის საჭიროება. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დაცულია საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობა, რამდენადაც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით ცხადად დადასტურდა საჯარო ინტერესის უპირატესობა კერძო ინტერესთან მიმართებით. უფრო

კონკრეტულად, მ. ს-ის ინდივიდუალურ ინტერესს, ისარგებლოს საკმაოდ დიდი მოცულობის სახნავი ტერიტორიით, შეუპირისპირდა ამავე ტერიტორიის გამოყენების მიმართ სოფლის მოსახლეობის ინტერესი. იმ პირობებში, როდესაც მუნიციპალიტეტის მოკვლევით ცალსახად არის დადასტურებული, რომ სოფლის მოსახლეობა დღემდე იყენებს აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს და მათ აქვთ სადავო უძრავი ქონების პრივატიზების ინტერესი, საკასაციო სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს მ. ს-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. თავის მხრივ, საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს, რომ იმ პირობებში, როდესაც არსებობს საკმარისი და დასაბუთებული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი მ. ს-ისათვის უძრავი ქონების გრძელვადიანი იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემაზე უარის თქმისა, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ზემოქმედება მოახდინოს ადმინისტრაციული ორგანოს ნებაზე, გასცდეს სასამართლო კონტროლის ფარგლებს და დაავალდებულოს აღმასრულებელი ორგანოები, განახორციელონ მმართველობითი საქმიანობა მოსარჩელისათვის ქონების გრძელვადიანი იჯარის წესით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ს-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილე-

- ბა და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-699(კ-19)

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 12 მარტს ი. ტ-იმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2017 წლის 24 თებერვლის №10/8996 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 9 თებერვლის №1-1/56 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის მოიჯარე ი. ტ-ითან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მარტის განჩინებით ი. ტ-ის სარჩელი,

მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 მარტის განჩინებით ი. ტ-ის სარჩელი, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2017 წლის 24 თებერვლის №10/8996 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად, კანონით დადგენილ ვადაში ი. ტ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 9 თებერვლის №1-1/56 ბრძანება.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ცალ-ცალკე გაასაჩივრეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ი. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის პირველ და მე-12 მუხლებზე, აგრეთვე „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საჯარო აუქციონის ფორმით და სახელმწი-

ფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 სექტემბრის №1-1/1565 ბრძანების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნა, რომ იზიარებდა აპელანტის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მსჯელობას, რომ ზემოაღნიშნული მუხლი შეიცავდა იმ აუცილებელი დოკუმენტის ჩამონათვალს, რაც უნდა დართოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ განცხადებას, მათ შორის იყო საიჯარო ხელშეკრულება, საიჯარო ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და გამგეობის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის თაობაზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ განცხადების განხილვისათვის მითითებული დოკუმენტები ერთმანეთთან შესაბამისობაში ყოფილიყო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძვლად მითითებული იყო №42 დადგენილება. ხსენებული დადგენილებით ი. ტ-ის გამოეყო 50 ჰა სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი. იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა საერთო ფართობით 21.53 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. ამასთან, იჯარის ხელშეკრულებაზე თანდართული იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთების ტერიტორიის გეგმის თანახმად, ი. ტ-ის გადაეცა 16.21 ჰა სახნავი, 0,57 ჰა მდელო, 4,15 ჰა საძოვარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, №42 დადგენილებაში მითითებული მიწის ნაკვეთი არ შეესაბამებოდა აღნიშნული დადგენილების საფუძველზე გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში მითითებულ მიწის ნაკვეთებს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის იჯარით გაცემა განხორციელდა წალკის რაიონის გამგეობის მიერ, თუმცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების საკითხის განხილვა სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა. სააგენტო ვალდებული იყო შეემოწმებინა განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები და ამის შემდეგ ემსჯელა სახელმწიფო საკუთ-

რებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანშეწონილობაზე. პალატის მითითებით, საქმეში დაცული მტკიცებულებები ადასტურებდა №42 დადგენილებასა და მის საფუძველზე გაფორმებულ №434 შეთანხმებას შორის შეუსაბამობას. განცხადების განხილვის ეტაპზე ხსენებული შეუსაბამობის გამოვლენა სააგენტოს წარმოუშობდა ვალდებულებას გადანყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიეღო აღნიშნული გარემოება, რაც თავის მხრივ, არსებით გავლენას ახდენდა საბოლოო გადანყვეტილების ფორმირებაზე, იმ პირობებში, როდესაც იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებდა პირდაპირი მიყიდვისათვის დადგენილ აუცილებელ წინაპირობებს. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აპელანტი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული სადავო აქტები სრულ შესაბამისობაში იყო სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, რაც მათი ბათილად ცნობის საფუძველს არ ქმნიდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 მარტის გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ტ-იმა, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხის გადანყვეტას. კასატორი მიუთითებს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის II თავი ადგენს იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების წესს. აღნიშნული კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებს იმ პირობებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს მოიჯარემ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პირდაპირი მიყიდვის ფორმით მიწის ნაკვეთის პრივატიზებისას. ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული სამეურნეო ან დამხმარე ნაგებობის (ნაგებობების) ან/და მრავალწლიანი ნარგავების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის მოიჯარემ განცხადებით უნდა მიმართოს ქონების სააგენტოს ან მის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოს, შესაბამისი რაიონის გამგეობის დადგენილების გამოცემიდან 2011 წლის 1 მაისამდე. მე-3 პუნქტი ითვალისწინებს იჯარით გაცემული მიწის

ნაკვეთის პირდაპირი ფორმით პრივატიზებას მიწის ნაკვეთის სა-
ჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძ-
ველზე.

ამდენად, კასატორი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული დანა-
წესით სახელმწიფო გამოხატა ნება ამ კანონით დადგენილ მოთ-
ხოვნათა შესაბამისად, მომხდარიყო იჯარით გაცემული ნაკვეთე-
ბის პრივატიზება. ამ დანაწესით სარგებლობის უფლება თანაბრად
მიენიჭა ყველა იმ ინდივიდს, რომლებიც აკმაყოფილებენ სახელ-
მწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სა-
მეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრი-
ვატიზების წესსა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართვე-
ლოს კანონის მოთხოვნებს.

კასატორი აღნიშნავს, რომ მან, როგორც დაინტერესებულმა
პირმა, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინა ყველა ის
დოკუმენტაცია, რასაც მას კანონი უწესებდა და მისთვის არ უნდა
დაეწესებინათ დამატებითი ბარიერი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2019 წლის 1 ივლისის განჩინებით (მოსამართლე –
ვასილ როინიშვილი) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე-
სო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვე-
ბობის შესაბამისებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ტ-ის საკასა-
ციო საჩივარი.

ამასთან, მოსამართლე – ვასილ როინიშვილის საკონსტიტუციო
სასამართლოს წევრად არჩევის გამო, 2020 წლის 24 ივნისს საქმე-
თა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით ზემოაღნიშ-
ნული ადმინისტრაციული საქმე განაწილდა საქართველოს უზენა-
ესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამარ-
თლე – ქ. ცინცაძეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2020 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-
ლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ი.
ტ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაიწყო მხარეთა დას-
წრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასა-
ლების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერე-
ბა-დასაბუთებულობის და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის
შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ტ-ის საკასაციო საჩივარი
უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ნალკის რაიონის გამგეობის 2004 წლის 29 ივნისის №42 დადგენილებით ი. ტ-ის გამოეყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იჯარით, კერძოდ 50 ჰა (სახნავი).

ნალკის რაიონის გამგეობის 2004 წლის 29 ივნისის №42 დადგენილების საფუძველზე 2004 წლის 10 ივლისს შედგა №434 შეთანხმება ნალკის რაიონის გამგეობასა და ი. ტ-ის შორის 21,53 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გადაცემის შესახებ, 10 წლით, იჯარის საფასური ყოველწლიურად განისაზღვრა 386,41 ლარით. აღნიშნული შეთანხმება დარეგისტრირებულია ნალკის რაიონის მიწის სამმართველოში. შეთანხმებით განისაზღვრა, რომ მეიჯარე მოიჯარეს იჯარით გადასცემს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ნაკვეთებს) თანდართული გეგმის, ექსპლიკაციის შესაბამისად, საიჯარო ობიექტების აღწერის ოქმის საფუძველზე.

იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) ტერიტორიის გეგმის მიხედვით, ექსპლიკაციით განსაზღვრულია ჯამში 21,53 ჰა, საიდანაც 16,21 არის სახნავი, 0,57 მდელო, ხოლო 4,15 საძოვარი. აღნიშნული გეგმა ხელმოწერილია მიწის რესურსების სამმართველოს უფროსის მიერ. გარდა ამისა, შეთანხმებას ერთვის საიჯარო ობიექტის აღწერის 4 ოქმი. №1 ოქმის მიხედვით, პირველი მიწის ნაკვეთია 11,21 ჰა ფართობით, სახნავი; №2 ოქმის მიხედვით, მეორე მიწის ნაკვეთია 5,0 ჰა ფართობით, სახნავი; №3 ოქმის მიხედვით, მესამე მიწის ნაკვეთია 0,57 ჰა ფართობით, სათიბი, ხოლო №4 ოქმის მიხედვით, მეოთხე მიწის ნაკვეთია 4,57 ჰა ფართობით, საძოვარი. ოთხივე ოქმი თარიღდება 2004 წლის 10 ივლისით და ხელმოწერილია შესაბამისი პირების მიერ. იჯარის თანხა გადახდილია და ი. ტ-ის დავალიანება არ გააჩნია.

ნალკის რაიონის გამგეობის 2004 წლის 30 აგვისტოს №72 დადგენილებით ი. ტ-ის გამოეყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იჯარით, კერძოდ, 5 ჰა (სახნავი) და 20 ჰა (სათიბი).

საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, ქვემოჩამოვლილი მიწის ნაკვეთები რეგისტრირებულია სახელმწიფოზე, ასევე 2004 წლის 2 ნოემბერს მათზე რეგისტრირებულია ი. ტ-ის იჯარის უფლება, კერძოდ ნალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ...ში არსებულ: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ ... – 46986.0 კვ.მ. (საძოვარი); სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ ... – 111624.0 კვ.მ. (სახნავი); სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ ... – 50000.0 კვ.მ. (სახნავი); სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე

ს/კ ... – 1014.0 კვ.მ. (სათიბი) და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ ... – 4735.0 კვ.მ. (სათიბი). ჯამში ი. ტ-ის იჯარის უფლება რეგისტრირებულია 214 359 კვ.მ. ანუ 21,435 ჰა.

ამასთან, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის 25 ივლისის №298/04 ცნობის შესაბამისად, ი. ტ-ის 2004 წლის 10 ივლისის №434 იჯარის ხელშეკრულებით სოფელ ... ტერიტორიაზე გაფორმებული 0,57 ჰა (სათიბი), 16,21 ჰა (სახნავი) და 4,75 ჰა (სადოვარი), ჯამში 21,32 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირა სრულად აქვს გადახდილი.

2011 წლის 27 აპრილს ი. ტ-მა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრში წარადგინა №281/7 განცხადება ზემოაღნიშნული უძრავი ნივთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მოთხოვნით.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2017 წლის 24 თებერვლის №10/8996 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ი. ტ-ის უარი ეთქვა წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე საიდენტიფიკაციო კოდებით: ..., ..., ..., ... და ... რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებაზე, იმ მოტივით, რომ წალკის რაიონის გამგეობის 2004 წლის 29 ივნისის №42 და 30 აგვისტოს №72 დადგენილებებსა და 2004 წლის 10 ივლისის №434 შეთანხმებას შორის არსებობს შეუსაბამობები.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2017 წლის 24 თებერვლის №10/8996 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 9 თებერვლის №1-1/56 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა იგივე საფუძველზე დაყრდნობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომ - ქონების სააგენტო).

მითითებული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების ფორმებია: ა) აუქციონი; ბ) პირდაპირი მიყიდვა; ბ.ა) პირდაპირი მიყიდვა; ბ.ბ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე; ბ.გ) იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვა; გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას ახორციელებს ქონების მმართველი. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების მმართველი განმარტებულია შემდეგნაირად: სამინისტრო, ქონების სააგენტო ან მათ მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ორგანო, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე პირი (გარდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისა, ასევე სააგენტოსი - მის მიერ სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეულ ქონებასა და განსაკარგავად გადაცემული მოძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულებისას), რომელიც ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული წესითა და ფორმით.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ექვემდებარება პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების აუცილებელი პირობაა სახელმწიფოსა და მოიჯარეს შორის გაფორმებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საიჯარო ხელშეკრულება. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საიჯარო ხელშეკრულების, საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე.

აღნიშნული კანონის მე-4 მუხლი ადგენს ჩამონათვალს იმ სახელმწიფო ქონებისა, რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზებას არ ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შემდეგი სახის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა: საძოვარი, გარდა 2005 წლის 30 ივლისამდე იჯა-

რით გაცემული საძოვრებისა და საძოვრებისა, რომლებიც დადგენილი წესით შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ გაცემული აქტით დამაგრებულია მათზე მდებარე, ფიზიკური ან/და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში არსებულ ან/და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 სექტემბრის №1-1/1565 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საჯარო აუქციონის ფორმით და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესზე“, რომლის მე-9 მუხლით განსაზღვრულია გამოსყიდვის თაობაზე პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოსათვის მიმართვის წესი. აღნიშნული წესის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის მოიჯარემ განცხადებით უნდა მიმართოს ქონების სააგენტოს, შესაბამისი რაიონის გამგეობის დადგენილების გამოცემიდან 2011 წლის 1 მაისამდე. განცხადებას უნდა დაერთოს: ა) საიჯარო ხელშეკრულება ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. საიჯარო ხელშეკრულების სხვა დანართების წარმოდგენლობა არ შეიძლება გახდეს განცხადების მიღებაზე ან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზი; ბ) საიჯარო ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ამონაწერზე თანდართული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა; საკადასტრო გეგმის არარსებობის შემთხვევაში ან თუ საკადასტრო გეგმა არ იძლევა დეტალურ სრულყოფილ ინფორმაციას მიწის ნაკვეთის თაობაზე, მაშინ განცხადებას დამატებით უნდა დაერთოს შესაბამისი უფლების მქონე პირის მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზი/ნახაზები; გ) ფიზიკური ან იურიდიული პირის ან/და მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების ასლები და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; დ) გამგეობის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის თაობაზე. ამავე მუხლის მე-20 პუნქტის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საიჯარო მიწაზე, რომელზეც იჯარით გაცემის გამგეობის დადგენილება გამოცემულია 2005 წლის 30 ივლისის შემდეგ, პირდაპირი მიყიდ-

ვის წესით პრივატიზება არ დაიშვება.

დადგენილია, რომ მოსარჩელე ი. ტ-ის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები იჯარით გადაცემული აქვს 2005 წლის 30 ივლისამდე, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე იჯარის უფლება რეგისტრირებული აქვს 2004 წლის 2 ნოემბერს. მოსარჩელემ კანონით განსაზღვრულ ვადაში, 2011 წლის 1 მაისამდე, მიმართა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და წარადგინა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზებისათვის საჭირო დოკუმენტები, კერძოდ, გამგეობის დადგენილება, საიჯარო ხელშეკრულება, საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და საკადასტრო გეგმა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის ი. ტ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას, შესაბამის დოკუმენტებში არსებული შეუსაბამობის საფუძველით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, ნალკის რაიონის გამგეობის 2004 წლის 29 ივნისის №42 დადგენილებასა და 2004 წლის 10 ივლისის გაფორმებულ №434 შეთანხმებას შორის არსებობს მიწის ნაკვეთის ფართობებს შორის განსხვავება, თუმცა დადგენილებისა და შეთანხმების ერთი მხარე ერთი და იგივე ადმინისტრაციული ორგანოა, №434 შეთანხმების დანართს ხელს აწერენ ის პირები, ვინც პასუხისმგებელნი იყვნენ შესაბამისი მიწების განსაზღვრასა და გამოყოფაზე, შეთანხმებაში საფუძვლად მითითებულია №42-ე დადგენილება, აღნიშნული შეთანხმება 2004 წელსვე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, სადაც, საფუძვლად მითითებულია 2004 წლის №42-ე დადგენილებაც.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში დაცულია ასევე, ნალკის რაიონის გამგეობის 2004 წლის 30 აგვისტოს №72 დადგენილება, რომლითაც ი. ტ-ის გამოეყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იჯარით, კერძოდ, 5 ჰა (სახნავი) და 20 ჰა (სათიბი), იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) ტერიტორიის გეგმის მიხედვით, ი. ტ-ის სახელზე ექსპლიკაციით განსაზღვრულია ჯამში 21,53 ჰა, საჯარო რეესტრში იჯარის უფლება ი. ტ-ის რეგისტრირებული აქვს 214 359 კვ.მ. ანუ 21,43 ჰა. მიწის ნაკვეთზე, რომლის პრივატიზებასაც იგი ითხოვს. გარდა ამისა, ნალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის 25 ივლისის №298/04 ცნობის შესაბამისად, ი. ტ-ის 2004 წლის 10 ივლისის №434 იჯარის ხელშეკრულებით სოფელ ...ს ტერიტორიაზე გაფორმებული 0,57 ჰა (სათიბი), 16,21 ჰა (სახნავი) და 4,75 ჰა (საძოვარი), ჯამში 21,32 ჰა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების

საიჯარო ქირა სრულად აქვს გადახდილი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ უმსჯელია და არ შეუფასებია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 21,50 ჰა მიწის ნაკვეთზე ი. ტ-ის კანონიერ უფლებასა და ინტერესზე და იმ საკითხზე, რომ 21.43 ჰა მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ი. ტ-იმა დაიცვა კანონით დადგენილი ყველა მოთხოვნა (იჯარის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია; საიჯარო ქირის სრულად გადახდა; ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილ ვადაში მიმართვა).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის თანახმად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლი სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთს აკისრებს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს და ავალდებულებს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები №ბს-626-596(კ-07); №ბს-1236(კ-18)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის

მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას – ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის №ბზ-463-451(კ-13) გადაწყვეტილება; 2020 წლის 17 სექტემბრის №ბზ-974(2კ-19) განჩინება).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2017 წლის 24 თებერვლის №10/8996 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ი. ტ-ის განცხადებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება, სასარჩელო მოთხოვნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 9 თებერვლის №1-1/56 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვა მაღალი ხარისხით, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ

არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გააკეთა დასაბუთებული დასკვნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2017 წლის 24 თებერვლის №10/8996 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 9 თებერვლის №1-1/56 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ი. ტ-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შენაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადავო საკითხის ასკის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტის პირობებში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ი. ტ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 400 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ი. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2017 წლის 24 თებერვლის №10/8996 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დავებულს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 9 თებერვლის №1-1/56 ბრძანება;

6. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ი. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საქალაქო და საკასაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 400 (100+300) ლარის ანაზღაურება;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. აკრედიტაციის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები

**ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების
დავალდებულება და ადმინისტრაციული ორგანოსთვის
ადმინისტრაციული წარმოების დავალბა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-876(კ-20)

25 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდუ-
ლი ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის (გაფართოების) აკრედი-
ტაციის შესახებ ხელშეკრულების დადების და შემდგომი პროცე-
დურების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ჭ...-მა“ 26.11.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპა-
სუხის სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრე-
დიტაციის ცენტრის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა აკრედიტა-
ციის ხელშეკრულების დადებისა და აკრედიტაციის პროცედურე-
ბის ჩატარების თაობაზე მოპასუხის დავალდებულება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს „ჭ...“ არის აკრედიტირებული ინ-
სპექტირების ორგანო. 30.08.2018წ. აკრედიტაციის ცენტრში წა-
რადგინა განცხადება, რომელიც დარეგისტრირდა და მიენიჭა ნო-
მერი 850. სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკ-
რედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 03.10.2018წ.
№01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და
პროცედურების“ საკ 1.1 7.2 მუხლიდან გამომდინარე განცხადე-
ბის რეგისტრაცია ნიშნავს, რომ განცხადება და თანდართული დო-
კუმენტები წარდგენილი იქნა წესებისა და პროცედურების შესა-
ბამისად. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მოპასუხემ კონკრეტული
საფუძვლის მითითებისა და დასაბუთების გარეშე უარი თქვა აკ-
რედიტაციის ხელშეკრულებისა გაფორმებასა და დამატებით სფე-

როში აკრედიტაციაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.01.2019წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში ჩაება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.05.2019წ. გადაწყვეტილებით შპს „ჭ...-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი ადგენს ნორმატიულ აქტთა ურთიერთმიმართებას, პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას. მითითებული საკანონმდებლო აქტის მე-13 მუხლის მიხედვით, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებაში, რომლის №1 დანართით განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისათვის დამატებითი პირობები. განსახილველ შემთხვევაში სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის 13.07.2018წ. წერილის საფუძველზე დგინდება, რომ 09.11.2017წ. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე აკრედიტაციის ცენტრის წამყვანმა შემფასებელმა განახორციელა შპს „ჭ...-ის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი. ჩატარებული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით 17.11.2017წ. შპს „ჭ...-ის“ ინსპექტირების ორგანოს მიენიჭა აკრედიტაცია განაცხადში მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებაზე. 30.08.2018წ. შპს „ჭ...-ის“ მიერ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრში წარდგენილ იქნა №850 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა პერსონალის ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციის სქემის თანახმად სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013 სტანდარტთან შესაბამისობაზე აკრედიტაციისთვის შესაბამისი პროცე-

დურების გავლა. სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის 01.10.2018წ. წერილით შპს „ჭ...-ს“ ეცნობა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. ბრძანებით ცვლილებები შევიდა 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებულ აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში და დადგინდა დამატებითი პირობები ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩამტარებელი ორგანოების მიმართ, რის გამო აკრედიტაციის ცენტრს არ აქვს უფლება, შპს „ჭ...-ის“ ინსპექტირების ორგანოს მიერ წარდგენილ განაცხადს მისცეს მსვლელობა. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „ჭ...-მა“ აკრედიტაციის ცენტრს განაცხადებით მიმართა 30.08.2018წ., ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. ბრძანებით ცვლილებები უკვე იყო შესული 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებულ აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში და დადგენილი იყო დამატებითი პირობები ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩამტარებელი ორგანოების მიმართ. მოსარჩელემ განაცხადებით პირდაპირ მიმართა აკრედიტაციის ცენტრს და მას არ წარუდგენია დამატებითი პირობებით გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულება, შესაბამისად მოპასუხეს არ ჰქონდა უფლება შპს „ჭ...-ის“ განაცხადებისთვის მიეცა მსვლელობა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია მისი უფლებების შეზღუდვის თაობაზე. მოსარჩელის ინტერესი მხოლოდ მაშინ არის დაცვის ღირსი, როდესაც ეს ინტერესი პატივსადება და შესაბამისად, კანონით არის დაცული. მოპასუხისათვის აკრედიტაციის ხელშეკრულების დადებისა და აკრედიტაციის პროცედურების ჩატარების დაავალდებულება წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის კანონით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებასთან, მატერიალურ სამართალთან და კანონის მიზნებთან. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.07.2018წ. (საქმე №ბს-389-389(კ-18)) განჩინებაზე და აღნიშნა, რომ უფლებისა თუ ხელშესახები კანონიერი ინტერესის მოსალოდნელი შელახვა უნდა იყოს არა ჰიპოთეტური, არამედ რეალური. თავის მხრივ, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მხარის არააბსტრაქტული, კონკრეტული მითითებების გარეშე დაადგინოს სუბიექტურ შეხედულებებთან დაკავშირებული უფლების დარღვევა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სასკ-ის მე-17 და სსკ-ის 102-ე მუხლებით განსაზღვრული ვალდებულების შე-

საბამისად, ვერ უზრუნველყო იმ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელზეც ის ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.05.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „ჭ...-ის“ მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.04.2020წ. განჩინებით შპს „ჭ...-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.05.2019წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა ის შესაძლებლობები და მექანიზმები, რაც კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და დავის საგანი არსებითი განხილვის გარეშე დატოვა. სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად, სწორედ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, აქტიურ სამართლოს გააჩნია ყველა ის საპროცესო მექანიზმი, რომელიც აუცილებელია საქმის სრულყოფილი და კომპლექსური განხილვისათვის. საქალაქო სასამართლომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე სამართლებრივი შეფასება მისცა სადავო საკითხს და მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საქალაქო სასამართლოს უნდა დაედგინა შპს „ჭ...-ის“ მიერ წარდგენილი განცხადებით მოთხოვნილი საკითხი რამდენად იყო აკრედიტაციის საგანი, ასევე დაედგინა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ხელშეკრულების დადების დავალების საფუძვლის არსებობა. შპს „ჭ...“-ს გააჩნდა კანონიერი ინტერესი მისი განცხადების განხილვისათვის და მისი უფლების თუ კანონიერი ინტერესის მოსალოდნელი შელახვა იყო რეალური, თუმცა აღნიშნული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ არ იქნა გაზიარებული. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. სსკ-ის 385.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე ხელახალი განხილვისათვის და თავად გადაწყვიტოს იგი, თუმცა სააპელაციო პალატის მოსაზრებით ყოველთვის არაა შესაძლებელი საკითხის გადაწყვეტა სააპელაციო სასამართლოს მი-

ერ, სწორედ ამიტომაცაა მითითებული ზემოაღნიშნულ ნორმაში შესაძლებლობის და არა ვალდებულების თაობაზე. სააპელაციო სასამართლო შეზღუდულია სააპელაციო მოთხოვნის ფარგლებით, განსხვავებით პირველი ინსტანციის მოთხოვნისაგან, რომელმაც ყველა სასარჩელო მოთხოვნაზე უნდა იმსჯელოს, ხოლო სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ მოთხოვნებზე მსჯელობს, რომელსაც მოსარჩელე არ ეთანხმება. ხსენებული ნორმა არ გულისხმობს იმას, რომ პირველი ინსტანციის ვალდებულება საქმის სრულყოფილად გამოკვლევის და გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთების შესახებ, შესაძლოა სრულად ჩანაცვლდეს სააპელაციო სასამართლოს, როგორც ფაქტების დადგენაზე პროცესუალურად ასევე უფლებამოსილი სასამართლოს მიერ. ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება ნორმის მიზანს, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას და ინსტანციურობის პრინციპს. წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგადად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სრულებით დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, ეს ვალდებულება სისტემატიურად გადაინაცვლებს სააპელაციო სასამართლოზე, რაც ფორმალურს გახდის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.04.2020წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა შპს „ჭ...-ის“ მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით. ანალოგიურ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ 29.01.2019წ. განჩინებაში აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენით იწყება ადმინისტრაციული წარმოების პროცესი, რომლის ერთ-ერთი ეტაპია ხელშეკრულების გაფორმება და მის საფუძველზე შეფასების პროცედურების წარმართვა. გასაჩივრებული განჩინება აკრედიტაციის პროცესზე მსჯელობას საერთოდ არ შეიცავს. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არის ჩამოყალიბებული.

კასატორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება ინციდენტურ კონტროლთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებისაგან. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე გამოიყენეს ნორმატიული აქტი სადავო საკითხთან მიმართებით, რომ არ გამოუკვლევიათ აღნიშნული ნორმატიული აქტის გამოცემის ორგანოს უფლებამოსილება ასეთი აქტის გამოცემაზე. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონი და პროდუქტის უსაფრთხოებისა და

თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, რომლის თანახმად აკრედიტაციის პროცედურების დადგენა არის მხოლოდ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის კომპეტენცია. კასატორმა მიუთითა საკასაციო სასამართლოს განჩინებებზე (საქმე №ბს-964-960(კ-17), 21.11.2017წ., საქმე №ბს-815-807(კ-16), 25.05.2017წ., საქმე №ბს-854-836(კ-12), 10.10.2013წ., საქმე №ბს-403-398(კ-12), 13.02.2013წ., საქმე №ბს-654-626(2კ-08), 11.03.2009წ.) და აღნიშნა, რომ მითითებულ განჩინებებში, სსკ-ის 6.3 მუხლზე მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო მსჯელობს ინციდენტურ კონტროლზე. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გადმოსცემს კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით სახელმწიფოს (აღმასრულებელი ხელისუფლების) შეზღუდვის, ხოლო კონსტიტუციით მთელი სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის იდეას (საქმე №ბს-1020(კ-18), 12.09.2019წ. გადაწყვეტილება).

კასატორმა მიუთითა, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც გამოიყენეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 05.02.2020წ. გადაწყვეტილებით არარა აქტად იქნა აღიარებული იმ საფუძველით, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ იყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის მარეგულირებელი ნორმის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ინციდენტური კონტროლი, რაც სსკ-ის 395.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დაშვების საფუძველს ქმნის.

კასატორმა აღნიშნა, რომ ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაცია კანონით განეკუთვნება მოპასუხის უფლებამოსილებას, შესაბამისად, შპს „ჭ...“ განცხადება წარმოშობდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას დაეწყო და წარემართა ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები, შეეფასებინა საქმის გარემოებები და მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში შპს „ჭ...-მა“ მოპასუხეს 30.08.2018წ. წარუდგინა განცხადება, რომელიც დარეგისტრირდა, შესაბამისად, ამ დროიდან დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და მოპასუხეს წარმოეშვა კონსტიტუციითა და სზაკ-ით დაკისრებული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულება. მოპასუხეს სზაკ-ით დადგენილ ვადაში დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოუთხოვია, შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრს ადმინისტრაციული წარმოება უნდა გაეგრძელებინა და მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება – აკრედიტაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ფაქტები დადგენილია და არ არის სადავო, შესაბამისად, სააპელაციო

სასამართლოს შეეძლო არსებითი საკითხის სამართლებრივი შეფასება და ახალი გადაწყვეტილების მიღება. კასატორის მოსაზრებით განსახილველი დავის ფარგლებში შეფასებას საჭიროებს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების ვალდებულების არსებობა, სზაკ-ით ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი წესებისა და პირობებისაგან განსხვავებული წესებისა და პირობების კანონქვემდებარე აქტით დადგენის შესაძლებლობა, ასევე ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საკანონმდებლო აქტებისა თუ ამ საკანონმდებლო აქტებთან წინააღმდეგობაში მყოფი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენების მართებულობა.

შპს „ჭ...-ის“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სასკ-ის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საკასაციო საჩივრის განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე.

სსიპ აკრედიტაციის ცენტრის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა 17.11.2022წ. საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა წერილობითი მოსაზრება. მონინააღმდეგე მხარემ მიუთითა, რომ ინსპექტირების ორგანომ შპს „ჭ...-მა“ დამატებითი სფეროს აკრედიტიაზე განცხადებით აკრედიტაციის ცენტრს მიმართა 30.08.2018წ. (რეგ. №850) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. აღნიშნულის გამო შპს „ჭ...-ის“ განცხადებას არ მიეცა მსვლელობა. აკრედიტაციის ცენტრმა აღნიშნა, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სადავო საკითხზე არსებითი მსჯელობის გარეშე, შპს „ჭ...-ს“ გააჩნდა კანონიერი ინტერესი მისი განცხადების განხილვისათვის, მისი უფლებების თუ ხელშესახები კანონიერი ინტერესის მოსალოდნელი შელახვა იყო რეალური, თუმცა აღნიშნული არ იქნა უსაფუძვლოდ გაზიარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლოს საკასაციო წესით გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია სასამართლოს ინიციატივით დამატებითი ინ-

ფორმაციის ან მტკიცებულებების გამოთხოვის შესაძლებლობაზე, სასამართლოს აქტივიზმის აუცილებლობაზე საქმის სრულყოფილი განხილვისათვის, სააპელაციო სასამართლოს შეზღუდულ ფუნქციებზე. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო სააპელაციო სასამართლო არ უთითებს საქმეზე დასადგენ გარემოებებს, სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა არ ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის დაბრუნების საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საკითხზე, რომელსაც აყენებდა აპელანტი, კერძოდ, იმაზე თუ რამდენად იყო შესაძლებელი აკრედიტაციის დამატებითი პირობების დადგენა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ, რამდენად გამომდინარეობდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისაგან („საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონი, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი). სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია კანონსა და კანონქვემდებარე აქტს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანება) შორის კოლიზიის არსებობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში მის დასაძლევად ინციდენტური კონტროლის გამოყენებაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად აკრედიტაცია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სახის სუბიექტებისთვის კონკრეტული საქმიანობის სფეროში გარკვეული უფლებამოსილებების მინიჭებას (აღიარებას, დადასტურებას). მოქმედი კანონმდებლობით აკრედიტაცია განმარტებულია, როგორც ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზე სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციის მონმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისთვის, აკრედიტაციის ეროვნული სისტემა ემყარება ერთიან წესებსა და პრინციპებს, აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიების, სერტიფიკაციის ორგანოების, ინსპექტირების ორგანოების (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამონმებელი პირის) აკრედიტაციას, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლების გარეთ, დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 96.1, 96.4 მუხ.). აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, აკრედიტაციის ცენტრი აკ-

რედიტაციის მოწმობის გამოცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისთვის (განცხადებით მიმართვის დროს მოქმედი აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 31.12.20126. №07 ბრძანებით დამტკიცებული საკ 1.1:2012 – „აკრედიტაციის სქემები და პროცედურები“, 1.2 მუხ.), დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის (ამჟამად მოქმედი აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 10.04.20206. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული საკ 1.1:2020 – „აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“, მე-2 მუხ., 1-ელი პ., „ა“ ქვ.პ.). აკრედიტაციის პროცედურა მდებარეობს განმცხადებლის და სახელმწიფოს ინტერესების გადაკვეთის მიჯნაზე, აკრედიტაციის ინსტიტუტი არის აკრედიტაციასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ურთიერთობებზე სახელმწიფოს ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალება, რაც თავის მხრივ იძლევა მისი სახელმწიფო კონტროლის ფორმად განხილვის საშუალებას. როგორც წესი ლიცენზიისგან განსხვავებით, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირისთვის განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას, აკრედიტაცია ასევე მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტულ სფეროში სუბიექტის კვალიფიკაციის დადასტურებას, ამასთანავე აკრედიტაცია უმეტესად არის სახელმწიფო ორგანოს მიერ სუბიექტის განსაკუთრებული უფლებამოსილების აღიარების (დადასტურების) პროცედურა, თავისი ბუნებით აკრედიტაცია არის სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებული ფორმა, რომლის ფარგლებში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო აღჭურავს გარკვეულ სუბიექტს განსაკუთრებული უფლებამოსილებით. აკრედიტაცია, როგორც ადმინისტრაციული სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი გულისხმობს ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს ერთი მხრივ სახელმწიფო ორგანოს, ხოლო მეორე მხრივ განსაკუთრებული უფლებამოსილების მიღების მქონე სუბიექტს შორის. აკრედიტაციის პროცედურის გავლის შედეგად აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტაციის მოწმობის გაცემა ნიშნავს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ოფიციალურად აღიარებას შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განსახორციელებლად, შესაბამისად, როგორც პირველადი აკრედიტაციისას, ასევე მისი გაფართოებისას აკრედიტაციის ცენტრი ახდენს აკრედიტაციის მაძიებელი პი-

რის კომპეტენტურობის შეფასებას. აკრედიტაციის ცენტრის მიერ კომპეტენტურობის შეფასების ეტაპებს განსაზღვრავდა აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 31.12.2012წ. №07 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის სქემებისა და საერთო პროცედურების“ (საკ 1.1:2012) 4.2 მუხლი.

აკრედიტაციის ცენტრი შექმნა აკრედიტაციის სფეროში საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების მიზნით, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების“ 1.1 მუხ.). სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს. აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონის მიზნების განსახორციელებლად გამოსცემს ნორმატიულ აქტებს – ბრძანებებს და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – განკარგულებებს (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 97.1, 99.3 მუხ.). აკრედიტაციის ცენტრი შეიმუშავებს აკრედიტაციის წესებს და პროცედურებს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების“ მე-2 მუხ., „მ“ ქვ.პ., მე-3 მუხ. მე-4 პ. „გ“ ქვ.პ.). მოსარჩელის მიერ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენის დროისთვის მოქმედებდა სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 31.12.2012წ. №07 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის სისტემის წესები და პროცედურები“ (ძალადაკარგულია სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 03.10.2018წ. №01-1 ბრძანებით). ზოგადად, წესსა და პროცედურაში მოიაზრება დადგენილ ქცევათა ერთობლიობა პირის მიერ მისი უფლებების რეალიზაციისა და მისთვის მოვალეობების დაკისრების მიზნით. საერთო წესის მიხედვით პროცედურა გულისხმობს საკითხის მსვლელობის და განხილვის წესს, უფლება-მოვალეობათა რეალიზაციისათვის თანმიმდევრულ წესრიგს. არსებობს პროცედურის შემოღების განსხვავებული საშუალებები (კანონი, რეგლამენტი, წესი,

ინსტრუქცია და სხვ.). სზაკ-ით დადგენილი ზოგადი პროცედურები გამოიყენება სპეციალური მონესრიგების არარსებობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა პროცედურის სპეციალური მონესრიგება, რაც ქმნის აკრედიტაციის მიმართ სპეციალურად დადგენილი წესის გამოყენების საფუძველს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ დებულებაში 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით შეტანილი დამატებების შედეგად დებულებას დაემატა 21 მუხლი, რომლის თანახმად „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ 01.12. 2017წ. №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები განისაზღვრა დებულების №1 დანართით (დებულების 2' მუხლი და №1 დანართი გაუქმებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 03.02.2021წ. №1-1/27 ბრძანებით). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით დამტკიცდა აგრეთვე სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დანართი №1, რომლითაც დადგინდა ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები. ამ დანართით განისაზღვრა, რომ ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისთვის დამატებითი პირობების დადგენას, შესარჩევი პროცესის წარმართვას და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენას ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ამავე დებულებით დადგენილი წესით. აღნიშნული დანართი ასევე აწესრიგებდა ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავებულ საკითხებს: განსაზღვრავდა აკრედიტაციის მიღების წესებს და ვადებს, ადგენდა შესარჩევი პროცესის წარმართვასა და გამარჯვებულის გამოვლენაზე პასუხისმგებელ ორგანოს, შერჩევის პროცესში მონაწილეობის პირობებს, ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურს და სხვ.. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიღების შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 03.02.2021წ. №1-1/27 ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებულ აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში, ამოღებულ

იქნა დებულების 2¹ მუხლი და დებულების №1 დანართი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ინსპექტირების ორგანომ – შპს „ჭ...-მა“ 30.08.2018წ. განცხადებით მიმართა აკრედიტაციის ცენტრს დამატებით სფეროში აკრედიტაციის მოთხოვნით, ამდენად, კასატორმა აკრედიტაციის ცენტრში განცხადება აკრედიტაციის ცენტრის დებულების №1 დანართის მოქმედების პერიოდში წარადგინა, განცხადებას მსვლელობა არ მიეცა №1 დანართით გათვალისწინებული დამატებითი პირობებისადმი მისი შეუსაბამობის გამო, თუმცა განსახილველი დავის მიმდინარეობისას შეიცვალა აღნიშნული საკითხის ნორმატიული მოწესრიგება, კერძოდ, დებულების №1 დანართით გათვალისწინებული აკრედიტაციის დამატებითი პირობები გაუქმდა და დღეის მდგომარეობით აღარ მოქმედებს. განსახილველ საქმეზე აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმ სამართლებრივი შედეგების შეცვლას, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წარმოიშვა. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელეს (კასატორს) აკრედიტაციის ხელშეკრულების და ზოგადად აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებაზე, შპს „ჭ...-ის“ განცხადების განხილვაზე უარი ეთქვა სწორედ იმ საფუძველზე, რომ დაცული არ იყო აკრედიტაციის ცენტრის დებულების №1 დანართით გათვალისწინებული პირობა, რაც მდგომარეობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებაში. როგორც წესი, სამართლებრივი ნორმის ცვლილება/გაუქმება გავლენას არ ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე, თუ ეს უკანასკნელი გამოცემული იქნა ამ ნორმის ცვლილებამდე/გაუქმებამდე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგ. საჯარიმო სანქციის შეფარდების მართლზომიერების შეფასებისას (იხ. სუსგ 18.01.2018წ. საქმე №380-375(2კ-16)). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს არ შეადგენს არც ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის და არც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი, რომლითაც დადგინდა აკრედიტაციის დამატებითი პირობები ცალკე სასამართლო დავის საგანს შეადგენს), მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დავალდებულებას და ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების დავალებას. ვინაიდან დღეის მდგომარეობით ზემოთ მითითებული ნორმატიული მოწესრიგება არ არსებობს (გაუქმდა დანართი №1), სასარჩელო მოთხოვნის მართლზომიერება უნდა შემოწმდეს არა აკრედიტაცი-

ის ცენტრის დებულების №1 დანართთან შესაბამისობის თვალსაზრისით, არამედ ამჟამად მოქმედი აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების გათვალისწინებით. აკრედიტაციის პროცესში განმცხადებელი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული მოქმედებების განხორციელებაში, აგრეთვე საბოლოო ჯამში აკრედიტაციის მინიჭების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაში დაინტერესებული პირი. იმის გათვალისწინებით, რომ ნორმატიული აქტი სამართალურთიერთობებს აწესრიგებს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, ამასთანავე დავის განხილვის პროცესში გაუქმდა აკრედიტაციის დამატებითი პირობები, რომლებთანაც განცხადების შეუსაბამობის გამო აკრედიტაციის პროცედურები არ განხორციელდა, რაც აუმჯობესებს მოსარჩელის მდგომარეობას, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით, რომ განსახილველი სამართალურთიერთობა კასატორის მიერ სადავოდ არის გამოხდარი და შესაბამისად არ დასრულებულა, მოსარჩელისთვის საბოლოო შედეგს კი იწვევს სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო სადავო საკითხის გადაწყვეტის დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტის პერიოდს, ამასთანავე პროცედურული ნორმების არაპირდაპირი უკუქცევითი ანუ რეტროსპექტიული ძალის გათვალისწინებით (საკითხი იხილება მისი განხილვის დროს მოქმედი პროცედურის მიხედვით), შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ საკანონმდებლო ცვლილების შემდგომი სამართლებრივი რეჟიმის გამოყენება.

საკასაციო საჩივრის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისას ინციდენტური კონტროლის გამოუყენებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტა შესაძლებელია უკავშირდებოდეს ნორმებს შორის კოლიზიის გადაჭრას, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სათანადო ნორმატიული აქტის გამოყენების და სხვა, საწინააღმდეგო, კოლიზიაში მყოფი ნორმატიული აქტის გამოყენებაზე უარის თქმის საკითხის გადაწყვეტას. სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისას სასამართლო უფლებამოსილია ნაკლები იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის იერარქიულად უფრო მაღალი დონის ნორმატიული აქტისადმი შესაბამისობის საკითხი გადაწყვიტოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და ასეთი შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში უარი თქვას ნორმატიული აქტის გამოყენებაზე, მისი ფორმალური გაუქმების გარეშე (ინციდენტური კონტროლი). ამასთანავე, ის ნორმატიული აქტი, რომელიც შეუსაბამობის გამო არ იქნა გამოყენებული სასა-

მართლოს მიერ, ავტომატურად არ კარგავს ძალას და აგრძელებს მოქმედებას. სსკ-ის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის თანახმად, თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით (იხ. სუს 25.05.2017წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-815-807(კ-16)). მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ ადმინისტრაციული სასამართლონარმოების პერიოდში შეიცვალა ნორმატიული მონესრიგება, კერძოდ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ის ნაწილი (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების“ №1 დანართი), რომელიც კასატორს მიაჩნია შეუსაბამოდ იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ ნორმატიულ აქტებთან („საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონთან და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსთან), აღარ მოქმედებს, შესაბამისად, მოცემულ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნის (ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დავალების, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების) საფუძვლიანობის განმსაზღვრელი ხსენებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მითითებული ნაწილი ვერ იქნება. ამდენად, მოცემული დავის გადაწყვეტა საკასაციო ინსტანციის ეტაპზე არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ინციდენტური კონტროლის გამოყენებას. ამასთანავე, კასატორის მითითება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.02.2020წ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაღარ იქნა აღიარებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების 2¹ მუხლი და დანართი №1, არ არის რელევანტური, ვინაიდან ხსენებული სასამართლოს აქტი გასაჩივრებულია და მოცემული პერიოდისათვის არ არის შესული კანონიერ ძალაში. განსახილველ საქმეზე მისაღებ გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ იქონიებს აკრედიტაციის დამატებითი პირობების დადგენის ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლების გაცდენის შესახებ ხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, კერძოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დავალებულიება ამ ეტაპზე აღარ საჭიროებს მითითებულ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ნა-

ნილთან (აკრედიტაციის ცენტრის დებულების №1 დანართთან) შე-
საბამისობის შეფასებას.

27.06.2014წ. ხელმოწერილი „ერთი მხრივ, საქართველოსა და მე-
ორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთი-
ანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ
შეთანხმების (რეგულირებული იქნა საქართველოს პარლამენტის
18.07.2014წ. №2495-რს დადგენილებით) მიხედვით თანამშრომლო-
ბა მოიცავს დარგობრივი სტრატეგიების განვითარებას საგზაო ტრას-
ნორტის სფეროში, ასოცირების შეთანხმების დანართებში განსაზ-
ღვრული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (293-ე (b)
მუხ.). საქართველომ იკისრა ვალდებულება მოეხდინა ეროვნული
კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XXIV და
XV-D დანართებში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქ-
ტებთან და საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტრუმენტებთან,
ამავე დანართების შესაბამისად (296-ე მუხ.). ასოცირების შეთან-
ხმების დანართი XXIV მოიცავს საგზაო ტრანსპორტთან დაკავში-
რებულ საკითხებს, მათ შორის გათვალისწინებულია 06.05.2009წ. ევ-
როპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009/40/EC დირექტი-
ვა „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელე-
ბის საგზაო მოძრაობისთვის გამოსადეგი ტესტების შესახებ“, ამას-
თანავე ასოცირების შეთანხმებით განისაზღვრა, რომ ამ დირექტი-
ვის დებულებები ავტობუსებისა და სატვირთო მანქანებისთვის უნ-
და შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი
წლის განმავლობაში, ხოლო სხვა კატეგორიის სატრანსპორტო სა-
შუალებებისათვის შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის გან-
მავლობაში. 2009/40/EC დირექტივა გაუქმდა „ავტოსატრანსპორტო
საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკურის
შემოწმების შესახებ“ 03.04.2014წ. ევროპარლამენტისა და ევროკავ-
შირის საბჭოს 2014/45/EU დირექტივით (2009/40/EC დირექტივამ ძა-
ლა დაკარგა 2018 წლის 20 მაისიდან), რომლითაც დადგინდა სატ-
რანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური შემოწმების მი-
ნიმალური მოთხოვნები, ტესტირების ცენტრების მიერ სატრან-
სპორტო საშუალებების პერიოდული შემოწმების, ტესტირების ცენ-
ტრებისთვის წევრი სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების მინი-
ჭების და შემდგომი კონტროლის ვალდებულება, ასევე ამ დირექ-
ტივის შესასრულებლად წევრი სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ნორ-
მატიული აქტების მიღების ვალდებულება. ასოცირების შეთანხმე-
ბის საფუძველზე მიღებული საქართველოს მთავრობის 01.12.2017წ.
№510 და №511 დადგენილებებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლა-
მენტები „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმე-
ლების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ და „ავტო-

სატრანსპორტო საშუალების პერიოდულ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების შესახებ“. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემის განვითარებას. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არის ტექნიკური ოპერაციების და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით დანესებული პერიოდულობით დგინდება ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ძირითადი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობა. საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებულ ინსპექტირების ცენტრებში. ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამტკიცებული აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების შესაბამისად („საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 5.6, 11.1 და 11.3 მუხ.). მოსარჩელის მიერ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენის დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით აკრედიტაციის მაძიებელი პირი აკრედიტაციისთვის განცხადებით მიმართავდა აკრედიტაციის ცენტრს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. თუ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების კომპლექტი იყო აკრედიტაციის ცენტრის შესაბამისი წესებისა და პროცედურების თანახმად სრულად წარდგენილი, განმცხადებლის მიერ აკრედიტაციაზე წარდგენილი დოკუმენტი მიიღებოდა და რეგისტრირდებოდა აკრედიტაციის ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურში („წესებისა და პროცედურების“ მე-5 მუხ.). მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისთვის ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, ხელშეკრულების დადების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოსთვის არსებული პროცედურების ჩატარების დავალებას, ამასთანავე საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მანამდელი და ამჟამად მოქმედი წესის თანახმად განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, ხელშეკრულების დადებამდე აკრედიტაციის ცენტრი ატარებდა აკრედიტაციის პროცედურით გათვალისწინებულ მოქმედებებს. განცხადების შეტანის პერიოდში მოქმედი აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 31.12.2012წ. №07 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის სქემების და საერთო

პროცედურების“ (საკ 1.1:2012) 6.1 მუხლის თანახმად, განცხადების რეგისტრაციის შემდეგ აკრედიტაციის ცენტრი ადგენს: ა) განაცხადის აკრედიტაციის საგნისადმი კუთვნილებას; ბ) კანონმდებლობა-სა და დადგენილ მოთხოვნებთან განაცხადის შესაბამისობას. ამჟამად მოქმედი სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის საერთო წესე-ბისა და პროცედურების“ (საკ 1.1:2020) მე-5 მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის შესახებ განაცხადის რეგისტრაციის შემდეგ აკრე-დიტაციის ცენტრი პირველ რიგში ადგენს: ა) განაცხადის აკრედი-ტაციის საგნისადმი კუთვნილებას; ბ) საქართველოს კანონმდებლო-ბასთან, აკრედიტაციის სქემასთან და აკრედიტაციის წესებითა და პროცედურებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან წარდგენილი განაც-ხადის შესაბამისობას. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობებს, აკრედიტაციის ცენტრი არ ატარებს აკრედიტაციის პრო-ცესით გათვალისწინებულ შემდგომ პროცედურებს და განაცხადის განხილვაზე დასაბუთებულ უარს აცნობებს განმცხადებელს დად-გენილ ვადაში (მე-5 მუხ. მე-2 პ.), მითითებულ პირობებთან განაცხა-დის დაკმაყოფილების შემთხვევაში აკრედიტაციის ცენტრი ატარებს აკრედიტაციის პროცესით გათვალისწინებულ შემდგომ პროცედურე-რებს და აკრედიტაციის ცენტრსა და განმცხადებელს შორის ფორ-მდება „შეთანხმება აკრედიტაციაზე“ და შესაბამისი ხელშეკრულე-ბა. განაცხადის განმხილველი ჯგუფის ხელმძღვანელის კოორდინა-ციით ცენტრის შემფასებელი ჯგუფი ახორციელებს განაცხადის გან-ხილვას, დოკუმენტების ანალიზს ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორიცაა აკრედიტაციის საგანთან განაცხადის კუთვნილება, გა-მოყენებული სქემის შესაბამისობა აკრედიტაციის სქემასთან და სხვ. (მე-5 მუხ. მე-9 პ.).

საქმის მასალებით დასტურდება და დავას არ იწვევს, რომ აკრე-დიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 17.11.2017წ. გადან-ყვეტილებით შპს „ჭ...-ს“ მიენიჭა აკრედიტაცია (GAC-IB-0135) გან-ცხადებაში მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატე-გორიების პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებაზე. შპს „ჭ...-მა“ 30.08.2018წ. განცხადებით მიმართა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს“ სფეროს გაფართო-ების მოთხოვნით. აკრედიტაციის სფეროს გაფართოება ხორციელ-დებოდა დამატებით სფეროში აკრედიტაციის გზით, რისთვისაც აკ-რედიტებულ პირს განცხადებით უნდა მიემართა აკრედიტაციის ცენტრისთვის. აკრედიტაციის სფეროს გაფართოების მიზნით ჩა-ტარებული შეფასება, აკრედიტაციის მიზნით ჩატარებული შეფა-სების პროცესის იდენტიფიკაცია. საბოლოოდ აკრედიტაციის სფეროს

გაფართოების შესახებ გამოიცემოდა აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის განკარგულება, ცვლილება შედიოდა აკრედიტაციის მონმობის დანართში – აკრედიტაციის სფეროში და კეთდებოდა შესაბამისი მითითება აკრედიტებულ პირთა რეესტრში („ნესებისა და პროცედურების“ მე-16 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ 30.08.2018წ. განცხადებით მოითხოვა გაფართოება, კერძოდ, აკრედიტაცია დამატებით ერთ ინსპექტირების ხაზზე, შესაბამისად ხელშეკრულების დადებისა და შემდგომი აკრედიტაციის პროცედურების განხორციელების საფუძვლების არსებობა უნდა შემოწმდეს პირველადი აკრედიტაციისათვის დადგენილი წესებისა და პროცედურების მიხედვით.

დაუსაბუთებელია მოსარჩელის (კასატორის) მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს „ჭ...-ის“ 30.08.2018წ. განცხადების რეგისტრაცია და მისთვის ნომრის მინიჭება გულისხმობდა განცხადების და თანდართული დოკუმენტების აკრედიტაციის წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობას, რაც წარმოშობდა ხელშეკრულების დადების საფუძველს. აკრედიტაციის განაცხადის წარდგენა არის აკრედიტაციის პროცედურის ერთ-ერთი ეტაპი. „აკრედიტაციის სქემებისა და პროცედურების (საკ 1.1:2012)“ №1 დანართის – აკრედიტაციის ბლოკ-სქემა „ა“-ს თანახმად, ხელშეკრულების მომზადებას წინ უსწრებდა განცხადების წარდგენა აკრედიტაციის ცენტრში, განცხადების და თანდართული დოკუმენტების სისრულის გადასინჯვა, დოკუმენტაციის მოთხოვნასთან შესაბამისობის განსაზღვრა, განცხადების რეგისტრაცია, საქმის მენეჯერის/წამყვანი შემფასებლის დანიშვნა და წარდგენილ განცხადებაზე საფასურის კალკულაცია (2.1, 2.2, 2.3 და 2.4 პუნქ.). ამდენად, აკრედიტაციის მისაღებად დადგენილი პროცედურის პირველი ეტაპია აკრედიტაციის მოპოვების მიზნით დაინტერესებული პირის მიერ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენა, შესაბამისი წესებისა და პროცედურების თანახმად მომზადებულ დოკუმენტებთან ერთად. აღნიშნული ეტაპი სრულდება განცხადების დადგენილ ფორმალურ პირობებთან შესაბამისობის დადგენით, კერძოდ, დგინდება, რომ განცხადება შეტანილია სათანადო სუბიექტის მიერ, განცხადება წარდგენილია სათანადო ფორმის დაცვით, განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტები შეიცავს სათანადო ინფორმაციას. აღნიშნულის დაცვის შემთხვევაში აკრედიტაციის საწყისი სტადია სრულდება განცხადების რეგისტრაციით, მისთვის სათანადო ნომრის მინიჭებით. შემდგომი სტადიები უკავშირდება განცხადების სახელდობრ განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას. საქმეში დაცული მასალებით დგინდება, რომ შპს „ჭ...-მა“ დამატებით სფეროში აკრედიტაციის მიღების მიზნით გაიარა მხო-

ლოდ ერთი – პირველი ეტაპი, კერძოდ, წარადგინა განცხადება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განცხადების წარდგენა და მისთვის რეგისტრაციის ნომრის მინიჭება ადასტურებს ასეთი განცხადებით (აკრედიტაციაზე) მიმართვის დასაშვებობას, კერძოდ, ადასტურებს იმას, რომ განცხადება წარდგენილია აკრედიტაციის მოსაპოვებლად უფლებამოსილი პირის მიერ, სათანადო ფორმით და შესაბამისობაშია ფორმალურ მოთხოვნებთან, ასევე განცხადებას ერთვის კანონით დადგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი. ამ მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს განმცხადებლისთვის უნდა ეცნობებინა განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი საფუძვლების მითითებით. განცხადების წარდგენა და მისი რეგისტრაცია ადასტურებს შესაბამისი წესებისა და პროცედურების თანახმად განცხადების და მასზე თანდართული დოკუმენტების კომპლექტის სრულად წარდგენას. აკრედიტაციის ხელშეკრულების დასადავად საკმარისია არა უბრალოდ განმცხადებლის ნება, რაც გამოიხატება განცხადების (მასზე თანდართული დოკუმენტების) წარდგენაში, არამედ სავალდებულოა დადგენილი პირობების დაკმაყოფილება. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დადგენილია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება. სზაკ-ის 12.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სზაკ-ის 76.1 მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, ადმინისტრაციული წარმოება იწყება განცხადების რეგისტრაციიდან. იმის გათვალისწინებით, რომ დავის განხილვის პროცესში გაუქმდა აკრედიტაციის დამატებითი პირობები, ადმინისტრაციული წარმოება უნდა გაგრძელდეს. 30.08.2018წ. განცხადების რეგისტრაცია არ წარმოადგენდა ხელშეკრულების დადების უპირობო საფუძველს, ვინაიდან უკვე აღინიშნა, რომ მიმართვის დროს და ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ხელშეკრულების დადებამდე აკრედიტაციის ცენტრმა უნდა შეამოწმოს: განაცხადით წარმოდგენილი საკითხის აკრედიტაციის საგანთან შესაბამისობა, აგრეთვე, წარდგენილი განაცხადის შესაბამისობა აკრედიტაციის სქემებთან და პროცედურებთან. ხსენებული პროცედურების წარმატებით გავლის შემდეგ იდება ხელშეკრულება აკრედიტაციაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტაციის შემდეგი პროცედურები არ ტარდება, მათ შორის არ იდება ხელშეკრულება ცენტრსა და განმცხადებელს შორის. მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულების დადების სავალდებულების შესახებ ემყარება იმ გარე-

მოგვას, რომ მოპასუხის 01.10.2018წ. №GAC-04/782 წერილი არ შეიცავს რაიმე მითითებას შპს „ჭ...-ის“ განცხადებით წარდგენილი საკითხის აკრედიტაციის საგანთან შესაბამისობაზე, წერილი არ შეიცავს აგრეთვე რაიმე მითითებას „წესით“ გათვალისწინებული სქემების და პროცედურების მოთხოვნებისადმი შპს „ჭ...-ის“ განცხადების შეუსაბამოებაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ერთი ინსპექტირების ხაზის დამატების შესახებ 30.08.2018წ. აკრედიტაციის ცენტრში წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით შპს „ჭ...-ს“ პასუხი ეცნობა აკრედიტაციის ცენტრის 01.10.2018წ. წერილით. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებელს განუმარტა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. ბრძანებით ცვლილებები იქნა შეტანილი 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებულ აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში, დადგინდა დამატებითი პირობები ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩამტარებელი ორგანოების მიმართ, რის გამო აკრედიტაციის ცენტრს არ აქვს უფლება შპს „ჭ...-ის“ განცხადებას მისცეს მსვლელობა. ამდენად, ცალსახაა, რომ შპს „ჭ...-ის“ განცხადების წარდგენის შემდეგ, განცხადებას არ გაუვლია ის ეტაპები, რაც წარმოშობდა ხელშეკრულების დადების მითითებული „წესებითა და პროცედურებით“ დადგენილ საფუძველზე. შპს „ჭ...-ის“ მიერ განცხადების რეგისტრაციის შემდგომ აკრედიტაციის ცენტრს განცხადებასთან დაკავშირებით რაიმე პროცედურები (გარდა განცხადების რეგისტრაციისა) არ განუხორციელებია. ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ შეუფასებია და არ უმსჯელობია შპს „ჭ...-ის“ 30.08.2018წ. განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების დადგენილ პირობებთან შესაბამისობაზე. ცენტრის 01.10.2018წ. №GAC-04/782 წერილში მითითებულია მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებაზე, აღნიშნული აქტის საფუძველზე აკრედიტაციის ცენტრში 30.08.2018წ. შპს „ჭ...-ის“ განცხადება არ იქნა განხილული, განცხადება დარჩა განუხილველად, წერილის შინაარსიდან სავსებით ნათელია, რომ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს არ უმსჯელობია არც შპს „ჭ...-ის“ განცხადებაში დასმულ აკრედიტაციის საგანზე და არც განაცხადის შესაბამისობაზე დამტკიცებულ სქემასა და პროცედურასთან. ამდენად, ცენტრის 01.10.2018წ. №GAC-04/782 წერილში შპს „ჭ...-ის“ განცხადების აკრედიტაციის საგანთან, დამტკიცებულ სქემასა და პროცედურასთან შეუსაბამისობაზე მითითების არარსებობა არ ადასტურებს ცენტრის მიერ ხსენებული ასპექტების შემოწმებას. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ,

რომ განცხადების რეგისტრაცია და მისთვის ნომრის მინიჭება ადასტურებს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წესებისა და პროცედურების შესაბამისად წარდგენას და წარმოშობს ხელშეკრულების დადების საფუძველს, არ გამომდინარეობს, როგორც განცხადების წარდგენის დროს (30.08.2018წ.), ასევე ამჟამად მოქმედი აკრედიტაციისთვის დადგენილი წესებიდან.

აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციას ახორციელებს დაინტერესებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 97.3 მუხ.). აკრედიტაციის ცენტრსა და აკრედიტაციის მამდიებელ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს შორის შესაბამის ხელშეკრულებასთან ერთად ფორმდება „შეთანხმება აკრედიტაციაზე“ (სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის საერთო წესების და პროცედურების“ (საკ 1.1:2020) მე-4 მუხ. მე-7 პ.). აკრედიტაციის განაცხადის წარდგენის შემდეგ, აკრედიტაციის მიღების მსურველ პირთან ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი მომსახურების განევის თაობაზე და ამის პარალელურად აკრედიტაციის მსურველ პირსა და აკრედიტაციის ცენტრს შორის ფორმდება დამატებითი შეთანხმება აკრედიტაციაზე, რითიც აკრედიტაციის მსურველი პირი ადასტურებს, რომ მინიჭებული აკრედიტაციის ფარგლებში საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, აკრედიტაციის წესებსა და პროცედურების, აკრედიტაციის სქემების და აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებულ პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისად შესაბამის სფეროში. შეთანხმება ასევე განსაზღვრავს აკრედიტაციის ცენტრის ვალდებულებებს, რომ შეფასებას განახორციელებს მიუკერძოებლად და აკრედიტაციის სრული ციკლის განმავლობაში დაიცავს კონფიდენციალობას აკრედიტებული პირის შესაბამის ინფორმაციაზე. შეთანხმების თანახმად აკრედიტაციის ცენტრი იღებს ვალდებულებას, რომ აკრედიტებულ პირს დროულად მიაწოდოს ყველა ინფორმაცია აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. აკრედიტაციის სფეროს გაფართოება ხორციელდება დამატებით სფეროში აკრედიტაციის გზით, რისთვისაც აკრედიტირებულმა შესაბამისობის შემფასებელმა ორგანომ განცხადებით უნდა მიმართოს აკრედიტაციის ცენტრს. ასეთ შემთხვევაში უნდა შეფასდეს ორგანიზაციის ტექნიკური კომპეტენცია. განაცხადი და წარმოება აკრედიტაციის სფეროს გაფართოებაზე არის პირველადი აკრედიტაციის მსგავსი. დამატებით სფეროში აკრედიტაციისათვის შეფასება განხორციელდება პირველადი აკრედიტაციის

მსგავსად და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. ამასთან, ვინაიდან ამ შემთხვევაში „შეთანხმება აკრედიტაციაზე“ მხარეებს შორის ძალაშია, ახალი შეთანხმების გაფორმება აღარ არის საჭირო (მე-16 მუხ. მე-3 პ.). რაც შეეხება ხელშეკრულებას, მისი დადება ადმინისტრაციული პროცედურის გარკვეულ ეტაპზე, ამასთანავე ის წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების აუცილებელს პირობას. სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ერთ-ერთი მხარე – ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს არა კერძო პირისთვის დამახასიათებელი კერძო ავტონომიის თავისუფლების ფარგლებში, არამედ მხოლოდ იმ უფლებამოსილებების ფარგლებში, რომელიც მას მოქმედი კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული (სზაკ-ის 66-ე მუხ.). ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული წარმოების პროდუქტია, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას საჯარო სამართლის სფეროში და მიზნად ისახავს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. სასკ-ის 2.1 მუხლის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, ქმედების განხორციელების ვალდებულება. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან (სასკ-ის 25¹ მუხ.), ასევე რეალაქტის განხორციელებასთან (სასკ-ის 24-ე მუხ.) დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. განმცხადებელსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის აკრედიტაციის ხელშეკრულების დადების შემდგომ სადავო პერიოდში მოქმედი „წესებისა და პროცედურების“ მე-9-მე-12 მუხლები ითვალისწინებდა საქმის მენეჯერის, შეფასების ჯგუფის და წამყვანი შემფასებლის მიერ განსახორციელებელ ქმედებებს, ადგენდა ასევე ადგილზე შეფასების წესს. ამავდროულად „წესებისა და პროცედურების“ მე-13 მუხლი განსაზღვრავდა აკრედიტაციის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების, აკრედიტაციის ცენტრის დირექტორის (ან მისი მოადგილის) მიერ შესაბამისი განკარგულების გამოცემის, აკრედიტაციის მოწმობის და მისი დანართის გაცემის წესს. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების დადების შემდეგ აკრედიტაციის შემდგომი პროცედურების მოპასუხისთვის განხორციელების დავალების საფუძველი არ დასტურდება, ვინაიდან განსახილველი დავის ფარგლებში არ იკვეთება ხელშეკრულების დადების დავალდებულების საფუძვლების არსებობა. ხელშეკრულების დადებისა და აკრედიტაციის პროცედურების განხორციელების საფუძველს არ იძლევა აგრეთვე ამჟამად მოქმედი სსიპ აკრედიტაციის ერთიანი

ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესები და პროცედურები“. ამ წესებისა და პროცედურების მიზანი და ამოცანებია საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად აკრედიტაციასთან დაკავშირებული განცხადების მიღების, დამუშავების, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დადგენა (საკ 1.1:2020 1.1 მუხ.). განმცხადებლის მიერ აკრედიტაციის მისაღებად წარდგენილი განცხადება მიიღება და რეგისტრირდება აკრედიტაციის ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებით მოთხოვნილი ყველა თანდართული დოკუმენტი წარდგენილია სრულად, მათ შორის, განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი შპო-ს (შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ და წარდგენილი უნდა იყოს მტკიცებულება, რომ შპო არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი იურიდიული პირი ან იურიდიული პირის ნაწილი (საკ 1.1:2020, 4.2 მუხ.). აკრედიტაციის ცენტრსა და განმცხადებელს შორის ხელშეკრულების გაფორმება და აკრედიტაციის ცენტრით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ განცხადება აკმაყოფილებს ზემოთ უკვე აღნიშნულ კონკრეტულ პირობებს. აკრედიტაციის ცენტრში შპს „ჭ...-ის“ 30.08.2018წ. განცხადების რეგისტრაციით დასტურდება განცხადების ფორმალური და არა შინაარსობრივი შესაბამისობა აკრედიტაციისთვის დადგენილ შესაბამის წესებთან და პროცედურებთან, რაც იმთავითვე არ გულისხმობს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, შესაბამისად არ წარმოშობს აკრედიტაციის მომდევნო პროცედურების განხორციელების საფუძველს.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება დაინიშნა არა ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ შპს „ჭ...-ის“ განცხადების საფუძველზე (სზაკ-ის 76.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), შესაბამისად მას, როგორც განმცხადებელს და დაინტერესებულ მხარეს, რომლის მოთხოვნის საფუძველზე დაინიშნა წარმოება, უნდა მისცემოდა წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება. სზაკ-ი ითვალისწინებს განმცხადებლის, როგორც სპეციალური სტატუსის მქონე პირის, ინტერესების დაცვის განსაკუთრებულ გარანტიებს, სხვა დაინტერესებულ პირებთან შედარებით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილი აქვს განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იგი ვალდებულია მისცეს განმცხადებ-

ბელს შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი მოსაზრება ამ გარემოებასთან დაკავშირებით (სზაკ-ის 101.1 მუხ., სუსგ 21.11.2012წ. საქმე №ბს-558-548(კ-12)). ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, იგი ვალდებულია მისცეს მას შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი მოსაზრება ამ გარემოებათა თაობაზე. ამდენად, აკრედიტაციის ცენტრი ვალდებული იყო განცხადების განუხილველად დატოვებამდე (01.10.2018წ. №GAC-04/782), მიეცა განმცხადებლისთვის შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი მოსაზრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. ბრძანებით დადგენილი დამატებითი პირობების შესრულების თაობაზე. ასეთი უფლება ენიჭება არა წარმოების ყველა წევრს, არამედ განმცხადებელს, რაც იმით არის განპირობებული, რომ სწორედ განმცხადებლის მიერ არის ინიცირებული ადმინისტრაციული წარმოება და მისაღები გადაწყვეტილება მასზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს.

სააპელაციო სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოში იმ საფუძველით, რომ საქალაქო სასამართლოს არ დაუდგენია მძს „ჭ...-ის“ მიერ წარდგენილი განცხადებით მოთხოვნილი საკითხის აკრედიტაციის საგანთან შესაბამისობა და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ხელშეკრულების დადების დავალების საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.) მართალია, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და არა ორგანოში განსახორციელებელი წარმოების სასამართლოს მიერ ჩანაცვლებას. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების მთლიანად სასამართლოზე გადაბარების შემთხვევაში, სასამართლო სრულად ჩაანაცვლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს და განახორციელებდა საჯარო მმართველობას, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებელია. უკვე აღინიშნა, რომ მოსარჩელის მიერ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენის დროისთვის მოქმედი წესი განცხადების რეგისტრაციის შემდეგ ითვალისწინებდა აკრედიტაციის ცენტრის მიერ განცხადებით წარდგენილი საკითხის აკრედიტაციის საგნისადმი კუთვნილების დადგენას და განცხადების კანონმდებლობასა და დად-

გენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს ისეთი გარემოებების დადგენა დაავალა (აკრედიტაციის საგნის განსაზღვრა, ხელშეკრულების დადების წინაპირობების დადგენა), რაზეც ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ უმსჯელია და არ გამოუკვლევია. ასეთი გარემოებების პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის გამოკვლევის დავალება წარმოადგენს არა სასამართლოს მიერ საქმეზე დასადგენ გარემოებებზე მითითებას, არამედ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების განხორციელების სასამართლოზე გადაბარებას, რაც ფაქტიურად წარმოადგენს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს ჩანაცვლებას და სასამართლოსთვის მმართველობითი საქმიანობის განხორციელების დავალებას. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის გზით უფლების დაცვა (31-ე მუხ.) გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სრულყოფილ გადამოწმებას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლოს აქვს უფლებამოსილება დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების და შესწავლის საფუძველზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული. ადმინისტრაციული წარმოება არის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენების ანუ გადაწყვეტილების მიღების ორგანიზებული პროცესი, რომლის დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ ამოცანებს და აწესრიგებს სამართალურთიერთობის მონაწილეების უფლება-მოვალეობებს. ადმინისტრაციული წარმოება შედგება რამდენიმე ეტაპისაგან (ინფორმაციის მოპოვება, გადაწყვეტილების მომზადება და გადაწყვეტილების მიღება), რაც ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასზე კანონით დაკისრებული ძირითადი ფუნქციის შესრულებას, საჯარო მმართველობის განხორციელებას. სასამართლო ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის პროცესში ახორციელებს სასამართლოწარმოებას და არა ადმინისტრაციულ წარმოებას, უკანასკნელი გულისხმობს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების განსაზღვრას, მათ შესახებ ინფორმაციის მოძიებას, მოძიებული ინფორმაციის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან შესაბამისობის დადგენას და სამართლებრივი შედეგის განსაზღვრას. სასამართლოს მიერ მითითებული ფუნქციების საკუთარ თავზე აღების შემთხვევაში, სასამართლო სრულად ჩანაცვლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს და განახორციელებდა საჯარო მმართველობას, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინა-

რე დაუშვებელია (სუსგ 05.02.2020წ. საქმე №ბს-1350(2კ-19)). ხელისუფლების დანაწილების პრინციპი აყალიბებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის ურთიერთკონტროლისა და ბალანსის მექანიზმს. ხელისუფლებათა დანაწილებამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ეფექტური მართვა და გამორიცხოს უფლებამოსილებათა დუბლირება და პარალელიზმი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. სასამართლო არ არის შებოჭილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოსთვის მინიჭებული საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილება ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპის დაცვას. სასამართლოში საჯარო მმართველობის კონტროლი უნდა განხორციელდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აკრედიტაცია არის სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებული სახე, რომლის ფარგლებში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის პირს გარკვეული და სპეციალური უფლებამოსილებებით აღჭურავს, შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესში სახეზეა ორი მხარე, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მოახდინოს აკრედიტაცია და პირი, რომელსაც სურს აღიჭურვოს გარკვეული უფლებამოსილებებით. აკრედიტაციის პროცესი ემსახურება პირის კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის ოფიციალურად აღიარებას, ამასთანავე დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე მუდმივი ანგარიშვალდებულება შესაბამისი აკრედიტაციის ციკლის პროგრამის ფარგლებში აკრედიტირებული პირის ყოველწლიური შეფასების გზით. აკრედიტაციის პროცედურა არ მოიცავს მხოლოდ ხელშეკრულების დადებას. ეს პროცესი სრულდება აკრედიტაციის მოწმობის გაცემით, რომლითაც დასტურდება პირის შესაძლებლობა, უნარი და კომპეტენცია განიოს მომსახურება კონკრეტულ სფეროში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამდენად, ხელშეკრულების დადება ერთ-ერთი ეტაპია. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულების დადებისა და მოპასუხისთვის აკრედიტაციის შემდგომი პროცედურების განხორციელების დავალება, რაც არ გულისხმობს განმცხადებლისთვის აკრედიტაციის მინიჭებას. ადმინისტრაციული ორგანო არის უფლებამოსილი და ვალდებული განიხილოს განცხადება, მასზე თანდართული დოკუმენტები და კონკრეტულ საქმეზე დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება. სწორედ ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს გამოსაკვლევი გარემოებების მოცულობასა და მახასიათებლებს, რაც განსა-

ხილველ შემთხვევაში დადგენილია აკრედიტაციის მონმობის გაცემა ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით. აკრედიტაციის ცენტრი თავად წარმართავს აკრედიტაციის პროცესს. აკრედიტაციის ცენტრს არ აქვს უფლება სხვა პირს გადასცეს მის კომპეტენციას მიკუთვნებული უფლებამოსილებები (სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და პროცედურები“, საკ 1.1:2020, 1.2 მუხ.). ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლოსთვის ისეთი გარემოებების დადგენის დავალება, რომელიც უკავშირდება აკრედიტაციის საგნის განსაზღვრასა და ხელშეკრულების დადების წინაპირობების დადგენას, გულისხმობს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს ჩანაცვლებას, სასამართლოსთვის მმართველობითი ფუნქციების განხორციელების დავალებას, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. აღნიშნულს არ ცვლის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა სააპელაციო სასამართლოს ინსტანციის არასრული (შეზღუდული) მოდელის საფუძველზე აგების შესახებ. არასრული აპელაციის შემთხვევაში იკვეთება სხვაობა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლო წარმოებებს შორის, შესაბამისად, ასეთ დროს სააპელაციო პალატას არ ერთმევა დავის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესაძლებლობა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება შეიცავდეს სათანადო დასაბუთებას დავის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანაცვლების შეუძლებლობის თაობაზე (სუსგ საქმე №ბს-568(2კ-კს-20), 02.06.2021წ.). მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინება აღნიშნულ სტანდარტსაც არ პასუხობს. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ტექსტიდან გაურკვეველი რჩება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება მოცემული საქმის სადავო საკითხების მიმართ, რის გამოც საკასაციო სასამართლოს არ ეძლევა სააპელაციო პალატის მოსაზრების კანონიერების შეფასების შესაძლებლობა. საფუძველს მოკლებულია აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება იმაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით სააპელაციო ინსტანციის სასამართლო შეზღუდულია სააპელაციო საჩივრის იმ მოთხოვნით, რომლებსაც არ ეთანხმება აპელანტი, ვინაიდან მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა უცვლელია ყველა ინსტანციაში.

საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მარ-

თებულობას არ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მითითება სსკ-ის 385.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტსა და 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტების დანაწესზე. გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა (სსკ-ის 394-ე მუხ. „ე“¹ ქვ.პ.) არ გამორიცხავს თავად სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, ამასთანავე აღნიშნულის დასადასტურებლად სააპელაციო პალატის განჩინება არ შეიცავს რაიმე მსჯელობას, გასაჩივრებული განჩინებიდან არ იკვეთება თუ რა მოსაზრებას და რა საფუძვლით არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლო. სსკ-ის 385-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევა არ გამორიცხავს თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას (სსკ-ის 386-ე მუხ.). სსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმის დაბრუნების გარეშე თავად გადაწყვიტოს დავა. აპელაციაში პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულაციური ფუნქციის ფარგლები გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს არა მხოლოდ პროცესუალური დარღვევები, რომლებითაც დასტურდება მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური წესების დარღვევები, სააპელაციო სასამართლოს თავადაც ძალუძს გამოიკვილოს მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. ამდენად, სსკ-ის 385.2 მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, საქმის ქვედა ინსტანციაში გადაგზავნის გარეშე თავად გადაწყვიტოს დავა (სსკ 385.2 მუხ.). სააპელაციო სასამართლოს მიერ დავა არსებითად არ გადაწყვეტილა, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დავის არსებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით, აღნიშნულის გამო საკასაციო სასამართლო მოკლებულია დავის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ჭ...-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.04.2020წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აკრედიტაციის ხელშეკრულების დადებასა და აკრედიტაციის პროცედურის განხორციელების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-851(კ-20)

30 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის შესახებ ხელშეკრულების დადების და შემდგომი პროცედურების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...მა“ 11.07.2019წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიმართ აკრედიტაციის ხელშეკრულების დადებისა და აკრედიტაციის პროცედურების ჩატარების თაობაზე მოპასუხის დავალდებულების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სისტემისა და პროცედურების დადგენა და აკრედიტაციის განხორციელება არის აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის ექსკლუზიური უფლებამოსილება, რაც დასტურდება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონით (მე-11 მუხ.), პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით (96.4, 97.1 და 99.4 მუხ.), საქართველოს მთავრობის 01.12.2017წ. №511 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით (1-ელი მუხ.) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულებით (მე-2 მუხ.). შპს „...მა“ აკრედიტაციის ცენტრში 27.05.2019წ. წარადგინა განცხადება, რომელიც დარეგისტრირდა და მიენიჭა ნომერი აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 03.10.2018წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „საკ 1.1 აკრედიტაციის სქემების და საერთო პროცედურების“ 5.2 და 7.2 მუხლების შესაბამისად განცხადების რეგისტრაცია ნიშნავს იმას, რომ განცხადება აკრედიტაციის ცენტრის შესაბამისი წესებისა და პროცედურების თანახმად სრულად იყო წარდგენილი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მოპასუხის 02.07.2019წ. წერილით, კონკრეტული საფუძვლის მითითებისა და დასაბუთების გარეშე შპს „...ს“ უარი ეთქვა აკრედიტაციის ხელშეკრულებისა გაფორმებასა და მის საფუძველზე აკრედიტაციის პროცედურების დაწყებაზე. აკრედიტაციის ხელშეკრულების დადება ან დადებაზე უარი განეკუთვნება სახელშეკრულებო დავათა კატეგორიას, რომლის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო არის მხოლოდ სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.11.2019წ. გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი. სა-

ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებაში, დებულებას დაემატა დანართი №1, რომლითაც ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისათვის განისაზღვრა დამატებითი პირობები. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრისადმი მიმართვის უფლება აკრედიტაციის მაძიებელ პირს წარმოეშობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა თავად აკრედიტაციის უფლებას სამინისტრო ანიჭებს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ განცხადებით პირდაპირ მიმართა აკრედიტაციის ცენტრს და მას არ წარუდგენია ზემოაღნიშნული ხელშეკრულება, შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრს არ ჰქონდა უფლება, მშს „...ის“ მიერ წარდგენილი განცხადებისთვის მიეცა მსვლელობა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ გამოემდინარეობს კანონის განმარტებიდან, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის არგუმენტაცია მისი უფლებების შეზღუდვისა და დარღვევის თაობაზე. მოსარჩელის ინტერესი მხოლოდ მაშინ არის დაცვის ღირსი, როდესაც ეს ინტერესი პატივსაგებია და კანონით არის დაცული. დავის გადაწყვეტის მიზნით გამოსაყენებელი ნორმატიული აქტების დებულებების გათვალისწინებით, არ იკვეთება აკრედიტაციის ხელშეკრულების დადებისა და აკრედიტაციის პროცედურების ჩატარების თაობაზე მოპასუხის დავალდებულების წინაპირობები. აღნიშნული ქმედების განხორციელების დავალდებულება წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის კანონით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებასთან, მატერიალურ სამართალთან და კანონის მიზნებთან. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2018წ. განჩინებაზე (საქმე №ბს-389-389(კ-18)) და აღნიშნა, რომ უფლებისა თუ ხელშესახები კანონიერი ინტერესის მოსალოდნელი შელახვა უნდა იყოს არა ჰიპოთეტური, არამედ რეალური. თავის მხრივ, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მხარის არააბსტრაქტული, კონკრეტული მითითებების გარეშე დაადგინოს სუბიექტურ შეხედულებებთან დაკავშირებული უფლების დარღვევა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის უსწორობის გასწორების შესახებ განჩინებით გასწორდა დაშვებული უსწორობა და გადაწყვეტილების მიღების თარიღად მიეთითა 19.11.2019წ.. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „...ის“ მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.03.2020წ. განჩინებით შპს „...ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.2019წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლზე, რომლის მიხედვით, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებაში, დებულებას დაემატა დანართი №1, რომლითაც განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. ბრძანებით ცვლილებების შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრისადმი მიმართვის უფლება აკრედიტაციის მაძიებელ პირს წარმოეშობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა თავად აკრედიტაციის უფლებას სამინისტრო ანიჭებს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე შპს „...მა“ განცხადებით მიმართა აკრედიტაციის ცენტრს და მას არ წარუდგენია ზემოაღნიშნული ხელშეკრულება, შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრს არ ჰქონდა უფლება შპს „...ის“ განცხადებისთვის მიეცა მსვლელობა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.04.2013წ. (საქმე №ბს-544-535(კ-12)), 23.09.2014წ. (საქმე №ბს-246-243(კ-14)) გადაწყვეტილებებზე, ასევე 05.07.2018წ. განჩინებაზე (საქმე №ბს-389-389(კ-18)) და აღნიშნა, რომ უფლებისა თუ ხელშესახები კანონიერი ინტერესის მოსალოდნელი შელახვა უნდა იყოს არა ჰიპოთეტური, არამედ რეალური. თა-

ვის მხრივ, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მხარის არააბსტრაქტული, კონკრეტული მითითებების გარეშე დაადგინოს სუბიექტურ შეხედულებებთან დაკავშირებული უფლების დარღვევა. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა ზემოთ მითითებულ საკასაციო სასამართლოს განჩინებაში ასახულ მსჯელობაზე, რომლითაც საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას კანონისა და კანონქვემდებარე აქტების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრძანების დებულებები ახდენენ კანონში მითითებული დანაწესების კონკრეტიზაციას, რაც ცხადია გამორიცხავს მათ შორის წინააღმდეგობის არსებობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ გამოიმდინარეობს კანონის განმარტებიდან, შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული არგუმენტაცია მოსარჩელის უფლებების შეზღუდვისა და დარღვევის თაობაზე. მოსარჩელის ინტერესი მხოლოდ მაშინ არის დაცვის ღირსი, როდესაც ეს ინტერესი პატივსაცემია და კანონით არის დაცული. ინტერესი, რომელიც სცდილდება კანონით დადგენილ წესებს, ვერ იქნება სასამართლოს მსჯელობის საგანი. სარჩელით მოთხოვნილი ქმედების განხორციელების დავალდებულება წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის კანონით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებასთან, მატერიალურ სამართალთან და კანონის მიზნებთან. ადმინისტრაციული თუ სასამართლო წარმოებისას მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლევას, შესწავლასა და შეფასებას. მხარემ უნდა წარადგინოს მის მიერ მითითებული შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მტკიცებულებას შეიძლება წარმოადგენდეს მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, ფაქტების კონსტატაციის მასალები, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტთა დასკვნები, ამასთან, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს არ მიუთითებია ისეთ გარემოებებზე, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს, შესაბამისად, მიიჩნია, რომ სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 10.03.2020წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა შპს „...ის“ მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე სამართლებრივი შეფასება მისცა შპს „...ის“ კანონიერი ინტერესის არსებობა-არარსებობის საკითხს. სასამართლოს არ დაუდგენია რამდენად იყო აკრედიტაციის საგანი შპს „...ის“ განაცხადით მოთხოვნილი საკითხი, არ დადგენილა მოთხოვნილი ხელშეკრულების დადების დავალების საფუძვლის არსებობა. სასამართლოს არ უმსჯელია სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების მომწესრიგებელ ნორმებზე, არ დაუდგენია რეგისტრირებული განაცხადით დაწყებული პროცესის კუთვნილება სზაკ-ით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს უნდა აეხსნა თუ რა პროცესია ეს. ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა 2018 წლიდან დაიწყო 01.12.2017წ. მთავრობის მიერ მიღებული №510 და №511 დადგენილებების საფუძველზე, შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის საკითხებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ჯერ არ არსებობს. კასატორმა აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნტებით გათვალისწინებული საფუძვლებით. ანალოგიურ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.01.2019წ. განჩინებაში აღინიშნა, რომ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენით იწყება ადმინისტრაციული წარმოების პროცესი, რომლის ერთ-ერთი ეტაპი არის ხელშეკრულების გაფორმება და მის საფუძველზე შეფასების პროცედურების წარმართვა. გასაჩივრებულ განჩინებაში აკრედიტაციის პროცესზე საერთოდ არ არის მსჯელობა, რის გამო განჩინება დაუსაბუთებელი და კანონსწინააღმდეგოა. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არის ჩამოყალიბებული. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ უმსჯელია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის პროცესზე, რაც საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

კასატორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება ინციდენტურ კონტროლთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან. აკრედიტაციის პროცედურების დადგენა არის მხოლოდ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის კომპეტენცია, ხოლო აკრედიტაციის პირობები დაადგინა საქართველოს ეკონომი-

კისა და განვითარების მინისტრმა, რომელსაც კანონით ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია. აღნიშნულ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია. სასამართლომ იხელმძღვანელა არა საკანონმდებლო აქტით, არამედ საქმე გადაწყვიტა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენებით. ინციდენტურ კონტროლთან დაკავშირებით კასატრომა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებზე (საქმე №ბს-964-960(კ-17), 21.11.2017წ., საქმე №ბს-815-807(კ-16), 25.05.2017წ., საქმე №854-836(კ-12), 10.10.2013წ., საქმე №ბს-403-398(კ-12), 13.02.2013წ., საქმე №ბს-654-626(2კ-08), 11.03.2009წ.). კანონმდებლობა შებოჭილია კონსტიტუციით, კონსტიტუციით შექმნილი და განმტკიცებული სამართლებრივი წესრიგით, აღმასრულებელი ხელისუფლება კი კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით, ანუ სამართლით (სუსგ 12.09.2019წ. საქმე №ბს-1020(კ-18)). სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია კოლიზიის არსებობასა და ინციდენტურ კონტროლზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე არაერთგზის იქნა სასამართლოს ყურადღება გამახვილებული. სასამართლომ გამოიყენა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანება, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს 05.02.2020წ. გადაწყვეტილებით არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად იქნა აღიარებული იმ საფუძვლით, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ არის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ცენტრების მარეგულირებელი ნორმის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანო. გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლო იყენებს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებას (08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) მაშინ, როდესაც ეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, სწორედ სამინისტროს უფლებამოსილების ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 05.02.2020წ. გადაწყვეტილებით (საქმე №3/5468-19) ცნობილია არარა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად იმ საფუძვლით, რომ სამინისტრო არ არის კანონით უფლებამოსილი ორგანო გამოსცეს ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის მარეგულირებელი რაიმი ნორმა.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის გარეშე სამართლებრივი შეფასება მისცა შპს „...ის“ კანონიერი ინტერესის არსებობა-არარსებობის საკითხს, არ დაადგინა განცხადებით მოთხოვნილი საკითხის აკრედიტაციის საგნისადმი კუთვნილება, ასევე მოპასუხის-

თვის ხელშეკრულების დადების დავალების საფუძვლის არსებობა. აკრედიტაციის ცენტრისთვის განცხადების მიმართვისა და აკრედიტაციის მიღების გარეშე, ინსპექტირების ორგანო ვერ განახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებას, შესაბამისად, კანონიერი ინტერესი სახეზეა. კასატორი ყურადღებას ამახვილებს მისი განცხადების ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეგისტრაციაში გატარებაზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატა არ უთითებს საკანონმდებლო ნორმას, რომლითაც პირის ინტერესი ასეთ შემთხვევაში არ არის კანონით დაცული. აკრედიტაციის გარეშე კასატორი ვერ აწარმოებს საქმიანობას, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებას, რაც ადასტურებს პირდაპირ და უშუალო ზიანს. განსახილველი დავის ფარგლებში შეფასებას საჭიროებს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების ვალდებულების არსებობა, სზაკ-ით ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი წესებისა და პირობებისაგან განსხვავებული წესებისა და პირობების კანონქვემდებარე აქტით დადგენის შესაძლებლობა, ასევე ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საკანონმდებლო აქტებისა თუ ამ საკანონმდებლო აქტებთან წინააღმდეგობაში მყოფი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენების მართებულობა.

შპს „...ის“ კონსტიტუციური უფლება ადმინისტრაციულ წარმოებაზე (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხ.) მოპასუხეს აკისრებს ვალდებულებას კანონით დადგენილი წესით დაიწყოს და ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც წარიმართება სამართლიანად და გონივრულ ვადაში. შპს „...ის“ განცხადება მოპასუხეს წარედგინა 27.05.2019წ. სზაკ-ით დადგენილ ვადაში მოპასუხეს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა არ მოუთხოვია, შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრს ადმინისტრაციული წარმოება უნდა გაეგრძელებინა და გამოეცა აქტი აკრედიტაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სასკ-ის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საკასაციო საჩივრის განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე.

სსიპ აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა წარმოდგენილ მოსაზრებაში აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონმდებლობის მოთხოვნის სრული დაცვითაა მიღებული. მოსაზრების ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებაში მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით შეტანილი ცვლილების შედეგად აკრედიტაციისათ-

ვის დაწესდა სპეციალური რეგულაციები, რომელიც რელევანტური იყო იმ დროისათვის გატარებული რეფორმების ფარგლებში. აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციაზე განაცხადს ვერ მისცემდა მსვლელობას, იმ პირთა განაცხადის გარდა, რომლებსაც სამინისტრომ გაუფორმა ხელშეკრულება. შპს „...მა“ განაცხადი წარმოადგინა 27.05.2019წ. (აკრედიტაციის ცენტრში რეგისტრაციის №..., 27.05.2019წ.) ისე, რომ სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება არ წარმოდგენილა. მოსაზრების ავტორი თვლის, რომ სასამართლოს უარი ხელშეკრულების დადების დავალებაზე და აკრედიტაციის პროცედურის ჩატარებაზე, საქმის გარემოებების შესწავლის საფუძველზე, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვითაა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის უფლებების თუ ხელშესახები კანონიერი ინტერესის მოსალოდნელი შელახვა არ იყო რეალური, ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.07.2018წ. განჩინებაზე (საქმე №ბს-389-389(კ-18)), რომელიც შეეხება მოცემული დავისგან განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, სხვა ნორმატიულ აქტებს შორის ინციდენტური კონტროლის არსებობას, რაც იმთავითვე, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, არ გამოირიცხავდა განსახილველ დავაში მოსარჩელის მიერ მითითებულ ნორმატიულ აქტებს („საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონს, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსსა და აკრედიტაციის ცენტრის დირექტორის აქტს) შორის წინააღმდეგობის არარსებობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზე სსიპ -- აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო -- აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციის მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისთვის, აკრედიტაციის ეროვნული სისტემა ემყარება ერთიან წესებსა და პრინციპებს, აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიების, სერტიფიკაციის ორგანოების, ინსპექტირების ორგანოების (მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინ-

სპექტირების ცენტრების, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამონმებელი პირის) აკრედიტაციას, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლების გარეთ, დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 96.1, 96.4 მუხ.). აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება. აკრედიტაციის ცენტრი, აკრედიტაციის მონმობის გაცემით, ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისათვის (სადავო პერიოდში მოქმედი აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 03.10.2018წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული საკ 1.1 – „აკრედიტაციის სქემები და საერთო პროცედურები“, 1.2 მუხ.), დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის (ამჟამად მოქმედი აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული საკ 1.1:2020 – „აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“, მე-2 მუხ., 1-ელი პ., „ა“ ქვ.პ.). აკრედიტაციის პროცედურა მდებარეობს განმცხადებლის და სახელმწიფოს ინტერესების გადაკვეთის მიჯნაზე, აკრედიტაციის ინსტიტუტი არის აკრედიტაციასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ურთიერთობებზე სახელმწიფოს ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალება, რაც თავის მხრივ იძლევა მისი სახელმწიფო კონტროლის ფორმად განხილვის საშუალებას. როგორც წესი ლიცენზიისგან განსხვავებით, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირისთვის განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას, აკრედიტაცია ასევე მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტულ სფეროში სუბიექტის კვალიფიკაციის დადასტურებას, ამასთანავე აკრედიტაცია უმეტესად არის სახელმწიფო ორგანოს მიერ სუბიექტის განსაკუთრებული უფლებამოსილების აღიარების (დადასტურების) პროცედურა, თავისი ბუნებით აკრედიტაცია არის სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებული ფორმა, რომლის ფარგლებში სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო აღჭურავს გარკვეულ სუბიექტს განსაკუთრებული უფლებამოსილებით. აკრედიტაცია, როგორც ადმინისტრაციული სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი გულისხმობს ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს ერთი მხრივ სახელმწიფო ორგანოს, ხოლო მეორე მხრივ განსაკუთრებული უფლებამოსილების მიღების მქონე სუბიექტს შორის (სუსგ 25.11.2022წ. საქმე №ბს-876(კ-20)). აკრედიტაციის პროცედურის გავლის შედეგად აკრედიტაცი-

ის ცენტრის მიერ აკრედიტაციის მოწმობის გაცემა ნიშნავს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ოფიციალურად აღიარებას შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განსახორციელებლად, შესაბამისად, პირველადი აკრედიტაციისას აკრედიტაციის ცენტრი ახდენს აკრედიტაციის მაძიებელი პირის კომპეტენტურობის შეფასებას. აკრედიტაციის ცენტრის მიერ კომპეტენტურობის შეფასების ეტაპებს განსაზღვრავდა აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 03.10.2018წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის სქემებისა და საერთო პროცედურების“ (საკ. 1.1) 5.2 მუხლი (ძალადაკარგულია აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 16.10.2019წ. №01-1 ბრძანებით).

აკრედიტაციის ცენტრი შეიქმნა აკრედიტაციის სფეროში საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების მიზნით, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების“ 1.1 მუხ.). სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს. აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონის მიზნების განსახორციელებლად გამოსცემს ნორმატიულ აქტებს – ბრძანებებს და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – განკარგულებებს (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 97.1, 99.3 მუხ.). აკრედიტაციის ცენტრი შეიმუშავებს აკრედიტაციის წესებს და პროცედურებს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების“ მე-2 მუხ., „მ“ ქვ.პ., მე-3 მუხ. მე-4 პ. „გ“ ქვ.პ.). მოსარჩელის მიერ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენის დროისთვის მოქმედებდა სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 03.10.2018წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესები და პროცედურები“ (ძალადაკარგულია სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრე-

დიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 16.10.2019წ. №01-1 ბრძანებით). ზოგადად, წესსა და პროცედურაში მოიაზრება დადგენილ ქცევათა ერთობლიობა პირის მიერ მისი უფლებების რეალიზაციისა და მისთვის მოვალეობების დაკისრების მიზნით. საერთო წესის მიხედვით პროცედურა გულისხმობს საკითხის მსვლელობის და განხილვის წესს, უფლება-მოვალეობათა რეალიზაციისათვის თანმიმდევრულ წესრიგს. არსებობს პროცედურის შემოღების განსხვავებული საშუალებები (კანონი, რეგლამენტი, წესი, ინსტრუქცია და სხვ.). სზაკ-ით დადგენილი ზოგადი პროცედურები გამოიყენება სპეციალური მოწესრიგების არარსებობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა პროცედურის სპეციალური მოწესრიგება, რაც ქმნის აკრედიტაციის მიმართ სპეციალურად დადგენილი წესის გამოყენების საფუძველს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ დებულებაში 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით შეტანილი დამატებების შედეგად დებულებას დაემატა 2¹ მუხლი, რომლის თანახმად „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ 01.12.2017წ. №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები განისაზღვრა დებულების №1 დანართით (დებულების 2¹ მუხლი და №1 დანართი გაუქმებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 03.02.2021წ. №1-1/27 ბრძანებით). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით დამტკიცდა აგრეთვე სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დანართი №1, რომლითაც დადგინდა ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები. ამ დანართით განისაზღვრა, რომ ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისთვის დამატებითი პირობების დადგენას, შესარჩევი პროცესის წარმართვას და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენას ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ამავე დებულებით დადგენილი წესით. აღნიშნული დანართი აწესრიგებდა ასევე ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავებულ საკითხებს: განსაზღვრავდა აკრედიტაციის მიღების წესებს და ვადებს, ადგენდა შე-

სარჩევი პროცესის წარმართვასა და გამარჯვებულის გამოვლენაზე პასუხისმგებელ ორგანოს, შერჩევის პროცესში მონაწილეობის პირობებს, ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურს და სხვ.. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიღების შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 03.02.2021წ. №1-1/27 ბრძანებით ცვლილება იქნა შეტანილი 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებულ აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში, ამოღებულ იქნა დებულების 2¹ მუხლი და დებულების №1 დანართი. საქმეში დაცული აკრედიტაციის ცენტრის 02.07.2019წ. №... წერილის მიხედვით, შპს „...მა“ აკრედიტაციის მოთხოვნით აკრედიტაციის ცენტრს განცხადებით მიმართა 27.05.2019წ., ამდენად, კასატორმა აკრედიტაციის ცენტრში განცხადება აკრედიტაციის ცენტრის დებულების №1 დანართის მოქმედების პერიოდში წარადგინა, განცხადებას მსვლელობა არ მიეცა №1 დანართით გათვალისწინებული დამატებითი პირობებისადმი მისი შეუსაბამობის გამო, თუმცა განსახილველი დავის მიმდინარეობისას შეიცვალა აღნიშნული საკითხის ნორმატიული მოწესრიგება, კერძოდ, დებულების №1 დანართით გათვალისწინებული აკრედიტაციის დამატებითი პირობები გაუქმდა და დღეის მდგომარეობით აღარ მოქმედებს. განსახილველ საქმეზე აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმ სამართლებრივი შედეგების შეცვლას, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წარმოიშვა (სუსგ 25.11.2022წ. საქმე №ბს-876(კ-20)). საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელეს (კასატორს) აკრედიტაციის ხელშეკრულების და ზოგადად აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებაზე, განცხადების განხილვაზე უარი ეთქვა სწორედ იმ საფუძველით, რომ დაცული არ იყო აკრედიტაციის ცენტრის დებულების №1 დანართით გათვალისწინებული პირობა, რაც მდგომარეობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებაში. როგორც წესი, სამართლებრივი ნორმის ცვლილება/გაუქმება გავლენას არ ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე, თუ ეს უკანასკნელი გამოცემული იქნა ამ ნორმის ცვლილებამდე/გაუქმებამდე, გარდა გამოჩნაკლისი შემთხვევებისა, მაგ. საჯარიმო სანქციის შეფარდების მართლზომიერების შეფასებისას (იხ. სუსგ 18.01.2018წ. საქმე №380-375(2კ-16)). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს არ შეადგენს არც ინდივიდუალური და არც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი, რომლითაც დადგინდა აკრედიტაციის დამატებითი პირობები, ცალკე სასამართლო დავის საგანს შეადგენს), მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დავალდებულებას და ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინისტრაციული ნარმოების გაგრძელების დავალდებულებას. ვინაიდან დღეის მდგომარეობით ზემოთ მითითებული ნორმატიული მოწესრიგება არ არსებობს (გაუქმდა დანართი №1), სასარჩელო მოთხოვნის მართლზომიერება უნდა შემოწმდეს არა აკრედიტაციის ცენტრის დებულების №1 დანართთან შესაბამისობის თვალსაზრისით, არამედ ამჟამად მოქმედი აკრედიტაციის პროცედურების გათვალისწინებით. აკრედიტაციის პროცესში განმცხადებელი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული მოქმედებების განხორციელებაში, აგრეთვე საბოლოო ჯამში აკრედიტაციის მინიჭების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაში დაინტერესებული პირი. იმის გათვალისწინებით, რომ ნორმატიული აქტი სამართალურთიერთობებს აწესრიგებს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, ამასთანავე დავის განხილვის პროცესში გაუქმდა აკრედიტაციის დამატებითი პირობები, რომლებთანაც განცხადების შეუსაბამობის გამო აკრედიტაციის პროცედურები არ განხორციელდა, რაც აუმჯობესებს მოსარჩელის მდგომარეობას, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით, რომ განსახილველი სამართალურთიერთობა კასატორის მიერ სადავოდ არის გამხდარი და შესაბამისად არ დასრულებულა, მოსარჩელისთვის საბოლოო შედეგს კი იწვევს სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო სადავო საკითხის გადაწყვეტის დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტის პერიოდს, ამასთანავე პროცედურული ნორმების არაპირდაპირი უკუქცევითი ანუ რეტროსპექტიული ძალის გათვალისწინებით (საკითხი იხილება მისი განხილვის დროს მოქმედი პროცედურის მიხედვით), – შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ საკანონმდებლო ცვლილების შემდგომი სამართლებრივი რეჟიმის გამოყენება (სუსგ 25.11.2022წ. საქმე №ბს-876(კ-20)). აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება კანონიერი ინტერესის არარსებობაზე. ზოგადად, კანონიერი ინტერესი არის გარკვეული სამართლებრივი სიკეთისკენ სწრაფვა შესაბამისი სამართლებრივი შედეგის მიღების მიზნით. კანონიერი ინტერესის დაცვა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროცესუალურ-სამართლებრივი მექანიზმებით, რაც გულისხმობს ამ ინტერესების დაც-

ვის მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. ინტერესის არსებობის საკითხს წყვეტს სასამართლო საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის ზედა ინსტანციის სასამართლოებშიც საკუთარი ინიციატივით ამოწმებს. ინტერესის არსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფასდება, თუმცა იგი ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. სარჩელი უნდა იყოს მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალება, ანუ სარჩელში გამოკვეთილი უნდა იყოს პირის კანონიერი ინტერესის არსებობის ფაქტი. დაცვის ღირსი ინტერესით სარგებლობს არა პირის ნებისმიერი ინტერესი, არამედ მხოლოდ ის ინტერესი, რომელიც დაცულია კანონით. ეს უკანასკნელი კი სახეზეა მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება ან არსებობს საშიშროება იმისი, რომ შესაბამისი პროცესუალური ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე ვერ მოხდება პირის კანონიერი უფლებებისა ან ინტერესის დაცვა. კანონიერი ინტერესში შესაძლოა მოიაზრებოდეს ინტერესი, რომელიც გამომდინარეობს კანონიდან და იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელშიც იმყოფება ან შესაძლოა იმყოფებოდეს პირი ადმინისტრაციულ ორგანოსთან. კანონმდებელი ამ ინტერესში მოიაზრებს მხოლოდ პატივსაღებ, მართლზომიერ ინტერესს. პროცესის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს არა ნებისმიერი, არამედ იურიდიული დაინტერესება, ინტერესი უნდა იყოს კონკრეტული, ლეგიტიმური და პატივსაღები. ადმინისტრაციული პროცესის მთავარი მიზანი კი არის მხარეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე აკრედიტაციის ხელშეკრულების და შემდგომი პროცედურების მოპასუხისთვის დავალებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ აკრედიტაციის ცენტრმა გააგრძელოს წარმოება, საბოლოოდ მის მიზანს შეადგენს აკრედიტაციის მიღება კონკრეტული საქმიანობის სფეროში. სააპელაციო სასამართლომ განსახილველ დავაში კანონიერი ინტერესის არარსებობა დაუკავშირა მოსარჩელის მიერ იმ მოთხოვნების შეუსრულებლობას, რომელსაც იმ დროისათვის ითვალისწინებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი, სასამართლოს მიერ ინიციატიული კონტროლის საკითხის განხილვის გარეშე. ამჟამად აღნიშნული დანართი გაუქმებულია, შესაბამისად, ამ დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აღარ გააჩნია შესასრულებლად სავალდებულო ძალა. ვინაიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და აკრედიტაციის მაძიებელ პირს შორის ხელშეკრულების დადება აღარ წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნას, აკრედიტაციის განსახორციელებლად ამ მხრივ კანონიე-

რი ინტერესის არარსებობაზე მითითება მოკლებულია საფუძველს.

საკასაციო საჩივრის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისას ინციდენტური კონტროლის გამოუყენებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტა შესაძლებელია უკავშირდებოდეს ნორმებს შორის კოლიზიის გადაჭრას, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სათანადო ნორმატიული აქტის გამოყენების და სხვა, სანინალმდეგო, კოლიზიაში მყოფი ნორმატიული აქტის გამოყენებაზე უარის თქმის საკითხის გადაწყვეტას. სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისას სასამართლო უფლებამოსილია ნაკლები იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის იერარქიულად უფრო მაღალი დონის ნორმატიული აქტისადმი შესაბამისობის საკითხი გადაწყვეტოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და ასეთი შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში უარი თქვას ნორმატიული აქტის გამოყენებაზე, მისი ფორმალური გაუქმების გარეშე (ინციდენტური კონტროლი). ამასთანავე, ის ნორმატიული აქტი, რომელიც შეუსაბამობის გამო არ იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ, ავტომატურად არ კარგავს ძალას და აგრძელებს მოქმედებას. სსკ-ის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის თანახმად, თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით (იხ. სუს 25.05.2017წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-815-807(კ-16)). მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ ადმინისტრაციული სასამართლონარმოების პერიოდში შეიცვალა ნორმატიული მოწესრიგება, კერძოდ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ის ნაწილი (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების“ №1 დანართი), რომელიც კასატორს მიაჩნია შეუსაბამოდ იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ ნორმატიულ აქტებთან („საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონსა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსთან), აღარ მოქმედებს, შესაბამისად, მოცემულ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნის (ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დავალების, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების) საფუძვლიანობის განმსაზღვრელი ხსენებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მითითებული ნაწილი ვერ იქნება. ამდენად, მოცემული დავის გადაწყვეტა საკასაციო ინსტანციის ეტაპზე არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ინციდენტური კონტროლის გამოყენებას. ამასთანავე, კასატორის მითითება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-

ის 05.02.2020წ. გადანყვეტილებაზე, რომლითაც არარად იქნა აღიარებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების 2¹ მუხლი და დანართი №1, არ არის რელევანტური, ვინაიდან ხსენებული სასამართლოს აქტი გასაჩივრებულია და მოცემული პერიოდისათვის არ არის შესული კანონიერ ძალაში. განსახილველ საქმეზე მისაღებ გადანყვეტილებაზე გავლენას ვერ იქონიებს აკრედიტაციის დამატებითი პირობების დადგენის ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლების გაცდენის შესახებ ხსენებული სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი გარემოება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, კერძოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დავალდებულება ამ ეტაპზე აღარ საჭიროებს მითითებულ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ნაწილთან (აკრედიტაციის ცენტრის დებულების №1 დანართთან) შესაბამისობის შეფასებას.

27.06.2014წ. ხელმოწერილი „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმების (რეატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის 18.07.2014წ. №2495-რს დადგენილებით) მიხედვით თანამშრომლობა მოიცავს დარგობრივი სტრატეგიების განვითარებას საგზაო ტრანსპორტის სფეროში, ასოცირების შეთანხმების დანართებში განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (293-ე (ბ) მუხ.). საქართველომ იკისრა ვალდებულება მოეხდინა ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XXIV და XV-D დანართებში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართების შესაბამისად (296-ე მუხ.). ასოცირების შეთანხმების დანართი XXIV მოიცავს საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის გათვალისწინებულია 06.05.2009წ. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009/40/EC დირექტივა „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების საგზაო მოძრაობისთვის გამოსადეგი ტესტების შესახებ“, ამასთანავე ასოცირების შეთანხმებით განისაზღვრა, რომ ამ დირექტივის დებულებები ავტობუსებისა და სატვირთო მანქანებისთვის უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში, ხოლო სხვა

კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში. 2009/40/EC დირექტივა შეიცვალა „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკურის შემოწმების შესახებ“ 03.04.2014წ. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2014/45/EU დირექტივით (2009/40/EC დირექტივამ ძალა დაკარგა 2018 წლის 20 მაისიდან), რომლითაც დადგინდა სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური შემოწმების მინიმალური მოთხოვნები, ტესტირების ცენტრების მიერ სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული შემოწმების, ტესტირების ცენტრებისთვის წევრი სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების მინიჭების და შემდგომი კონტროლის ვალდებულება, ასევე ამ დირექტივის შესასრულებლად წევრი სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების ვალდებულება. ასოცირების შეთანხმების საფუძველზე მიღებული საქართველოს მთავრობის 01.12.2017წ. №510 და №511 დადგენილებებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტები „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ და „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდულ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების შესახებ“. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემის განვითარებას. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არის ტექნიკური ოპერაციების და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით დაწესებული პერიოდულობით დგინდება ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ძირითადი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობა. საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებულ ინსპექტირების ცენტრებში. ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამტკიცებული აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების შესაბამისად („საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 5.6, 11.1 და 11.3 მუხ.). 27.05.2019წ. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით აკრედიტაციის მადიებელი პირი აკრედიტაციისთვის განცხადებით მიმართავდა აკრედიტაციის ცენტრს

თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. თუ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების კომპლექტი იყო აკრედიტაციის ცენტრის შესაბამისი წესებისა და პროცედურების თანახმად სრულად წარდგენილი, განმცხადებლის მიერ აკრედიტაციაზე წარდგენილი დოკუმენტი მიიღებოდა და რეგისტრირდებოდა აკრედიტაციის ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურში (საკ 1.1 „აკრედიტაციის სქემების და საერთო პროცედურების“ მე-7 მუხ.). მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისთვის ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, ხელშეკრულების დადების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოსთვის აკრედიტაციის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ჩატარების დავალდებულებას, ამასთანავე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მანამდელი და ამჟამად მოქმედი წესის თანახმად განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, ხელშეკრულების დადებაზე აკრედიტაციის ცენტრი ატარებდა აკრედიტაციის პროცედურით გათვალისწინებულ მოქმედებებს. აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 03.10.2018წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის სქემების და საერთო პროცედურების“ (საკ 1.1) 8.1 მუხლის თანახმად, განცხადების რეგისტრაციის შემდეგ აკრედიტაციის ცენტრი ადგენს: ა) განაცხადის აკრედიტაციის საგნისადმი კუთვნილებას; ბ) აკრედიტაციის სქემებს, კანონმდებლობასა და დადგენილ მოთხოვნებთან განაცხადის შესაბამისობას. ამჟამად მოქმედი სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის საერთო წესებისა და პროცედურების“ (საკ 1.1:2020) მე-5 მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის შესახებ განაცხადის რეგისტრაციის შემდეგ აკრედიტაციის ცენტრი პირველ რიგში ადგენს: ა) განაცხადის აკრედიტაციის საგნისადმი კუთვნილებას; ბ) საქართველოს კანონმდებლობასთან, შესაბამის აკრედიტაციის სქემასთან და აკრედიტაციის წესებითა და პროცედურებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან წარდგენილი განაცხადის შესაბამისობას. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობებს, აკრედიტაციის ცენტრი არ ატარებს აკრედიტაციის პროცესით გათვალისწინებულ შემდგომ პროცედურებს და განაცხადის განხილვაზე დასაბუთებულ უარს აცნობებს განმცხადებელს დადგენილ ვადაში (მე-5 მუხ. მე-2 პ.), მითითებულ პირობებთან განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში აკრედიტაციის ცენტრი ატარებს აკრედიტაციის პროცესით გათვალისწინებულ შემდგომ პროცედურებს და აკრედიტაციის ცენტრსა და განმცხადებელს შორის ფორმდება „შეთანხმება აკრედიტაციაზე“ და შესაბამისი ხელშეკრულება. გა-

ნაცხადის განმხილველი ჯგუფის ხელმძღვანელის კოორდინაციით ცენტრის შემფასებელი ჯგუფი ახორციელებს განაცხადის განხილვას, დოკუმენტების ანალიზს ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა აკრედიტაციის საგანთან განაცხადის კუთვნილება, გამოყენებული სქემის შესაბამისობა აკრედიტაციის სქემასთან და სხვ. (მე-5 მუხ. მე-3 პ., მე-9 პ.).

დაუსაბუთებელია მოსარჩელის (კასატორის) მოსაზრება იმის შესახებ, რომ აკრედიტაციის მოთხოვნით განცხადების რეგისტრაცია და მისთვის ნომრის მინიჭება გულისხმობს განცხადების და თანდართული დოკუმენტების აკრედიტაციის წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობას, რაც წარმოშობს ხელშეკრულების დადების საფუძველს. აკრედიტაციის მისაღებად დადგენილი პროცედურის პირველი ეტაპია აკრედიტაციის მოპოვების მიზნით დაინტერესებული პირის მიერ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენა, შესაბამისი წესებისა და პროცედურების თანახმად მომზადებულ დოკუმენტებთან ერთად. აღნიშნული ეტაპი სრულდება განცხადების დადგენილ ფორმალურ პირობებთან შესაბამისობის დადგენით, კერძოდ, დგინდება, რომ განცხადება შეტანილია სათანადო სუბიექტის მიერ, განცხადება წარდგენილია სათანადო ფორმის დაცვით, განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტები შეიცავს სათანადო ინფორმაციას. აღნიშნულის დაცვის შემთხვევაში აკრედიტაციის საწყისი სტადია სრულდება განცხადების რეგისტრაციით, მისთვის სათანადო ნომრის მინიჭებით. შემდგომი სტადიები უკავშირდება განცხადების სახელდობრ განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას. აკრედიტაციის ცენტრში განცხადების რეგისტრაციით დასტურდება განცხადების ფორმალური და არა შინაარსობრივი შესაბამისობა აკრედიტაციისათვის დადგენილ შესაბამის წესებთან და პროცედურებთან, რაც იმთავითვე არ გულისხმობს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, შესაბამისად ხელშეკრულების დადების ვალდებულების არარსებობა არ წარმოშობს აკრედიტაციის მომდევნო პროცედურების განხორციელების საფუძველს. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ განცხადების რეგისტრაცია და მისთვის ნომრის მინიჭება ადასტურებს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წესებისა და პროცედურების შესაბამისად წარდგენას და წარმოშობს ხელშეკრულების დადების საფუძველს, არ გამომდინარეობს, როგორც განცხადების წარდგენის დროს (27.05.2019წ.), ასევე ამჟამად მოქმედი აკრედიტაციისთვის დადგენილი წესებიდან.

სსკ-ის 103.1 მუხლის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

სასკ-ის 19.1 მუხლის თანახმად, სსკ-ის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ამდენად, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.) სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები. განსახილველ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.07.2019წ. განჩინებით, აკრედიტაციის ცენტრიდან გამოთხოვილი იქნა საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა, მათ შორის შპს „...ის“ 27.05.2019წ. №... აკრედიტაციის განაცხადი. აღნიშნული განჩინება აკრედიტაციის ცენტრს ჩაბარდა 22.07.2019წ. 23.07.2019წ. აკრედიტაციის ცენტრმა სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომელსაც არ ერთვის სასამართლოს მიერ გამოთხოვილი დოკუმენტები, ასევე შესაგებელში მითითებული არ არის სასამართლოს მიერ დავალებული წარმოების მასალების წარუდგენლობის შეუძლებლობის თაობაზე, ამასთანავე, საქმის მასალებში არ მოიპოვება შპს „...ის“ 27.05.2019წ. №... აკრედიტაციის განაცხადების, მასთან დაკავშირებული წარმოების მასალები. სასკ-ის 19.5 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე. საქმეში დაცული დოკუმენტებით არ დგინდება მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოსადმი სასამართლოს მიმართვის ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალების (მათ შორის აკრედიტაციაზე განცხადების) შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე მიიჩნია, რომ გასაჩივრებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მტკიცებულებების სრულად გამოკვლევას ეფუძნება. სზაკ-ის 2.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება არის უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესე-

ბული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა. აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოება იწყება აკრედიტაციის მაძიებელი პირის მიერ აკრედიტაციის ცენტრში განცხადების წარდგენით, შესაბამისად, განცხადება ამ შემთხვევაში არის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების აუცილებელი წინაპირობა. აკრედიტაციის ცენტრის 02.07.2019წ. №... წერილის შინაარსიდან გამომდინარე შპს „...მა“ აკრედიტაციის მიღების მიზნით წარადგინა განცხადება, რომელსაც მიენიჭა რეგისტრაციის ნომერი. სხვა პროცედურების გავლის თაობაზე აღნიშნულ წერილში მითითებული არაა, აღნიშნული გარემოებები არც სააპელაციო სასამართლოს დაუდგენია, ამასთან, საქმის მასალებში არ მოიპოვება ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რაც არ იძლევა განცხადების რეგისტრაციის გავლის შემდეგომ სხვა პროცედურების გავლის თაობაზე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განცხადების წარდგენა და მისთვის რეგისტრაციის ნომრის მინიჭება ადასტურებს ასეთი განცხადებით მიმართვის დასაშვებობას, კერძოდ, ადასტურებს იმას, რომ განცხადება წარდგენილია აკრედიტაციის მოსაპოვებლად უფლებამოსილი პირის მიერ, სათანადო ფორმით და შესაბამისობაშია ფორმალურ მოთხოვნებთან, ასევე განცხადებას ერთვის კანონით დადგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი. ამ მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს განმცხადებლისთვის უნდა ეცნობებინა განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი საფუძვლების მითითებით. განცხადების წარდგენა და მისი რეგისტრაცია ადასტურებს შესაბამისი წესებისა და პროცედურების თანახმად განცხადების და მასზე თანდართული დოკუმენტების კომპლექტის სრულად წარდგენას. ამასთანავე, აკრედიტაციის ხელშეკრულების დასადასტურებლად საკმარისია არა უბრალოდ განმცხადებლის ნება, რაც გამოიხატება განცხადების (მასზე თანდართული დოკუმენტების) წარდგენაში, არამედ სავალდებულოა დადგენილი პირობების დაკმაყოფილება. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დადგენილია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება. სზაკ-ის 12.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სზაკ-ის 76.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, ადმინისტრაციული წარმოება იწყება განცხადების რეგისტრაციიდან (სზაკ-ის 76.2 მუხ.). იმის გათვალისწინებით, რომ დავის განხილვის პროცესში გაუქმდა აკრედიტაციის დამატებითი პირობები, ადმინის-

ტრაციული წარმოება უნდა გაგრძელდეს. აკრედიტაციის თაობაზე განცხადების რეგისტრაცია არ წარმოადგენს ხელშეკრულების დადების უპირობო საფუძველს, ვინაიდან უკვე აღინიშნა, რომ მიმართვის დროს და ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ხელშეკრულების დადებამდე აკრედიტაციის ცენტრმა უნდა შეამოწმოს: განაცხადით წარმოდგენილი საკითხის აკრედიტაციის საგანთან შესაბამისობა, აგრეთვე, წარდგენილი განაცხადის შესაბამისობა აკრედიტაციის სქემებთან და პროცედურებთან. ხსენებული პროცედურების წარმატებით გავლის შემდეგ იდება ხელშეკრულება აკრედიტაციაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტაციის შემდეგი პროცედურები არ ტარდება, მათ შორის არ იდება ხელშეკრულება ცენტრსა და განმცხადებელს შორის. მოპასუხის 02.07.2019წ. №... წერილი არ შეიცავს რაიმე მითითებას შპს „...ის“ განცხადებით წარდგენილი საკითხის აკრედიტაციის საგანთან შესაბამისობაზე, წერილი არ შეიცავს აგრეთვე რაიმე მითითებას „ნესით“ გათვალისწინებული სქემების და პროცედურების მოთხოვნებისადმი შპს „...ის“ განცხადების შეუსაბამობაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 02.07.2019წ. №... წერილით მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებელს განუმარტა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. ბრძანებით ცვლილებები იქნა შეტანილი 16.03.2010წ. №1-1/330 ბრძანებით დამტკიცებულ აკრედიტაციის ცენტრის დებულებაში, დადგინდა დამატებითი პირობები ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ჩამტარებელი ორგანოების მიმართ, რის გამო აკრედიტაციის ცენტრს არ აქვს უფლება შპს „...ის“ განცხადებას მისცეს მსვლელობა. ამდენად, ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი მასალების საფუძველზე უნდა დადგინდეს შპს „...ის“ განცხადების წარდგენის შემდეგ, განცხადებასთან დაკავშირებით იმ ეტაპების გავლა, რაც წარმოშობდა ხელშეკრულების დადების საფუძველს, საქმეში დაცულია მხოლოდ ცენტრის 02.07.2019წ. წერილი, რომელიც შეიცავს მითითებას მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 08.01.2018წ. №1-1/5 ბრძანებაზე, აკრედიტაციის ცენტრში შპს „...ის“ განცხადება დარჩა განუხილველად, ცენტრის 02.07.2019წ. №... წერილში შპს „...ის“ განცხადების აკრედიტაციის საგანთან, დამტკიცებულ სქემასა და პროცედურასთან შეუსაბამისობაზე მითითების არარსებობა არ ადასტურებს ცენტრის მიერ ხსენებული ასპექტების შემოწმებას, შესაბამისად დასადგენია წერილის გამოცემამდე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნული გარემოებების შესწავლის საკითხი.

აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციას ახორციელებს დაინტერესებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 97.3 მუხ.). აკრედიტაციის ცენტრსა და აკრედიტაციის მანიჭებელ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს შორის შესაბამის ხელშეკრულებასთან ერთად ფორმდება „შეთანხმება აკრედიტაციაზე“ (სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის საერთო წესების და პროცედურების“ (საკ 1.1:2020) მე-4 მუხ. მე-7 პ.). აკრედიტაციის განაცხადის წარდგენის შემდეგ, აკრედიტაციის მიღების მსურველ პირთან ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი მომსახურების განწესის თაობაზე და ამის პარალელურად აკრედიტაციის მსურველ პირსა და აკრედიტაციის ცენტრს შორის ფორმდება დამატებითი შეთანხმება აკრედიტაციაზე, რითიც აკრედიტაციის მსურველი პირი ადასტურებს, რომ მინიჭებული აკრედიტაციის ფარგლებში საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, აკრედიტაციის წესებსა და პროცედურების, აკრედიტაციის სქემების და აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებულ პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისად. შეთანხმება ასევე განსაზღვრავს აკრედიტაციის ცენტრის ვალდებულებებს მიუკერძოებლად შეფასების განხორციელების და აკრედიტაციის სრული ციკლის განმავლობაში აკრედიტებული პირის შესაბამის ინფორმაციაზე კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე. შეთანხმების თანახმად აკრედიტაციის ცენტრი იღებს ვალდებულებას, რომ აკრედიტებულ პირს დროულად მიაწოდოს ყველა ინფორმაცია აკრედიტაციის წესებსა და პროცედურებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. ხელშეკრულების დადება ხდება ადმინისტრაციული პროცედურის გარკვეულ ეტაპზე, ამასთანავე ის წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების აუცილებელ პირობას. სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ერთ-ერთი მხარე – ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს არა კერძო პირისათვის დამახასიათებელი კერძო ავტონომიის თავისუფლების ფარგლებში, არამედ მხოლოდ იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მას მოქმედი კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული (სზაკ-ის 66-ე მუხ.). ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული წარმოების პროდუქტია, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას საჯარო სამართლის სფეროში და მიზნად ისახავს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. სასკ-ის 2.1 მუხლის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით სასამართლოში ადმინის-

ტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, ქმედების განხორციელების ვალდებულება. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან (სასკ-ის 25¹ მუხ.), ასევე რეალაქტის განხორციელებასთან (სასკ-ის 24-ე მუხ.) დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. აკრედიტაციის პროცესი წარმოებს რამდენიმე ეტაპად, აკრედიტაცია კომპლექსური ხასიათისაა, რომელიც მოიცავს რიგი მოქმედებების განხორციელებას, ხელშეკრულების დადებას, აკრედიტაციის პროცესი საბოლოოდ სრულდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. მოსარჩელე მოითხოვს აკრედიტაციაზე ხელშეკრულების გაფორმებას, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს განმცხადებლის შესაბამისობის დადასტურებას და განმცხადებლისათვის აკრედიტაციის მინიჭებას, ვინაიდან ხელშეკრულების დადების შემდეგ კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პროცედურის გაგრძელება, აკრედიტაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტამდე რიგი მოქმედებების განხორციელება. განმცხადებელსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის აკრედიტაციის ხელშეკრულების დადების შემდგომ სადავო პერიოდში მოქმედი „საკ 1.1 – აკრედიტაციის სქემების და საერთო პროცედურების“ მე-9-მე-14 მუხლები ადგენდა წინასწარი ვიზიტის/შეფასების, შეფასებისთვის მომზადების, სამუშაო უზნის/ფილიალის, დოკუმენტებისა და ჩანაწერების ანალიზის, ადგილზე შეფასების, მიღებული მონაცემების ანალიზის და შეფასების ანგარიშის წესს. ამავე „წესებისა და პროცედურების“ მე-15 მუხლი განსაზღვრავდა აკრედიტაციის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების, აკრედიტაციის ცენტრის დირექტორის (ან მისი მოადგილის) მიერ შესაბამისი განკარგულების გამოცემის, აკრედიტაციის მოწმობის და მისი დანართის გაცემის წესს. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების დადების შემდეგ აკრედიტაციის შემდგომი პროცედურების მოპასუხისთვის განხორციელების დავალების საფუძველი იარსებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განსახილველი დავის ფარგლებში დადგინდება ხელშეკრულების დადების დავალდებულების საფუძველების არსებობა. ხელშეკრულების დადებისა და აკრედიტაციის პროცედურების განხორციელების საფუძველი უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი მასალების გათვალისწინებითა და ამჟამად მოქმედი სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 10.04.2020წ. №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და პროცედურების“ შესაბამისად. ამ წესებისა და პროცედურების მიზანი და ამოცანებია საქართველოს

კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად აკრედიტაციასთან დაკავშირებული განცხადების მიღების, დამუშავების, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დადგენა (საკ 1.1:2020 1.1 მუხ.). განმცხადებლის მიერ აკრედიტაციის მისაღებად წარდგენილი განცხადება მიიღება და რეგისტრირდება აკრედიტაციის ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებით მოთხოვნილი ყველა თანდართული დოკუმენტი წარდგენილია სრულად, მათ შორის, განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი შპო-ს (შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს) სათანადო უფლებამოსილების მქონე პირის მიერ და წარდგენილი უნდა იყოს მტკიცებულება, რომ შპო არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი იურიდიული პირი ან იურიდიული პირის ნაწილი (საკ 1.1:2020, 4.2 მუხ.). აკრედიტაციის ცენტრსა და განმცხადებელს შორის ხელშეკრულების გაფორმება და აკრედიტაციის ცენტრით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ განცხადება აკმაყოფილებს ზემოთ უკვე აღნიშნულ კონკრეტულ პირობებს. ასეთი პირობების არარსებობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა შპს „...ის“ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესაძლებლობის, კერძოდ, მოპასუხისთვის – სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრისათვის შპს „...ის“ განცხადების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტაციის ხელშეკრულების დადების წინაპირობების დადგენის დავალების შესახებ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, გადაწყვეტილება მიღებულია ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი მასალების შეფასების და გამოკვლევის გარეშე, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად შპს „...ის“ საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ

უნდა შეაგროვოს საჭირო მტკიცებულებები, დამატებით გამოიკვლიოს შპს „...ის“ განცხადების წარდგენის ფაქტი, ამ განცხადების შინაარსი და მოთხოვნა, მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, აკრედიტაციის ცენტრის მიერ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული პროცედურები, ეტაპები და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.03.2020წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირბასამტახტოს დაკისრება

ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირბასამტახტოს დაკისრების კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-320(კ-22)

20 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2019 წლის 11 თებერვალს სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის – შპს „...ს“ მიმართ და მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისთვის პირგასამტახტოს სახით 41483.84 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...ს“ შორის 2018 წლის 7 მარტს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა: 1. ქალაქ ...ში მდებარე 1764 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); 2. ქალაქ ...ში ...ის №30ა-ში მდებარე 979 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); 3. ქალაქ ...ში მდებარე 303 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა (ს/კ ...); 4. ქალაქ ...ში, ...ის ქ. №2-ში მდებარე 8888 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 და №4 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); 5. ...ის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 4845 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 და №4 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...). ამავე ხელშეკრულების 2.1 მუხლით განისაზღვრა მყიდველის ვალდებულება, უზრუნველყო საპრივატიზებო თანხის – 218 336

ლარის გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულების 6.2 მუხლის მიხედვით, 2.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს „...მ“ წერილებით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საპრივატიზებო თანხის გადახდის გადავადების თხოვნით. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილებით, საპრივატიზებო თანხის გადახდის უზრუნველყოფისთვის, შპს „...ს“ რამდენჯერმე მიეცა დამატებითი ვადა, რომელიც, საბოლოოდ, განისაზღვრა 2018 წლის 1 ნოემბრამდე. ამავე წერილებით მოპასუხე გაფრთხილებულ იქნა, რომ სააგენტოს მიერ განსაზღვრული დამატებითი ვადა არ შეაჩერებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებას. მიუხედავად დამატებითი ვადის განსაზღვრისა, შპს „...მ“ არ გადაიხდა საპრივატიზებო თანხა, რის გამოც, ხელშეკრულების 6.2 მუხლის თანახმად, დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 41483.84 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/1-2714 ბრძანებით სააგენტოსა და შპს „...ს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყდა. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ დასახელებული გარემოებები ქმნიდა მოსარჩელის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე შპს „...ს“ წარმომადგენელმა იშუამდგომლა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ საფუძველით, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილებოდა ადმინისტრაციული საქმე – შპს „...ს“ სარჩელისა გამო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოპასუხის წარმომადგენლის მითითებით, სადავო იყო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №1/1-2714 ბრძანება, რომლითაც შეწყდა 2018 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება. მოპასუხის მოსაზრებით, მითითებული საქმის განხილვას, შესაძლოა, გამოენვიო მხარეთა შეთანხმება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით, შპს „...ს“ წარმომადგენლის შუამდგომლობა – საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს „...ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული პირგასამტეხლოს – 4000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...ს“ შორის 2018 წლის 7 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა: ქალაქ ...ში მდებარე 1764 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); ქალაქ ...ში ...ის №30ა-ში მდებარე 979 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); ქალაქ ...ში მდებარე 303 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა (ს/კ ...); ქალაქ ...ში, ...ის ქ. №2-ში მდებარე 8888 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 და №4 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); ...ის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 4845 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 და №4 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...). ამავე ხელშეკრულების 2.1 მუხლით განისაზღვრა მყიდველის ვალდებულება, უზრუნველყო საპრივატიზებო თანხის – 218 336 ლარის გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულების 6.2 მუხლის მიხედვით, 2.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

„2. შპს „...ს“ ღირექტორმა 2018 წლის 17 მაისს წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესყიდული მიწის ნაკვეთის ღირებულების გადახდისთვის დამატებითი ვადა ითხოვა, ჯარიმის გამოყენების გარეშე, რაზეც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 31 მაისის №4/30720 წერილით მოპასუხეს თანხის გადახდისთვის განესაზღვრა დამატებითი ვადა 2018 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელშეკრულებო

ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2018 წლის 18 ივნისის №4/34120 წერილით შპს „...ს“ დირექტორს ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, ამავე წერილით ასევე მიეთითა საბანკო რეკვიზიტებისა და თანხის გადახდის ვადის თაობაზე;

3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №1/1-2714 ბრძანებით მხარეთა შორის დადებული 2018 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ, 36-ე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, 25¹-ე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, 65-ე, სამოქალაქო კოდექსის მე-8, 115-ე, 316-ე, 361-ე, 327-ე, 416-ე, 417-ე, 418-ე, 420-ე, 477-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებული იყო მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

ამასთანავე, საქალაქო სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებებით, მოპასუხის მიერ გადასახდელი თანხისა და მისი გადახდის დაგვიანებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობის გათვალისწინებით, დაასკვნა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო – 41483,84 ლარის ოდენობით, შეუსაბამოდ მაღალი იყო, რის გამოც იგი შეამცირა 4000 ლარამდე. საქალაქო სასამართლოს მითითებით, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 7 მარტს, ხოლო იმავე წლის 14 დეკემბერს იგი შეწყდა. სწორედ ამ დროის შუალედში მოსარჩელის მიერ განხორციელდა საპრივატიზებო თანხის გადავადება. რაც შეეხება მოპასუხის მითითებას გაფრთხილების ჩაუბარებლობის თაობაზე, საქალაქო სასამართლომ აღნიშნული არგუმენტი არ გაითვალისწინა და განმარტა, რომ 2018 წლის 12 ივნისისა და 31 აგვისტოს შპს „...ს“ დირექტორის წერილების შინაარსის შესაბამისად, მხარისთვის ცნობილი იყო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 31 მაისის №4/30720 და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2018 წლის 18 ივნისის №4/34120 წერილების შესახებ, რომლითაც მოპასუხეს ეცნობა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ, ასევე მიეთითა საბანკო რეკვიზიტები და განემარტა პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში ხელ-

შეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „...ს“, ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, უცილობლად ეკისრებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა, რომლის ოდენობაც სასამართლომ 4000 ლარით განსაზღვრა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ასევე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და შპს „...მ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 აგვისტოს განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; შპს „...ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინება; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ თავდაპირველად იმსჯელა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინების კანონიერებაზე, რომლითაც მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა. შეჩერების საფუძველად მიეთითა იმ გარემოებაზე, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილებოდა საქმე №3-282-19, შპს „...ს“ სარჩელის გამო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, სადაც სადავო იყო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №1/1-2714 ბრძანება, რომლითაც შეწყდა 2018 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება. მოცემულ სამართალწარმოებას კი, შესაძლოა, გამოეწვია მხარეთა შორის შეთანხმება.

სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „...სათვის“ პირგასამტეხლოს დაკისრება იმ საფუძველით, რომ მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზაციო თანხის გადახდის ვადები, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოში განსახილველ №3-282-19 ადმინისტრაციულ საქმეზე სადავოა სსიპ

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული 2018 წლის 14 დეკემბრის ბრძანება (2018 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ). სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე შპს „...სთვის“ პირგასამტეხლოს დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების კანონიერების და სისწორის შემოწმება არ იყო შეუძლებელი №3-282-19 ადმინისტრაციული საქმის საბოლოო განხილვა-გადაწყვეტამდე.

რაც შეეხებოდა დავის ძირითად არსს, სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე, 361-ე, 417-ე, 418-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...ს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ისე დააკისრა მოპასუხეს პირგასამტეხლო მოსარჩელის სასარგებლოდ, რომ არ გაითვალისწინა იმავე ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი, რომლის თანახმად, მყიდველის სასარგებლოდ წარმოდგენილი იყო სს „...ის“ მიერ 2018 წლის 7 მარტს გაცემული № ... საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ხელშეკრულების 2.1 და 3.1.1. მუხლებით ნაკისრი შპს „...ს“ ვალდებულებების შესრულებას ან/და ამ ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას. იმავე ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში კი მითითებული იყო, რომ მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.7 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა სრულად ჩაირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან შპს „...ს“ ვალდებულება მყიდველის წინაშე პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე უზრუნველყოფილ იქნა სს „...ის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტიით, ამიტომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოცემული დავის საგნიდან გამომდინარე, თავდაპირველად უნდა გამოერკვია, სს „...ის“, როგორც გარანტის მიერ ხომ არ იყო გადახდილი შპს „...ს“ ნაცვლად მოსარჩელის სასარგებლოდ, როგორც ბენეფიციარისთვის პირგასამტეხლო. ამიტომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა ემსჯელა პროცესის დისპოზიციურობის და ინკვიზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით მოცემული სადავო სამართალურთიერთობის ფარგლებში გარანტის, კერძოდ, სს „...ის“ პროცესუალური სტატუსის თაობაზე.

სააპელაციო პალატის 2020 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე შპს „...ს“ მიერ წარდგენილ იქნა ასევე სს „...ის“ 2019 წლის 8 იანვრის საგადასახადო დავალება, რომლითაც დგინდება, რომ გადასახადის გა-

დამხდელის სს „...ის“ მიერ 2019 წლის 8 იანვარს ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადაირიცხა 30 000 ლარი, გადახდის დანიშნულებად მითითებულია სს „...ის“ № ... საბანკო გარანტიაზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წამოყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შპს „...სთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ 4000 ლარის პირგასამტეხლოს სახით დაკისრება, სანამ არ გაირკვეოდა, სს „...ის“ მიერ, გაცემული საბანკო გარანტიის ფარგლებში, ხომ არ მოხდა უკვე აღნიშნული პირგასამტეხლოს გადახდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საქმეს ხელახალი განხილვისთვის აბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოში, რადგან მოცემულ საქმეში ჩასართავ სს „...ს“ საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეს საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებსა და ამ პირობების დარღვევისთვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს განსაზღვრაზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლით, კერძოდ, დასახელებული ნორმის თანახმად, განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად კი, დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს. კანონისმიერია პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა განსაზღვრული. ამდენად, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, ვისი ნებითაა იგი წარმოშობილი – კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, რაც კასატორის მოსაზრებით, ვალდებულების დამრღვევი მხარისთვის

მართლობიერად უნდა შეფასდეს. კასატორი მიუთითებს, რომ სა-აპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი, თუმცა გასაჩივრებული განჩინებიდან არ დგინდება, რა ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შეფასებების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც, პირგასამტეხლო განსაზღვრა არა 30 000, არამედ – 4000 ლარით.

კასატორი მიუთითებს ნასყიდობის ხელშეკრულების 5.1 მუხლზე, რომლის თანახმად, მყიდველის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ხელშეკრულების 2.1 და 3.1.1 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ამავე ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას. ამდენად, ხელშეკრულების თანახმად, საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილია შპს „...ს“ მიერ შესასრულებელი ორი ვალდებულება, რომელთაგან არც ერთი არ არის შესრულებული, ხოლო პირგასამტეხლო კომპანიას დაეკისრა მხოლოდ 2.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ამასთან, 5.1 მუხლის თანახმად, საბანკო გარანტია, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას. თავის მხრივ, შპს „...ს“ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა უდავოა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების თანახმად, საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილია ვალდებულების შესრულება და არა მხოლოდ ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ საფუძველით, რომ არ არის გამოკვეთული საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის ჩამოჭრის საკითხი, დაუსაბუთებელია. ამრიგად, კასატორი, ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილული იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს სა-

აპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, შპს „...სთვის“ პირგასამტეხლოს დაკისრების კანონიერების შეფასება მაშინ, როცა მოპასუხის მიერ წარმოდგენილია საბანკო გარანტია. ამრიგად, დავის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პირობებში, სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაფასებელია სწორედ ამ გარანტიით გადახდილი თანხის პირგასამტეხლოდ მიჩნევის საკითხი.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქმის მასალებით დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „...ს“ შორის 2018 წლის 7 მარტს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა: 1. ქალაქ ...ში მდებარე 1764 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); 2. ქალაქ ...ში ...ის №30ა-ში მდებარე 979 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); 3. ქალაქ ...ში მდებარე 303 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა (ს/კ ...); 4. ქალაქ ...ში, ...ის ქ. №2-ში მდებარე 8888 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 და №4 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...); 5. ...ის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 4845 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 და №4 შენობა-ნაგებობები (ს/კ ...). ამავე ხელშეკრულების 2.1 მუხლით განისაზღვრა მყიდველის ვალდებულება, უზრუნველყო საპრივატიზებო თანხის – 218 336 ლარის გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულების 6.2 მუხლის მიხედვით, 2.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდეელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ შპს „...ს“ დირექტორმა 2018 წლის 17 მაისს წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესყიდული მიწის ნაკვეთების ღირებულების გადახდისთვის დამატებითი ვადა ითხოვა ჯარიმის გამოყენების გარეშე, რაზეც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენ-

ტოს თავმჯდომარის 2018 წლის 31 მაისის №4/30720 წერილით მოპასუხეს თანხის გადახდისთვის განესაზღვრა დამატებითი ვადა 2018 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2018 წლის 18 ივნისის №4/34120 წერილით შპს „...ს“ დირექტორს ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, ამავე წერილით მიეთითა საბანკო რეკვიზიტებისა და თანხის გადახდის ვადის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №1/1-2714 ბრძანებით მხარეთა შორის დადებული 2018 წლის 7 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 აგვისტოს განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „...ს“ სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას არა თუ ეთანხმება, არამედ მიიჩნევს, რომ სარჩელი საფუძვლიანია, ხოლო საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზიები ქმნის მისი დაშვებისა და სარჩელის დაკმაყოფილების უპირობო საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: ა) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; ბ) გასაჩივრებული სასამარ-

თლო გადანყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადანყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე; გ) გასაჩივრებული გადანყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; დ) გასაჩივრებული გადანყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადანყვეტილებაა. ამასთან, 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადანყვიტოს იგი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება. მართალია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა მას ასევე შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადანყვიტოს იგი, ანუ არსებითად განიხილოს საქმე და მიიღოს მასზე გადანყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება, თვითონ, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის დაბრუნების გარეშე, გადანყვიტოს საქმე, ემყარება საპროცესო ეკონომიის პრინციპს. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, როდესაც მას თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადანყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველს მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს – 4000 ლარის ოდენობით მყიდველისთვის დაკისრების მართლზომიერება წარმოადგენდა მაშინ, როცა მყიდველის სასარგებლოდ წარმოდგენილი იყო სს „...ის“ მიერ 2018 წლის 7 მარტს გაცემული საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფდა ხელშეკრულების 2.1 და 3.1.1 მუხლებით ნაკისრი შპს „...ს“ ვალდებულებების შესრუ-

ლებას ან/და ამ ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას. გარდა ამისა, დავის არსებითად განხილვის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიუთითებდა, რომ თავდაპირველად გამოერკვია სს „...ის“, როგორც გარანტიის მიერ საბანკო გარანტიის გაცემით ბენეფიციარისთვის ხომ არ იყო გადახდილი პირგასამტეხლო, ამასთანავე, პროცესის დისპოზიციურობისა და ინკვიზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით, ემსჯელა სს „...ის“ პროცესუალური სტატუსის თაობაზე. დასახელებული გარემოებების მხედველობაში მიღების შედეგად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა, რის გამოც არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული საკითხების გამოკვლევა და შეფასება სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეეძლო.

საკასაციო პალატის მითითებით, დავის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მართალია, სადავო არ არის მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა, რის გამოც მოპასუხეს უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა, თუმცა ხელშეკრულებით ნაკისრი საპრივატიზებო თანხის გადახდის (მუხლი 2.1.) და ინვესტიციის განხორციელების (მუხლი 3.1.1.) ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისა ან/და ამავე ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად, მყიდველის მიერ წარდგენილია სს „...ის“ მიერ 2018 წლის 7 მარტს გაცემული №... საბანკო გარანტია. ამასთანავე, სააპელაციო პალატის 2020 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე შპს „...ს“ მიერ წარდგენილ იქნა სს „...ის“ 2019 წლის 8 იანვრის საგადასახადო დავალება, რომლითაც დგინდება, რომ გადასახადის გადამხდელისთვის სს „...ის“ მიერ 2019 წლის 8 იანვარს ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადაირიცხა 30000 ლარი, გადახდის დანიშნულებად მითითებულია – სს „...ის“ № ... საბანკო გარანტიასა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „...ს“ მიმართ წამოყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ამრიგად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო და არა ნორმატიული ხასიათის, მისი სამართლებრივი შინაარსის, ფუნქციისა და დანიშნულების, ვალდებულების დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, სააპელაციო სა-

სამართლომ თავად უნდა იმსჯელოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს შემცირების საჭიროებაზე. ამ გარემოების შეფასებამდე კი, თავადვე განსაზღვროს საქმეში წარმოდგენილი სს „...ის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტიით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ ნამდვილად დაიფარა თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

რაც შეეხება განსახილველ საქმეში სს „...ის“ – როგორც გარანტის პროცესუალური სტატუსის განსაზღვრას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების ერთ-ერთ მიზეზს სწორედ სს „...ის“ საქმეში ჩართვის დავალება წარმოადგენდა, იმ საფუძველით, რომ მას საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების სარგებლობის შესაძლებლობა მისცემოდა საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოში. საკასაციო სასამართლოს მითითებით კი, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარანტის უფლების (პრინციპალისაგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდის მოთხოვნა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით) მხედველობაში მიღებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში ჩააბას სს „...“ და განუსაზღვროს მას პროცესუალური სტატუსი. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს რა აღნიშნულ გარემოებას, აგრეთვე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სს „...ის“ შესაძლო მონაწილეობას და ასევე მის მიერ საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებას, მიიჩნევს, რომ მოპასუხე მინიმუმ ორი ინსტანციით სრულად შეძლებს საპროცესო უფლებების რეალიზებას და ამ გარემოებისა გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება საქმის განხილვის გაჭიანურებასა და მხარეთა უფლებების უსაფუძვლო შელახვას გამოიწვევს. შესაბამისად, აღნიშნული საფუძველითაც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-16 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 372, 385-ე, 394-ე და 412-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 აგვისტოს განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ხელშეკრულების შეწყვეტის გამოცხადებული
შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1166(2კ-19)

28 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 18.07.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის ც. ჩ-ას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ ც. ჩ-ასთვის ჯარიმის 28 000 ლარის დაკისრება, ასევე 2018 წლის 19 მარტიდან დაკისრებული პირგასამტეხლოს 28 000 ლარის 0,2%-ის გადახდის ვალდებულების დაკისრება, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თანხის სრულ ანაზღაურებამდე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ც. ჩ-ას შორის 09.03.2014წ. დაიდო ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მივლინების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა რვა წლით. ც. ჩ-ამ 27.02.2018წ. პირადი პატაკის საფუძველზე მოითხოვა კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა, რაც დაკმაყოფილდა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით იგი დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალებიდან. ც. ჩ-ას კონტრაქტი შეუწყდა 2018 წლის 09 მარტიდან, ხოლო მხარეთა შორის 09.03.2014. გაფორმებული კონტრაქტის 7.3 პუნქტის თანახმად კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ც. ჩ-ას დაეკისრა ვალდებულება თავდაცვის სამინისტროსათვის კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში გადაეხადა ჯარიმის სახით 28 000 ლარი, რომელიც მის მიერ არ არის გადახდილი, ხოლო ამავე კონტრაქტის 7.4 პუნქტის მიხედვით აღნიშნული თანხის დაფარვის ვადის გადაცილებისათვის

მხარეს ასევე ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ამ თანხის 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თანხის სრულ ანაზღაურებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.11.2018წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, ც. ჩ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაევალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარისა და 2018 წლის 19 მარტიდან, დაკისრებული თანხის სრულ ანაზღაურებამდე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმის თანხის 28 000 ლარის 0,2%-ის ოდენობით, პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო კადრების მომზადება, რათა საქართველოს შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული, დისციპლინური, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო უფლებამოსილება და მისი უშუალო, პირდაპირი ფუნქციაა. სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხის ანაზღაურებას, რის გამო მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. მოსარჩელის მიერ ც. ჩ-ასთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის თანხისა და პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა, მხარეთა შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დავის საგანს. დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა. სამხედრო მოსამსახურის პროფესიული მომზადებისათვის, ტექნიკური აღჭურვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები საქართველოს სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით არის დეტერმინირებული, შესაბამისად, აღნიშნული დიდი საჯარო მიზნიდან გამომდინარე, სამხედრო მოსამსახურესთან დადებული სამხედრო სამსახურის კონტრაქტში პირგასამტეხლოს გათვალისწინება იმ მიზანს ემსახურება, რომ თითოეულმა სამხედრო მოსამსახურემ გაითვალისწინოს უსაფუძვლოდ სამხედრო სამსახურის შეწყვეტის და მის პროფესიულ განვითარებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული სახსრების უშედეგობის დაუშვებლობა, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფო ინტერესებს, როგორც ფინანსური, ისე თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული

ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულება. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმგვარი პირობები, რაც მას ვალდებულებას აკისრებს მოსარჩელეს აუნაზღაუროს კონტრაქტით განსაზღვრული ფულადი თანხები, შესაბამისად სახეზეა ც. ჩ-ას მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, ამდენად, არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.11.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრიდა ც. ჩ-ას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.05.2019წ. გადაწყვეტილებით ც. ჩ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.11.2018წ. გადაწყვეტილება და გაუქმებულ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ც. ჩ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაევალო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის – 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოპასუხე ც. ჩ-ას შორის დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება სამხედრო მოსამსახურის მივლინების შესახებ, რომლის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონტრაქტი დადებულიად ითვლება თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმგვარი პირობები, რაც მას ვალდებულებას აკისრებს მოსარჩელეს აუნაზღაუროს კონტრაქტით განსაზღვრული ფულადი თანხა. ც. ჩ-ა პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში, შესაბამისად, სახეზეა მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას მხარისთვის ვალდებუ-

ლების შეუსრულებლობის გამო. თუ მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლოს ერთჯერადი თანხის გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, სახეზეა ჯარიმა. ჯარიმა პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ჯარიმას ცალკე, როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას, სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ იცნობს (სუს 11.07.2012წ. განჩინება, საქმე №ბს-175-173(კ-12)). თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მივლინების შესახებ 09.03.2014წ. ხელშეკრულების 7.4. პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3. და 7.4. პუნქტებში აღნიშნული თანხების ამავე პუნქტებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.4 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს. ხელშეკრულების არსებობა ხელშემკვერელ მხარეებს ავალდებულებს იმოქმედონ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულონ შეთანხმებული ვალდებულებები, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მხარეთა ინტერესების ბალანსირების აუცილებლობას, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ც. ჩ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაევალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის – 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში – 2018 წლის 19 მარტიდან დაკისრებული თანხის სრულ ანაზღაურებამდე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმის თანხის – 28 000 ლარის 0,2%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.05.2019წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ც. ჩ-ას მიერ.

კასატორმა ც. ჩ-ამ აღნიშნა, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს კონტრაქტორის მიერ სამხედრო მოსამსახურის შეწყვეტას ისე, რომ ეს არ განიხილებოდეს ვალდებულების დარღვევად და მას არ მოჰყვეს პასუხისმგებლობა. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაწესის კონტრაქტთან შედარებისას დგინდება, რომ უგულებელყო-

ფილია მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის თანხმად სამხედრო მოსამსახურეს სამსახურიდან დაითხოვება პირადი განცხადებით, როგორც გამონაკლისი, დასაბუთებული და შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებულ მიზეზთა გამო (მძიმე ოჯახური მდგომარეობა, სხვა სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩევა ან დანიშვნა). საგამონაკლისო, პატივსადები საფუძველი არის არაბრალეული შემთხვევა, რაც იმთავითვე გამორიცხავს პასუხისმგებლობას. სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლიდან გამომდინარე მოვალეს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ განზრახი და უხეში გაუფრთხილებლობისას ჩადენილი ქმედებისთვის და არა ყველა სახის ვალდებულების დარღვევისათვის.

სამხედრო სტატუსის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ფიზიკურ პირს შორის ხელშეკრულების დადებისას სამხედრო სტატუსის მომპოვებელ პირს არ აქვს შესაძლებლობა შეცვალოს ამ ხელშეკრულების პირობები, რადგან ხელშეკრულება არის „სამხედრო მომსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის საფუძველზე შექმნილი, მინისტრის ბრძანებით წინასწარ ჩამოყალიბებული და დამტკიცებული. ხელშეკრულებით სახელმწიფო თავდაცვის სამინისტროს სახით ადგენს იმ პირობებს, რა პირობებითაც მას აქვს რესურსი და შესაძლებლობა, მიზანი და მზაობა მიიღოს სამხედრო მოსამსახურე. შრომის ხელშეკრულებით არ შეიძლება გაუარესდეს დასაქმებულის მდგომარეობა იმ მდგომარეობასთან მიმართებით, რაც მოცემულია შრომის კოდექსში. სამხედრო საკონტრაქტო სამსახური ახლოს დგას აღნიშნულ სფეროსთან, შესაბამისად, კანონი უნდა განიმარტოს პრინციპის დონეზე და ხელშეკრულებაში ასახვა ჰპოვოს ისე, რომ არ გაუარესდეს სამხედრო მოსამსახურის მდგომარეობა კონტრაქტით. კასატორს წაერთვა უფლება კონტრაქტით გათვალისწინებული სტანდარტული პირობების ფორმულირებით უარი ეთქვა ვალდებულების ობიექტური, არაბრალეული შეუსრულებლობის დროს შეენეციტა კონტრაქტი, რადგან მას გაუუარესდა სამართლებრივი მდგომარეობა, მას დაეკისრა პირგასამტეხლო. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის სტანდარტული პირობების ბათილობის მომწესრიგებელი ნორმები, არ იქნა გამოყენებული 346-ე მუხლი, 348-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი. სასამართლომ გამოიყენა ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად შესრულების მომწესრიგებელი ნორმები, სკ-ის 361-ე მუხლი, თუმცა მასთან ერთობლიობაში არ გამოიყენა სკ-ის 395-ე მუხლი, რომელიც უზოგადესად ადგენს წესს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ მოვალის ბრალით ან უხეში გაუფრთხი-

ლებლობით გამოწვეული ზიანი. ამ ზოგადი ნორმის დაკონკრეტება არ დაიშვება ბრალეულობის გამოორიცხვით.

კასატორმა მიუთითა, რომ კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის პირობების კონტრაქტში გაუთვალისწინებლობა არ გამოორიცხავს მათ მოქმედებას და პირგასამტეხლოს დაკისრების დროს სასამართლომ ისინი კომპლექსურად, ერთობლიობაში უნდა განიხილოს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ სამხედრო მოსამსახურეებთან დასაღები ხელშეკრულებები დამტკიცებულია 18.02.2006წ. №53, 10.06.2009წ. №421, 03.11.2017წ. №896 და სხვ. ბრძანებებით. თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული მიდგომა აქვს პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძვლების და მისი ოდენობის განსაზღვრის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლო 28 000 ლარი არის შეუსაბამოდ მაღალი. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი და არ იმსჯელა მის შემცირებაზე. მოსარჩელე ვერ ადასტურებს იმ ზიანს, რაც მას მიაღდა ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით. სახეზეა პირგასამტეხლოს შემცირებისათვის გათვალისწინებული არაერთი გარემოება, მათ შორის მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა, გასათვალისწინებელია შესრულებული სამუშაოს მოცულობაც, ასევე ის გარემოება, რომ კასატორს მიღებული აქვს არა ერთი ნახალისება, მედალი და მადლობა, დანიშნულა თანამდებობრივად. სასამართლომ არ გამოიკვლია ხელშეკრულების შეწყვეტის ობიექტური და არაბრალეული მიზეზები. ც. ჩ-ას ჰყავს მის კმაყოფაზე მყოფი შვილები, დედა და ბებია. კასატორის ოჯახს აღებული ჰქონდა არა ერთი სესხი, მას საკუთრებაში არ გააჩნია უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ც. ჩ-ა უცხოეთში გადავიდა მუდმივად საცხოვრებლად.

საკასაციო სასამართლოს 20.10.2021წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.05.2019წ. გადაწყვეტილებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეული იქნა დაუშვებლად. სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში საკასაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ც. ჩ-ას საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ც. ჩ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გა-

მო:

საქართველოს მთავრობის 22.11.2013წ. №297 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულებით“ (ძალადაკარგულია 12.12.2018წ. №580 საქართველოს მთავრობის დადგენილებით) საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად ჯარების მომზადების დონის განსაზღვრა, სამხედრო კადრების მომზადება სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად დასახელდა. სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას („სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 10.1 მუხ.). სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე (12.1 მუხ.). ამდენად, მართებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა იმის შესახებ, რომ სამხედრო მოსამსახურის პროფესიული მომზადებისათვის, ტექნიკური აღჭურვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები საქართველოს სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზანს ემსახურება, შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურესთან დადებული სამხედრო სამსახურის კონტრაქტი პირგასამტეხლოს გათვალისწინება კონტრაქტის პირობების შესრულებას უზრუნველყოფს, თითოეული სამხედრო მოსამსახურის მიერ უსაფუძვლოდ სამხედრო სამსახურის შეწყვეტის და მის პროფესიულ განვითარებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული სახსრების უშედეგობის დაუშვებლობის მოსაზრებას ემყარება.

საქმეში დაცული მასალების თანახმად საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ც. ჩ-ას შორის 09.03.2014წ. დაიდო ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მივლინების შესახებ. ამ კონტრაქტის ძალაში შესვლის შემდგომ სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო ან კადრის სამსახური გაეგრძელებინა 8 წლით (ხელშეკრულების 3.1 მუხ.). ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მივლინების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა შეიარაღებული ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეენწყვიტა ეს კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურეს ეკისრებოდა ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 (ათი) დღის ვადაში 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა. ამავე ხელშეკრულების 7.4 მუხლიდან გამომდინა-

რე სამხედრო მოსამსახურის მიერ თანხის დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში თანხას დაერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 27.02.2018წ. ც. ჩ-ამ პატაკით მიმართა პირველი ქვეითი ბრიგადის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს და შემდგომი სამხედრო კონტრაქტის გაგრძელების სურვილის არქონის გამო საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნა მოითხოვა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 09.03.2018წ. ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ... მომზადების უფროსი ოფიცერი, მაიორი ც. ჩ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა სამხედრო სამსახურიდან რეზერვში.

დაუსაბუთებელია კასატორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 21.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის მიხედვით სამხედრო მოსამსახურეს სამსახურიდან დაითხოვენ პირადი განცხადებით, როგორც გამოწვევის, დასაბუთებული და შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებულ მიზეზთა გამო (მძიმე ოჯახური მდგომარეობა, სხვა სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩევა ან დანიშვნა). საქმის მასალებში დაცული 27.02.2018წ. პატაკის თანახმად ც. ჩ-ას აღარ ჰქონდა სურვილი გაეგრძელებინა შემდგომი სამხედრო საკონტრაქტო სამსახური და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან პირადი პატაკის საფუძველზე დათხოვნა კონტრაქტის პირობების დარღვევით, კონკრეტულად განმცხადებელს აღარ სურდა შემდგომში სამხედრო სამსახურის შეიარაღებული ძალების რიგებში გაგრძელება, სხვა სახის რაიმე მიზეზის შესახებ პატაკში არ არის მითითებული, ამასთან, ც. ჩ-ა გაცნობილი იყო კონტრაქტის დარღვევის შედეგებს, რაზეც იყო თანახმა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 09.03.2018წ. MOD 6 17 000001195 ბრძანების თანახმად საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების ... მომზადების უფროსი ოფიცერი (საშტაბო კატეგორია „მაიორი“, შტაბი №8/1144-01), მაიორი ც. ჩ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილი იქნა სამხედრო სამსახურიდან რეზერვში „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ც. ჩ-ას მიერ სადავო არ გამხდარა სამხედრო სამსახურიდან მითითებული ნორმით დათხოვნის კა-

ნონიერება, ამასთან, მის მიერ წარდგენილი 27.02.2018წ. პატაკი არ შეიცავს, შესაბამის დოკუმენტებზე მითითებით, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 21.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლებზე მითითებას. ხსენებული ნორმა სამსახურიდან დათხოვნის საგამონაკლისო შემთხვევად განიხილავს მძიმე ოჯახურ მდგომარეობას, სხვა სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლას და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩევისა ან დანიშვნას. აღნიშნული რომელიმე გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმის მასალებში არ მოიპოვება, ასეთზე მითითებას არ შეიცავს ც. ჩ-ას პატაკი და სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანება. ოჯახის წევრების კასატორის კმაყოფაზე ყოფნა, სესხის გადახდის ვალდებულების არსებობა თავისთავად არ ადასტურებს მძიმე ოჯახურ მდგომარეობას, ამასთანავე, საქმის მასალებით არ დასტურდება სხვა სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა, მუდმივი ცხოვრება გულისხმობს პირის მუდმივად ყოფნას კონკრეტულ საცხოვრებელ ადგილას, შესაბამის ადგილთან შრომითი საქმიანობით ან სხვაგვარი ურთიერთობით კავშირს, რაც მხოლოდ სხვა ქვეყანაში გამგზავრების შესახებ პასპორტში ჩანაწერით არ დასტურდება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ც. ჩ-ას შორის 09.03.2014წ. დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) მიხედვით, ჯარიმის ანაზღაურების ვალდებულებას არ წარმოშობდა სამხედრო მოსამსახურის ავადმყოფობის გამო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ასაკის მიღწევა და რეორგანიზაციის ან შტატების შემცირება. უდავოა, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთი საფუძველი არ გამხდარა ც. ჩ-ასთან კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი. ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის მოქმედი საქართველოს მთავრობის 18.03.2014წ. №238 დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების XVIII თავის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურის გასაველელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ამ კონტრაქტით განსაზღვრული ოდენობის ფინანსური პასუხისმგებლობა წარმოიქმნება, თუ სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) საფუძველზე. საქმეში დაცული დოკუმენტებით არ დგინდება მითითებული მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობა. ამდენად, საფუძველს მოკლებულია კასატორის

მსჯელობა პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ც. ჩ-ა ოფიცერთა შემადგენლობაში ირიცხებოდა. ოფიცერთა შემადგენლობის სამსახურიდან დათხოვნა, უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონით, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონით, საქართველოს მთავრობის 18.03.2014წ. №238 დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის დებულებით“, საერთო-საჯარისო წესდებებით. თავდაცვის ძალების ოფიცერთა შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება მათ შორის კონტრაქტის საფუძველზე ოფიცრებით („სამხედრო სამსახურის დებულების“ თავი X, მე-2 პ., „გ“ ქვ.პ.). სამხედრო სამსახური იყოფა სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიულ), კადრის სამხედრო სამსახურად და რეზერვად („სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 2.1 მუხ., 31.1 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ ც. ჩ-ასათვის მაიორის წოდება მიენიჭა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 31.08.2017წ. ბრძანებით, მაიორის წოდების მინიჭებით ც. ჩ-ა ჩაირიცხა კადრის სამხედრო სამსახურში, ანუ კადრის სამხედრო სამსახურის უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობაში. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს კადრის სამხედრო მოსამსახურესთან კონტრაქტით სამხედრო სამსახურს, ასეთ პირთან კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობას (მე-2 მუხ., 1³ პუნქტი). საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გასავლელად გაფორმებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების, ფინანსური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების საფუძველები და წესი განისაზღვრება სამხედრო სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ოფიცრის პირადი სურვილით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესაძლებლობას, თუ პირმა, როგორც ოფიცრმა, იმსახურა არანაკლებ 10 წელი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

სასკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება. სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან

იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ც. ჩ-ას შორის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მივლინების შესახებ 09.03.2014წ. გაფორმებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული პირობა – პირგასამტეხლოს (ჯარიმის) – 28 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

პირგასამტეხლო წარმოადგენს სკ-ის 416-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ დამატებით საშუალებას. პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის (სკ-ის 417-ე მუხ.). ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს (სკ-ის 418.1 მუხ.). პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციის ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა. პირგასამტეხლო არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე, ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიების სახით სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს. სკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მართალია, ხელშეკრულების მხარეები თავისუფალი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა

შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის ანაზღაურების ვალდებულება, კერძოდ, საქმის მასალებით დადასტურებულ გარემოებებს წარმოადგენს, რომ ც. ჩ-ამ 09.03.2014წ. გააფორმა კონტრაქტი რვა წლით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში იმსახურა 4 წელი, 27.02.2018წ. პირადად მიმართა უფლებამოსილ პირს კონტრაქტის შეწყვეტის მოთხოვნით, ც. ჩ-ა პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში. დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მისი სამსახურიდან დათხოვნა არ უნდა მომხდარიყო კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, შესაბამისად მას არ უნდა დაკისრებოდა ფინანსური პასუხისმგებლობა. მოცემულ შემთხვევაში ც. ჩ-ას მხრიდან ადგილი ჰქონდა კონტრაქტის პირობების, კერძოდ, ვადის დარღვევას, ის ინფორმირებული იყო შესაბამის შედეგებზე, რაც დასტურდება საქმის მასალებში დაცული დოკუმენტებით, შესაბამისად, უსაფუძვლოა აღნიშნულ გარემოებაზე მითითება. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა კასატორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც ქმნის ც. ჩ-ასთვის ჯარიმის სახით პირგასამტეხლოს დაკისრების როგორც ფორმალურ, ასევე მატერიალურ საფუძველს. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებებს ც. ჩ-ას მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა მიიჩნევს, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობა აშკარად შეუსაბამოა, რაც იძლევა მისი შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები. კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. კონტრაქტის გაფორმების ძირითად საფუძველად მიჩნეული უნდა იქნეს არა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ. ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპი არის როგორც ნორმატიული, ასევე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს იმასაც, რომ მართალია, კონტრაჰენტის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს ფორმალურად მოქმედ მატერიალურ სამართალსა თუ კონტრაქტის პირობებს, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემ-

თხვევებში არ უნდა იყოს უსამართლო ან/და არ უნდა არღვევდეს მეორე მხარის საფუძვლიან ნდობას. კეთილსინდისიერების პრინციპი ძირითადად გულისხმობს იმას, რომ კონტრაქტმა მხედველობაში უნდა მიიღოს მეორე მხარის ინტერესები (სუს 02.04.2020წ. განჩინება, საქმე №ბს-570(კ-19)). სზაკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მხარეები სარგებლობენ სახელშეკრულებო თავისუფლებით გათვალისწინონ პირგასამტეხლო ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობისთვის და დამოუკიდებლად განსაზღვრონ მათი ოდენობა. ვალდებულების არსი მის შესრულებაშია, ხოლო შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. სწორედ ამიტომ, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები. განსახილველ შემთხვევაში, მართალია ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, მხარეთა მიერ არის შეთანხმებული, მაგრამ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ჯარიმის ოდენობა აშკარად შეუსაბამოა და იგი მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებს მხარეს. მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტი შეწყდა ც. ჩ-ას პირადი პატაკის გამო და ადგილი არ ჰქონია კონტრაქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა – 28 000 ლარი არის შეუსაბამოდ მაღალი და ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებასთან მიმართებით დასადგენია მისი გონივრული შესაბამისობა. კანონმდებლობით დადგენილი დანაწესიდან გამომდინარე შეთანხმებული პირგასამტეხლო შესაძლებელია აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს სამხედრო მოსამსახურის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის, კანონიერი ინტერესების დაუსაბუთებლად შეზღუდვას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ც. ჩ-ას შორის 09.03.2014წ. გაფორმებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით) 28 000 ლარი ჯარიმა გათვალისწინებულია კონტრაქტის შეწყვეტის საფუძვლის შინაარსის მიუხედავად. ამგვარ პირობებში ჯარიმის 28 000 ლარით განსაზღვრა მძიმე და შეუსაბამოდ არათანაბარ პირობებში ამყოფებს სამხედრო მოსამსა-

ხურეს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირგასამტეხლო უნდა იყოს გონივრული და ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი. კონტრაქტის შეწყვეტის ფაქტობრივი საფუძვლის მხედველობაში მიღებით მიზანშეწონილია პირგასამტეხლოს თანხის გონივრულ ფარგლებში შემცირება. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ სახელმწიფო თავდაცვის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების მნიშვნელობას, ასევე ამ პროცესში სამხედრო მოსამსახურეთა კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს. სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს მოვალის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს მოპასუხის არამართო ქონებრივ, არამედ ყველა სხვა სახის პატივსაღებ ინტერესს. სასამართლო აფასებს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობას პირგასამტეხლოს ოდენობასთან. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მიერ ვალდებულება არ შესრულდა ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ვადაში, დადგენილი ნესით, რაც კრედიტორს ანიჭებს პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას, თუმცა ვალდებულების სახის და დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობა ექვემდებარება შემცირებას. სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულობა შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ.. პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. პირგასამტეხლოს დაკისრებით უნდა მოხდეს კრედიტორის დანაკარგების კომპენსირება და არა მისი გამდიდრება. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ უნდა შეაფასოს პირგასამტეხლოსა და მოვალის მიერ

დაშვებული დარღვევით გამოწვეული შედეგების თანაფარდობა (სუსგ 05.06.2018წ. საქმე №ბს-880-876(კ-17)). მხარეთა შორის გაფორმებული კონტაქტი არ შეიცავს საფუძვლების დიფერენცირებას, პირგასამტეხლო 28 000 ლარის ოდენობით ერთიანია იმ პირობის მიუხედავად, როგორია ბრალის სიმძიმე და საფუძველი, რამაც განაპირობა კონტაქტის შეწყვეტა. განსახილველ პირობებში ჯარიმის 28 000 ლარით განსაზღვრა უკიდურესად მძიმეა, კაბალურ მდგომარეობაში ამყოფებს სამხედრო მოსამსახურეს და სრულად დამოკიდებულს ხდის კონტრაქტორზე. სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით სახეზეა პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების საფუძველი. ხელშეკრულების არსებობა, ბუნებრივია, ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს იმოქმედონ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულონ შეთანხმებული ვალდებულებები, თუმცა აღნიშნული არ გამოორიცხავს მხარეთა ინტერესების ბალანსირების აუცილებლობას, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის სამართლიანი გადაწყვეტის, ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების პირობების სამართლიანობის ინტერესი მოითხოვს პირგასამტეხლოს განაკვეთისა და ფაქტობრივი ოდენობის თანაზომიერებასა და მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულ შესაბამისობას ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებასთან მიმართებაში. სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, არსებობს დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გონივრულ ფარგლებში შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. პირგასამტეხლოს გონივრული ოდენობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში საერთოდ არ მიიღო ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ც. რ.-ას შორის 09.03.2014წ. დადებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებული 8 წლიდან ც. რ.-ამ იმსახურა 4 წელი, სამინისტრო არ მიუთითებს სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში (გარდა კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტისა) ც. რ.-ას, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ, დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, ამასთანავე საქმეში დაცულია კასატორისთვის ვადამდე სამხედრო წოდების მინიჭების და მოვალეობების სისტემატურად, ხარისხიანად და მაღალ დონეზე შესრულებისათვის წახალისების დამადასტურებელი სამსახურებრივი ბარათები. მხედველობაშია მისაღები აგრეთ-

ვე, რომ 09.03.2014წ. კონტრაქტის დადებამდე ც. ჩ-ა საკონსტრაქტო სამსახურს გადიოდა 2010 წლის 23 ივლისიდან, „ოფიცრის თანამდებობაზე მისაღები სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ 23.07.2010წ. №3049 კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს ც. ჩ-ა ასრულებდა ჯეროვნად, მიღებული აქვს არაერთი ნახალისება, წინაურდებოდა სამსახურებრივად, ც. ჩ-ამ იმსახურა მეორე კონტრაქტით განსაზღვრული ვადის ნახევარი (4 წელი). ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა განისაზღვროს 3 000 (სამი ათასი) ლარით, რითაც დაცული იქნება, როგორც გონივრულობის ფარგლები, ასევე სამართლიანობის პრინციპი.

სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობებია: სახელშეკრულებო პირობების წინასწარი ჩამოყალიბება; მრავალჯერადი გამოყენების დანიშნულება; პირობების შედგენა ერთი მხარის (შემთავაზებლის) მიერ მეორე მხარისათვის; სტანდარტული პირობების მიერ კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა (იხ. სუსგ 10.09.2012წ. საქმე №ას-755-811-2011). საკასაციო პალატა მიუთითებს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 2.14 მუხლზე, რომლის მიხედვით საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გასაველად კონტრაქტის ფორმას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ც. ჩ-ას შორის 09.03.2014წ. დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) ფორმა (თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მივლინების შესახებ) დამტკიცებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 18.02.2006წ. №53 ბრძანებით. ზოგადად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გულისხმობს ერთგვაროვანი შინაარსის მქონე პირობებს, რომელთა გამოყენებაც ხდება მრავალჯერადად. სტანდარტული პირობები არ არის სახელშეკრულებო მოლაპარაკების შედეგად ჩამოყალიბებული პირობები, შემთავაზებლის მიერ წინასწარ მომზადებული პირობები, რომელშიც აღნიშნულია დასაღები ხელშეკრულების ყველა პირობა, გარდა კონტრაპენტის ვი-

ნაობისა. განსახილველ შემთხვევაში სკ-ის 346-ე და 348-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით კასატორის მოსაზრება 09.03.2014წ. დადებული ხელშეკრულების პირობების, როგორც სტანდარტული პირობების, ბათილობის შესახებ უსაფუძვლოა. სკ-ის 346-ე მუხლით განმტკიცებულია ე.წ. ხელშეკრულების შინაარსის კონტროლის მექანიზმი, რომელიც კონკრეტიზდება სკ-ის 347-ე-348-ე მუხლებში. აღნიშნული ნორმები, როგორც სპეციალური და კონკრეტული ნორმები, მიიჩნევა *lex specialis*-ად 346-ე მუხლთან მიმართებით. ის გარემოება, რომ სახელშეკრულებო პირობა იყო წინასწარ ჩამოყალიბებული და არა სახელშეკრულებო მოლაპარაკების შედეგად, არ ადასტურებს სტანდარტული პირობის ბათილობას, კონტრაქტის ნების არარსებობას, ვინაიდან კონტრაქტის მეორე მხარეს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ხელშეკრულების პირობების შინაარსს და თანხმობის შემთხვევაში მიეღო პირობები. მოცემულ შემთხვევაში თანხმობა დადასტურებულია ც. ჩ-ას ხელმოწერით. სამხედრო მოსამსახურეს განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვება სამსახურის ვადის კომპონენტის მიმართ, სამხედრო სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი სწორედ გასაწევი სამსახურის პერიოდს უკავშირდებოდა. კონტრაქტის პირობები არ იყო ბუნდოვანი და არ იყო იმდენად უჩვეულო, რომ კონტრაქტს არ შეეძლო მათი გათვალისწინება. ხელშეკრულების მეორე მხარისთვის უფლების შეზღუდვა სამხედრო სამსახურის სპეციფიკით არის განპირობებული. ამასთანავე, განსახილველი დავის საგანს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ შეადგენს, ამდენად, სასამართლოს მსჯელობის საგანია არა ხელშეკრულების ან მისი რომელიმე პუნქტის კანონიერება, არამედ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად პირგასამტეხლოს დაკისრების მართლზომიერება. შესაბამისად, განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო პალატა ვერ შეაფასებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობას.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება სკ-ის 395-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არარსებობაზე. მითითებული ნორმით გათვალისწინებულია მოვალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ეფუძნება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო პირგასამტეხლოს დაკისრებას, რაც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა. მიუხედავად იმისა ვალდებულების დარ-

ღვევით კრედიტორმა ზიანი განიცადა თუ არა, პირგასამტეხლო მოვალეს უპირობოდ ეკისრება. პირგასამტეხლოს დასაკისრებლად საკმარისია ვალდებულების დარღვევის ფაქტის არსებობა, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საჭიროებს კრედიტორისთვის ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებას. ზიანის მოთხოვნის საფუძველი არ შეიძლება გახდეს მხოლოდ ვალდებულების დარღვევა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, არამედ უშუალოდ ზიანის არსებობა. პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია 417-ე-420-ე მუხლებით. სკ-ის 419-ე მუხლი მიუთითებს კრედიტორის უფლებაზე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. განსახილველ დავაში ასეთი მოთხოვნა სამინისტროს არ დაუყენებია. ამდენად, პირგასამტეხლო ზიანისგან სრულიად დამოუკიდებელია, შესაბამისად, კასატორის მითითება სკ-ის 395-ე მუხლზე, როგორც ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის არარსებობაზე, უსაფუძვლოა და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს მიერ იდენტიური ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების მქონე საქმეებთან (პირისათვის კონტრაქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის შეუსაბამოდ და არაგანივრულად მიჩნევის თაობაზე) დაკავშირებით მიღებულ განჩინებებს (იხ. სუსგ 21.02.2019წ. №ბს-814(კ-18), 28.03.2019წ. №ბს-1183(კ-18), 20.06.2019წ. №ბს-417(კ-19)), რომლებითაც დაუშვებლად იქნა მიჩნეული თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს 01.06.2018წ., 13.06.2018წ. და 21.12.2018წ. განჩინებები, ასევე ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს 11.07.2012წ. გადაწყვეტილებას (საქმე №ბს-175-173(კ-12)), რომლითაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, შესაბამისად, სახეზეა დივერგენცია, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოცემულ საკითხზე არსებულ სასამართლო პრაქტიკას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი (სსკ-ის 393.2 მუხ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული (გადაწ-

ყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, კერძოდ, ც. ჩ-ას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაევალოს 3 000 (სამი ათასი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ც. ჩ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.05.2019წ. გადაწყვეტილება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის – 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარის ანაზღაურების თაობაზე ც. ჩ-ას დავალებულების ნაწილში და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარის ანაზღაურების თაობაზე ც. ჩ-ას დავალებულების შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ც. ჩ-ას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაევალოს 3 000 (სამი ათასი) ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სსკპ სახელმწიფო დავები

მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო ურთიერთობის გუნების გარკვევა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1319(კ-20)

17 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2020 წლის 16 იანვარს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ე. ჩ-ას მიმართ და მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისთვის 771.62 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ე. ჩ-ას შორის 2018 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული №38 შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელე დასაქმებული იყო იმავე სამინისტროს ...ში, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელების მიმართულებით საქმიანობის წარმართვის მიზნით. ე. ჩ-ას სამინისტროს ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსის ბრძანების საფუძველზე მიეცა ანაზღაურებადი შვებულება 2019 წლის 11 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით. თანხის ანაზღაურება განხორციელდა წინასწარ 2019 წლის 1 მარტს, ხოლო აპრილის თვის დარჩენილი დღეების ანაზღაურება განხორციელდა 2019 წლის 19 აპრილს ხელფასის სახით.

მოსარჩელის მითითებით, ე. ჩ-ას 2019 წლის 3 აპრილიდან თავი სივე განცხადების საფუძველზე დროზე ადრე შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება. ამასთანავე, სამინისტროს ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 24 მაისის ბრძანების შესაბამისად, ცვლილება შევიდა „ე. ჩ-ას შვებულების შესახებ“

ბრძანებაში და შვებულების პერიოდი განისაზღვრა 2019 წლის 11 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით. ამდენად, ე. ჩ-ასთვის ზედმეტად ანაზღაურებულმა და ბიუჯეტში დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 771,62 ლარი (ხელზე ასაღები), რის თაობაზეც ეცნობა როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით, თუმცა მის მიერ თანხის დაბრუნება არ განხორციელებულა.

დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ე. ჩ-ასთვის ზედმეტად ჩარიცხული თანხის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა; ე. ჩ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ 771,62 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 8 თებერვლის MES 1 19 00138604 ბრძანების თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ...ში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ ე. ჩ-ას მიეცა 2019 წლის ანაზღაურებადი შვებულება 2019 წლის 11 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით (24 სამუშაო დღე). მასვე მიეცა 2019 წლის მარტისა და აპრილის თვის ხელფასი.

2. 2019 წლის 2 აპრილს ე. ჩ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და 2019 წლის 3 აპრილიდან დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა.

3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 24 მაისის MES 2 19 00637250 ბრძანებით ცვლილება შევიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 08 თებერვლის MES 1 19 00138604 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მიეცეს 2019 წლის ანაზღაურებადი შვებულება ე. ჩ-ას – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ...ში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს 2019 წლის 11 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით (17 სამუშაო დღე).“

4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2019 წლის 9 დეკემბერს წერილობით მიმართა ე. ჩ-ას და აცნობა, რომ 2019 წლის 8 თებერვლის MES 1 19

00138604 ბრძანებით განესაზღვრა ანაზღაურებადი შვებულება 2019 წლის 11 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით (24 სამუშაო დღე) და აუნაზღაურდა წინასწარ 2019 წლის მარტის, ხოლო აპრილის თვის დარჩენილი დღეების (13 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით – სამუშაო დღე) ანაზღაურება განხორციელდა ხელფასის სახით 2019 წლის 19 აპრილს. 2019 წლის 21 მაისის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მიხედვით გიორგაძის №368/კ ბრძანებით, ე. ჩ-ას 2019 წლის 3 აპრილიდან შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ხოლო 2019 წლის 24 მაისის №637250 ბრძანებით ცვლილება შევიდა №138604 შვებულების ბრძანებაში და შვებულების პერიოდი განისაზღვრა 2019 წლის 11 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით, რა დროსაც სამშვებულებო თანხები სამინისტროს მიერ უკვე ანაზღაურებული იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 3 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით ზედმეტად ანაზღაურებული და ბიუჯეტში დასაბრუნებელი ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 771.62 ლარს (დარიცხული თანხა შეადგენს 984.21 ლარი, საშემოსავლო გადასახადი -192.91 ლარი), რაც სიტყვიერად ეცნობა ე. ჩ-ას და ეთხოვა, არაუგვიანეს 2019 წლის 26 დეკემბრისა, უზრუნველყო თანხის ბიუჯეტში დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი მითითებული ნორმის შესაბამისად, განმარტებულია, როგორც – პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დანესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება. კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ ე. ჩ-ა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებდა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას.

აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების წარმოშობისათვის მონაწილეთა შორის ხელშეკრულების აუცილებლობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. მითითებული კოდექსის 385-ე მუხლის თანახმად, ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი, ხოლო 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შე-

საბამისად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. ჩ-ას უსაფუძვლოდ ჰქონდა მიღებული თანხა, რომლის ოდენობამ შეადგინა 771,62 ლარი. შესაბამისად, მოპასუხეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა მის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ჩ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის პირველ ინსტანციაში ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 სექტემბრის განჩინებით ე. ჩ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6, 119-ე მუხლებზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებულ განსჯადობის წესებზე და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის ხელახალი განხილვისას უნდა განესაზღვრა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ბუნება, მისი შინაარსი, მოსარჩელეზე დაკისრებული ფუნქციური მოვალეობა, რის შემდეგაც უნდა დაედგინა საქმის განხილვის წარმართვა ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების ნორმების გამოყენებით, ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გადაეწყვიტა დავის განსჯადობით სამოქალაქო კოლეგიაზე დაქვემდებარების საკითხი. დავის არსებითად განხილვის შემთხვევაში კი, შეფასება მიეცა საჩივარში მოყვანილი არგუმენტებისთვის, ასევე საშვებულებო თანხის მოთხოვნის საფუძვლიანობის შეფასებისას ეხელმძღვანელა „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციით და ამ მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით (იხ. სუსგ საქმე №ბს-1162(კ-18), 21 მაისი, 2020 წელი).

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ამ კანონის გავრცელების წესს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ვრცელდება ამ კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი, მე-7 და მე-9 პუნქტები, 51-ე, 55-ე, 56-ე მუხლები, 57-ე მუხლის პირველი პუნქტი, 58-ე, მე-60, 62-ე, 64-ე, 66-ე, 68-ე და 70-76-ე მუხლები, 77-ე მუხლის მე-3 პუნქტი და X თავი. დასახელებული ნორმებით განმტკიცებულია შრომის ანაზღაურების, მათ შორის, მოხელის შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები.

კასატორის მითითებით, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმები გამოიყენება საჯარო სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, არსებობს ყველა წინაპირობა, რომ სადავო საკითხი მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან წარმოშობილი დავად. ამრიგად, კასატორი, ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც ე. ჩ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 თებერვლის განჩინებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილული იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ე. ჩ-ას მიერ უსაფუძვლოდ მიღე-

ბული შრომის ანაზღაურებისა და საშვებულებო თანხის – 771.62 ლარის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის უკან დაბრუნების კანონიერება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ...ში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ ე. ჩ-ას მიეცა 2019 წლის ანაზღაურებადი შვებულება 2019 წლის 11 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით (24 სამუშაო დღე). მას ასევე მიეცა თანამდებობრივი სარგო 2019 წლის მარტისა და აპრილის თვის საშვებულებო ხელფასი, თუმცა საკუთარი განცხადების საფუძველზე ე. ჩ-ას ვადაზე ადრე შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და 2019 წლის 3 აპრილიდან გათავისუფლდა სამსახურიდან. ამის შემდეგ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 მაისის MES 2 19 00637250 ბრძანებით ცვლილება შევიდა შვებულების ბრძანებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მიეცეს 2019 წლის ანაზღაურებადი შვებულება ე. ჩ-ას – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ...ში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს 2019 წლის 11 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით (17 სამუშაო დღე).

ასევე, დადგენილია, რომ ე. ჩ-ასთვის მარტისა და აპრილის თვეების სახელფასო და საშვებულებო თანხა სამინისტროს მიერ ანაზღაურდა, რის გამოც 2019 წლის 3 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით ე. ჩ-ასათვის ზედმეტად ანაზღაურებულმა და ბიუჯეტში დასაბრუნებელმა ხელზე ასაღებმა თანხამ შეადგინა 771.62 ლარი (დარიცხული თანხა შეადგენდა 984.21 ლარს, საშემოსავლო გადასახადი – 192.91 ლარი), რაც ეცნობა ე. ჩ-ას და ეთხოვა, არაუგვიანეს 2019 წლის 26 დეკემბრისა უზრუნველყო თანხის ბიუჯეტში დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა; ე. ჩ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ 771,62 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 სექტემბრის განჩინებით კი, ე. ჩ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2020 წლის 7 სექტემბრის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას არ ეთანხმება, იმ მოტივით, რომ მართებულად მიაჩნია საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც სახეზე არ გვაქვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად იმსჯელოს საქმის გარემოებებზე. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და საქმის არსებითად განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: ა) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე; გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა. ამასთან, 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ განწყვიტოს იგი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია

პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება. მართალია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა მას ასევე შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი, ანუ არსებითად განიხილოს საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება, თვითონ, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის დაბრუნების გარეშე, გადაწყვიტოს საქმე, ემყარება საპროცესო ეკონომიის პრინციპს. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, როდესაც მას თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა, ვინაიდან იმ პირობებში, როცა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველს მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ბუნების გარკვევა წარმოადგენდა, კერძოდ, მითითებული ხელშეკრულება გამომდინარეობდა ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო კანონმდებლობიდან, გარდა ამისა, დავის არსებითად განხილვის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიუთითებდა, შეფასება მიეცა სააპელაციო საჩივარში მოყვანილი არგუმენტებისთვის, ასევე საშვებულებო თანხის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას ეხელმძღვანელა კონკრეტული კონვენციითა და ამ მიმართებით გამოყენებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული საკითხების გამოკვლევა და შეფასება სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეუძლია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას, საკასაციო სასამართლო მოცემულ ეტაპზე არ აფასებს საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს მოცემული დავა, რის გამოც საკასაციო სასამართლო ამ ეტაპზე ვერ იმსჯელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივრით სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაზე წარმოდგენილ პრეტენზიებზე საქმის ფაქტობრივ თუ სამართლებრივ გარემოებებთან მიმართებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადანედეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 372, 385-ე, 394-ე და 412-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 სექტემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტანდარში მონაწილე პრაქტიკანების დისკვალიფიკაციის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-392(2კ-22)

16 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ბ...მა“ 2020 წლის 9 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შედეგად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმის, ამავე კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის №7 სხდომის ოქმის (შპს „ბ...ს“ დისკვალიფიკაციის ნაწილში) და „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2020 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმის თანახმად, ტენდერის შეფასება-შერჩევის ეტაპზე შპს „ბ...ს“ მიეცა დისკვალიფიკაცია, რადგან სატენდერო კომისიამ ჩათვალა,

რომ მოსარჩელემ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლების მოპოვების მიზნით ჩაიღინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. აღნიშნული ოქმი შპს „ბ...მა“ გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, რომელმაც 2020 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი. სატენდერო კომისიას მიეცა მითითება, რომ გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე მიეღო გადაწყვეტილება. სატენდერო კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის №7 სხდომის ოქმით სატენდერო კომისიამ ძალაში დატოვა წინა ოქმით მიღებული გადაწყვეტილება შპს „ბ...ს“ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო დისკვალიფიკაციის შესახებ. სატენდერო კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ ასევე გასაჩივრებული იქნა სსიპ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, რომლის 2020 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ...ს“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ როგორც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებები, ასევე დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ისინი მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე, რის გამოც ითხოვა აღნიშნული აქტების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი შპს „ბ...ს“ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს 2020 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმი, 2020 წლის 24 სექტემბრის №7 სხდომის ოქმი – შპს „ბ...ს“ დისკვალიფიკაციის ნაწილში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (სატენდერო კომისიას) დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კანონით დადგენილ ვადაში, შპს „ბ...ს“ მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2020 წლის 26 ივნისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მოსამსახურეებისთვის ...ის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1 300 000 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის 3.1.1.1 პუნქტის თანახმად, პრეტენდენტს დაევალა შემსყიდველ ორგანიზაციაში წარედგინა შემოთავაზებული საქონლის ნიმუშებთან ერთად სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ SGS, INTERTEK, EKOTEKS ან სხვა აკრედიტებული პირის (ასეთ შემთხვევაში, დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის ორიგინალი/დედანი და ექსპერტიზაგავლილი ქსოვილი. სატენდერო დოკუმენტაციის 3.1.1.2. პუნქტის თანახმად კი, ექსპერტიზის დასკვნის ორიგინალი/დედანი, ექსპერტიზაგავლილ ქსოვილთან ერთად, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დალუქულ მდგომარეობაში (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, პრეტენდენტს შესაძლებელია წარედგინა ექსპერტიზაგავლილი ქსოვილი დალუქულ, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის ორიგინალი/დედანი დაუღუქავ მდგომარეობაში). ამ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო დალუქული ქსოვილის, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნასთან იდენტიფიცირება. მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნის ინდივიდუალური ნომერი უნდა დამთხვევოდა დალუქული საქონლის შეფუთვაზე (შეფუთვაში) არსებულ ნომერს (ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს პრეტენდენტი). წარმოდგენილ ნიმუშებს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა ტექნიკური მოთხოვნები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 5 აგვისტოს №3 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ შპს „ბ...ს“ მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება, წარდგენილი დაზუსტებული ტექნიკური მახასიათებლებისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამებოდა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შესაბამისად, შპს „ბ...ს“ არა უგვიანეს 2020 წლის 12 აგვისტოსი, შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარედგინა სატენდერო დოკუმენტაციის 3.1.1., 3.1.2 და 3.1.3. პუნქტების შესაბამისად შეთავაზებული საქონლის ნიმუშები და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ექსპერტიზის დასკვნები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს №4 სხდომის ოქმის შესაბამისად, შპს „ბ...ს“ საქონლის ნიმუშების წარდგენის ვადა გაუგრძელდა არა

უმეტეს 5 სამუშაო დღით, არა უგვიანეს 2020 წლის 19 აგვისტოსი. შპს „ბ...მა“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთა განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ ელექტრონულ ტენდერზე წარადგენდა შესასყიდი საქონლის ნიმუშებს და ექსპერტიზის დასკვნის დედნებს. ამასთან, შპს „ბ...მა“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთა ...ს მიერ გაცემული 2020 წლის 3 აგვისტოს ..., ..., ..., ...გამოცდის დასკვნები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმის თანახმად, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიამ შპს „ბ...ს“ აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერიდან, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო, დისკვალიფიკაცია მისცა. აღნიშნულ ოქმში მითითებულია, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ნიმუშები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და ადგილი ჰქონდა შპს „ბ...ს“ მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენას.

სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება შპს „ბ...მა“ გაასაჩივრა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დავების განხილვის საბჭოში, რომელმაც 2020 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ...ს“ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიას დაავალა 2020 წლის 26 აგვისტოს №6 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა და შპს „ბ...ს“ მიერ წარდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუშების და ექსპერტიზის დასკვნების შეფასების განხორციელება, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის №7 სხდომის ოქმით უცვლელი დარჩა სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება შპს „ბ...ს“ დისკვალიფიკაციის თაობაზე. აღნიშნული სხდომის ოქმი შპს „ბ...მა“ გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში, რომელმაც 2020 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ...ს“ საჩივარი არ დააკმაყოფილა. სადავო გადაწყვეტილების მიხედვით, საბჭომ მიიჩნია, რომ შპს „ბ...მა“ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არა-

კეთილსინდისიერი ქმედება, რადგან შემსყიდველ ორგანიზაციაში ექსპერტიზის დასკვნები წარადგინა თითქოს დასკვნის გამცემი პირის მიერ დალუქულ ექსპერტიზაგავლილ ქსოვილთან ერთად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აქტების კანონიერების დადგენის მიზნით უნდა შეფასებულიყო ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით შპს „ბ...ს“ მიერ განხორციელებულ ქმედებათა კეთილსინდისიერების საკითხი. სასამართლოს მითითებით, სადავო აქტების შინაარსიდან ირკვევა, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ დასკვნების გამცემი ლაბორატორიისათვის უშუალოდ მიმართვის შედეგად დაადგინა, რომ ლაბორატორიამ დალუქული კონვერტის სახით, დასკვნის შემკვეთ სუბიექტს მიაწოდა მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნები. აღნიშნულ კონვერტში მათ მიერ არ იყო ჩადებული ექსპერტიზაგავლილი ქსოვილის ნიმუშები. ამდენად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს „ბ...ს“ მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნებში დასკვნებთან ერთად კონვერტში მოთავსებული იყო ქსოვილის ნიმუშები, მიიჩნია, რომ კონვერტების წარდგენამდე პრეტენდენტმა გახსნა ისინი, ჩადო ქსოვილები და თავიდან დალუქა. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაასკვნა, რომ შპს „ბ...ს“ მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების დადების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის ფაქტს, რის გამოც „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია ... აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერიდან.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმი და 2020 წლის 24 სექტემბრის №7 სხდომის ოქმი მიღებული იყო საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის გარეშე, ვინაიდან აფიდავიტის წესების დარღვევა, რაც, თავის მხრივ, არაკეთილსინდისიერ ქმედებად იქნა მიჩნეული, ერთმნიშვნელოვნად დადასტურებული არ იყო. უდავოდ დასტურდებოდა და შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო, რომ შპს „ბ...მა“ კონკრეტული პარამეტრების ქსოვილების დამზადება და ამ ქსოვილებზე ექსპერტიზის ჩატარება საშუამაღლო კომპანიის მეშვეობით შეუკვეთა. იმ პირობებშიც, თუ მართლაც მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნები იქნა გამოგზავნილი ქსოვილის გარეშე და ადგილი ჰქონდა დალუქული კონვერტის გახსნას, აღნიშნული შესაძლოა, განხორ-

ციელებულიყო შუამავალი კომპანიის მიერ, რაც ვერ ჩაითვლებოდა შპს „ბ...ს“ მიერ განხორციელებულ არაკეთილსინდისიერ ქმედებად, რადგან მცდარი ინფორმაცია, რომლის შესახებ არ შეიძლება პრეტენდენტს სცოდნოდა, არ წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აფიდავიტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევას და არ ქმნის სადავო შემთხვევის პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებად მიჩნევის საფუძველს. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ცალმხრივად იქნა გათვალისწინებული საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელსა და ...ის წარმომადგენელს შორის 2020 წლის 26 აგვისტოს განხორციელებული მიმოწერა ისე, რომ მხედველობაში არ მიიღო შუამავალი კომპანიის – შპს „შპ...ს“ 2020 წლის 27 აგვისტოს განცხადება-დეკლარაცია, რომლის თანახმად, შპს „ბ...ს“ მიეწოდა ყველა ორიგინალი დასკვნა და გამოცდაგავლილი ნიმუში ...ის დალუქულ კონვერტში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ოქტომბრის განჩინება.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. აღნიშნული განჩინება კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

კასატორი – შინაგან საქმეთა სამინისტრო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ სატენდერო კომისია საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ ვარაუდს, რომ პრეტენდენტმა გახსნა დალუქული კონვერტი მასში ქსოვილის მოთავსების მიზნით. კასატორის მოსაზრებით, საქ-

მეში არსებული მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ექსპერტიზის დასკვნების ავთენტურობის გადამოწმების მიზნით, იგი ლაბორატორიას არაერთხელ დაუკავშირდა, რის საფუძველზეც დადგინდა ამავე ლაბორატორიის მიერ დასკვნის შემკვეთი სუბიექტისთვის დალუქული კონვერტის სახით მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნების და არა ქსოვილის ნიმუშების მიწოდების ფაქტი მაშინ, როცა შპს „ბ...“ მიერ წარდგენილ დასკვნებს თან ერთოდა ქსოვილის ნიმუშებიც. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციაში კონვერტების წარდგენამდე მოხდა მათი გახსნა, ქსოვილების ჩადება და ხელახლა გადალუქვა. ამასთან, სამინისტრომ არ გაიზიარა მითითება იმის თაობაზე, რომ საშუამავლო ფირმის მიერ დასკვნების გახსნაზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა შპს „ბ...“, ვინაიდან აფიდავიტზე დათანხმებიდან გამომდინარე, პრეტენდენტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისათვის. ამდენად, ვინაიდან პრეტენდენტს ხელი ჰქონდა მოწერილი აფიდავიტის წესზე, პასუხისმგებლობა შუამავალი კომპანიის მიერ კონვერტების გახსნა/ხელახლა გადალუქვაზეც ეკისრებოდა ამავე პრეტენდენტს, რის გამოც მოხდა მისი დისკვალიფიკაცია. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნები და მისაწოდებელი საქონლის ნიმუშები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებას ადგილი რომც არ ჰქონოდა, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, მაინც მოხდებოდა მისი დისკვალიფიკაცია. ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

კასატორი – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აღნიშნავს, რომ კანონმდებლობის მიხედვით, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერილ ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. ამასთან, პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარდგენის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმება. ამით პირი ადასტურებს, რომ სატენდერო/საკონკურსო პირობების დასაკმაყოფილებლად არ არის წარდგენილი მცდარი ინფორმაცია, რაც იცოდა ან უნდა სცოდნო-

და პრეტენდენტს. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია განიხილავს/შეაფასებს და მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა ან/და ფასნარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი შეესაბამება კონკრეტული ტენდერის სატენდერო პირობებს. ამდენად, პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტების ატვირთვა ემსახურება კონკრეტული ტენდერის სატენდერო პირობებით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, შესაბამისად, საბოლოო ჯამში აღნიშნული დოკუმენტაცია ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ პრეტენდენტის მიერ დარღვეულ იქნა აფიდავიტის პირობები, აღნიშნული დარღვევა იწვევდა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო, რაც მართებულად განხორციელდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკასაციო საჩივრები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილულ იქნებოდა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ბ...ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილ-

დება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის – შპს „ბ...ს“ დისკვალიფიკაციის კანონიერების შეფასება, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა; ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა; დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა; ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შემესყიდველი ორგანიზაცია არის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დამტკიცების ვალდებულება განსაზღვრულია ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, ამ კანონით განსაზღვრულმა უფლებამოსილმა ორგანომ – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს 2011 წლის 1 მაისამდე გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცება. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცდა „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ (ძალადაკარგულია 2017 წლის 19 ივლისიდან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, რომელიც შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს ელექტრონული ტენდერის ჩატარებასთან, ასევე მისი ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის პროცედურებს. ამასთან, აღნიშნული „წესის“ №1 დანართით დამტკიცებულია აფიდავიტის ფორმა, რომლის მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია მცდარი ინფორმაცია, რაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს, ხოლო აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

საკასაციო პალატა მიუთითებს დასახელებული „წესის“ 32-ე მუხლზე, რომელიც არეგულირებს დისკვალიფიკაციის განხორციელების პირობებს. აღნიშნული ნორმის პირველი პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას და განსაზღვრავს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის კონკრეტულ შემთხვევებს, მათ შორის, მითითებული პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას. დასახელებული მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით კი, თუ პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას, იგი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მისი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის სხვა საფუძველი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერება განისაზღვრება მის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობით და სატენდერო პირობებთან პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის რეალურობით. სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შემსყიდველ ორგანიზაციას ზუსტი და ნამდვილი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს პრეტენდენტის შესახებ, რათა სწორად შეაფასოს თუ ვის მიანდოს სამუშაოთა შესრულება და პასუხისმგებელი იყოს მათზე, ამასთანავე, მეორე მხრივ, პრეტენდენტმა ნამდვილი უპირატესობით უნდა მოიპოვოს გამარჯვება

სხვა პრეტენდენტებთან მეტოქეობაში, რათა ჯანსაღი კონკურენცია იქნეს უზრუნველყოფილი.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მოსამსახურეებისთვის ...ის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციის 3.1.1 პუნქტით დადგინდა მოთხოვნა შემოთავაზებული საქონლის ნიმუშებთან ერთად ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შესახებ, კერძოდ, ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე პრეტენდენტის მიერ წარდგენილ ნიმუშებს უნდა მოჰყოლოდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს SGS, INTERTEK, EKOTEKS ან სხვა აკრედიტებული პირის (ასეთ შემთხვევაში, დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა ყოფილიყო დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) მიერ გაცემული შესაბამისი ორიგინალი დასკვნა და ექსპერტიზაგავლილი ქსოვილი. ამავე სატენდერო დოკუმენტაციის 3.1.1.2. პუნქტის თანახმად, ორიგინალი ექსპერტიზის დასკვნა, ექსპერტიზაგავლილ ქსოვილთან ერთად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დალუქულ მდგომარეობაში (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, პრეტენდენტს შეეძლო წარედგინა ექსპერტიზაგავლილი ქსოვილი დალუქულ, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის ორიგინალი/დედანი დაულუქავ მდგომარეობაში). ამ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო დალუქული ქსოვილის შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნასთან იდენტიფიცირება. მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნის ინდივიდუალური ნომერი უნდა დამთხვევოდა დალუქული საქონლის შეფუთვაზე (შეფუთვაში) არსებულ ნომერს. წარმოდგენილი ნიმუშებს კი სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა ტექნიკური მოთხოვნები. შპს „ბ...ს“ მისი მოთხოვნის საფუძველზე გაუგრძელდა საქონლის ნიმუშების წარდგენის ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღით, არა უგვიანეს 2020 წლის 19 აგვისტოს.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, დადგენილ ვადაში, შპს „ბ...ს“ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთა განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ ელექტრონულ ტენდერზე წარადგენდა შესასყიდი საქონლის ნიმუშებს და ექსპერტიზის დასკვნის დედნებს. ამასთან, კომპანიამ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთა ...ს მიერ გაცემული დასკვნები: ..., ..., ...,

სადავოდ ქცეული აქტებით, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმისა და ამავე კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის №7 სხდომის ოქმით, რომლითაც უცვლელად დარჩა სატენ-

დერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება, ირკვევა, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმართა უშუალოდ დასკვნების გამცემ ლაბორატორიას და დაადგინა, რომ ლაბორატორიამ დალუქული კონვერტის სახით, დასკვნის შემკვეთ სუბიექტს მიაწოდა მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნები. აღნიშნულ კონვერტში მათ მიერ არ იყო ჩადებული ექსპერტიზაგავლილი ქსოვილის ნიმუშები. ამდენად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ბ...ს“ მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნებში, დასკვნებთან ერთად კონვერტში ასევე მოთავსებული იყო ქსოვილის ნიმუშები, მიიჩნია, რომ კონვერტების წარდგენამდე პრეტენდენტის მიერ მოხდა მათი გახსნა, ქსოვილების ჩადება და თავიდან დალუქვა. შესაბამისად, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაასკვნა, რომ შპს „ბ...ს“ მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების დადების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის ფაქტს, რის გამოც „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია ... აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე უდავოდ დასტურდება, რომ სატენდერო დოკუმენტაციით ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად იმპერატიულად იყო განსაზღვრული შპს „ბ...ს“ ვალდებულება, არა უგვიანეს 2020 წლის 19 აგვისტოსი მოეხდინა მისანოდებელი საქონლის დაზუსტებული ტექნიკური მახასიათებლების, გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მისანოდებელი საქონლის ნიმუშებისა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ექსპერტიზის დასკვნების წარდგენა. შპს „ბ...მა“ ნამდვილად წარადგინა ექსპერტიზის დასკვნები და ქსოვილის ნიმუშები, თუმცა წარდგენილი ნიმუშების ვიზუალური დათვალიერების შედეგად სატენდერო კომისიამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი ნიმუშები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებს, რის გამოც კომისია კიდევ ერთხელ დაუკავშირდა შპს „ბ...ს“ მიერ წარდგენილი დასკვნების გამცემ ლაბორატორიას, რომლის წერილობითი პასუხითაც დასტურდება, რომ მან დალუქული კონვერტის სახით დასკვნის შემკვეთ სუბიექტს მიაწოდა მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნები და არა ექსპერტიზაგავლილი ქსოვილები. საქმეზე კი უდავოდ დადასტურებულია, რომ კონვერტში დასკვნებთან ერთად მოთავსებული იყო ქსოვილის ნიმუშებიც. აღნიშნული გარემოება კი ცალსახად ადასტურებს, რომ

შემყიდველ ორგანიზაციაში კონვერტების წარდგენამდე მოხდა მათი გახსნა, ქსოვილის ჩადება და თავიდან დალუქვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე დადასტურებული გარემოებების პირობებში, არამართებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიამ ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ ვარაუდს იმის შესახებ, რომ პრეტენდენტმა გახსნა დალუქული კონვერტი მასში ქსოვილის მოთავსების მიზნით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ცალმხრივად იქნა გათვალისწინებული საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელსა და ...ის წარმომადგენელს შორის 2020 წლის 26 აგვისტოს განხორციელებული მიმოწერა ისე, რომ მხედველობაში არ მიიღო შუამავალი კომპანიის – შპს „შპ...“-ს 2020 წლის 27 აგვისტოს განცხადება-დეკლარაცია, რომლის თანახმად, შპს „ბ...ს“ მიენოდა ყველა ორიგინალი დასკვნა და გამოცდაგავლილი ნიმუში ...ის დალუქულ კონვერტში. ასევე საფუძველს მოკლევადილი მოსარჩელის მოსაზრებაც, რომ კონვერტების გახსნა შესაძლოა შუამავალ კომპანიასაც მოეხდინა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. იქედან გამომდინარე, რომ პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარდგენის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმება, შესაბამისად, ვინაიდან პრეტენდენტს ხელი აქვს მოწერილი აფიდავიტის წესზე, საკასაციო პალატის მითითებით, ნაკლებ მნიშვნელოვანია ვის მიერ მოხდა კონვერტების გახსნა და თავიდან დალუქვა პრეტენდენტის, შუამავალი კომპანიის თუ მწარმოებლის მიერ, რადგან აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს. ამრიგად, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება შპს „ბ...ს“ მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, კერძოდ, ლაბორატორიის დასკვნების იმგვარად წარდგენა, თითქოს მასში ექსპერტიზაგავლილი ქსოვილები თავიდანვე იდო, აღნიშნული ქმე-

დება მიიჩნევა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენილ არაკეთილსინდისიერ ქმედებად, ხოლო „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ასეთი ქმედების ჩადენა იწვევს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციას. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია ქვედა ინსტანციის სასამართლოთა დასკვნები სადავო საკითხთან მიმართებით, ვინაიდან საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები ცალსახად ქმნის კასატორების პრეტენზიების დაკმაყოფილების, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველს და არა საკითხის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესაძლებლობას, რაზეც მიუთითებენ ქვედა ინსტანციის სასამართლოები. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული აქტების – შპს „ბ...ს“ არაკეთილსინდისიერ ქმედების გამო მისი დისკვალიფიკაციის თაობაზე მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის 2020 წლის 26 აგვისტოს №6 სხდომის ოქმის, 2020 წლის 24 სექტემბრის №7 სხდომის ოქმისა და შპს „ბ...ს“ მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დავების განხილვის საბჭოს მიერ გამოცემული 2020 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავდროულად პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნ-

დაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ხოლო მოსარჩელის მიერ ბაჟის ზედმეტად გადახდა იწვევს გადახდილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაბრუნებას. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, შპს „ბ...ს“ მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 200 ლარიდან 100 ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, ხოლო დარჩენილი 100 ლარი დაუბრუნდეს მხარეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ბ...ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ი.კ-ის მიერ შპს „ბ...ს“ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით, ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. ი. კ-ეს (პ/ნ...) დაუბრუნდეს შპს „ბ...ს“ (ს/ნ...) სარჩელზე 2020 წლის 9 ნოემბრის №0 საგადასახადო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 200 ლარიდან ზედმეტად გადახდილი 100 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №2001122900, სახაზინო კოდი №300773150;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge